**არის!**

**ამერიკაში, კოლორადოს მთებში!**

# სა-ქარ-თვე-ლო





„მამულის" გამოსვლიდან მეორე წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოდან სალამს გითვლით და სიყვარულით მოგიკითხავთ, ედუარდ შევარდნაძე.

სხვადასხვა წყაროებიდან მეც ბევრი რამ მსმენია თქვენს მშვენიერ გაზეთზე! დრო და დრო, მიწევს კიდეც შიგ თვალისჩაკვრა...

გამძლეობას და უკეთეს საქართველოში დაბრუნებას გისურვებთ, ძვირფასო ქართველებო!..

პატივისცემით

**ედუარდ შევარდნაძე**





































მინდა მადლობა გადაგიხადოთ გაზეთისათვის. დარწმუნებული ვარ ეს ბევრი ადამიანისათვის სიხარულია. გისურვებთ წარმატებებს, ვისურვებდი, რომ თქვენს ფურცლებზე უმეტესად ყოფილიყოს პოზიტიური და ობიექტური ინფორმაცია. მე მესმის, რომ ქართველები მიბმული ვართ საკუთარ ქვეყანასთან და ამიტომაც ძალიან გვიჭირს განშორება, მაგრამ მინდა ისიც ვთქვა, რომ ეს დროებითი მოვლენაა.

**ნინო ბურჯანაძე**



ეს სურათი 18 ოქტომბერსაა გადაღებული...

უჩვეულო... ისტორიულ დღეს...

ამ დღეს ქართველმა მთამსვლელმა, ევერესტის გმირმა **მერაბ ნემსიწვერიძემ** ფეხი დაადგა კოლორადოს შტატის ინდიელთა მთათა სისტემის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალს და მონათლა კიდეც...

გიხაროდენ, ქართველებო...

- ამერიკაში, ზღვის დონიდან 12 ათასს პიკის სიმაღლეზე, ანუ დაახლოებით 4 ათასს 80 მეტრის სიმაღლეზე, არსებობს მწვერვალი ,,საქართველო‘‘...

და მასზე ფრიალებს საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა, დასვენებულია წმიდა ნინოს ხატი ამერიკაში მყოფ ყოველთა ქართველ ემიგრანტთა მეოხად...

და ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დატოვებულია გაზეთი ,,მამულის‘‘ ის ისტორიული ნომერი, რომელიც მთლიანად მიეძღვნა საქართველოს ბედკრული პრეზიდენტის ბურუსით მოცულ მკვლელობის საქმეს.



# არის! მწვერვალი სა-ქარ-თვე-ლო ამერიკაში, კოლორადოს მთებში!





რა მოკლავს საქართველოს, როცა 8 ოქტომბერს ზვიად გამსახურდია დაბრუნდა!...

დაბრუნდა ცოცხალი, ლაღი, ამაყი, ყოვლად შეურიგებელი და ყოვლად ლმობიერი!..

დემეტრესთან ერთად დაბრუნდა, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად დაბრუნდა, მაია წყნეთელთან ერთად დაბრუნდა, ტკბილქართულად მოლაპარაკე, 14 წლისა, ახალი სიცოცხლით, სუფთა თვალებით, იმედებით...







**თამაზ წივწივაძე,**
„ლიტერატურული საქართველოს“
მთავარი რედაქტორი

## ლიტერატურული საქართველო

**ბატონ მანუჩარ კაჭახიძეს — გაზეთ „მამულის“ მთავარ რედაქტორს**

ძვირფასო ბატონო მანუჩარ!

მაქვს პატივი, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ სახელით გულწრფელად მოვიკითხო თქვენი გაზეთის თანამშრომლები და, განსაკუთრებით, მისი მკითხველები!

ასე თუ ისე, შესაძლებლობის ფარგლებში, საქართველოშიც ვიცნობთ თქვენს „მამულს“!

ვიცით რომ უცხოეთში გამომავალი ქართულენოვანი გამოცემებიდან, მართლაც კარგი გაზეთია: კარგი რედაქტორიც ჰყავს და, რაც თქვენთვის კიდევ უფრო უკეთესია — კარგი მკითხველიც!

ბატონო მანუჩარ! რაკი შემთხვევა მომეცა, თავს უფლებას ვაძლევ, ასევე სიყვარულით მოვიკითხო საკუთარ სამშობლოდან შორეულ ამერიკის კონტინენტზე ჩამობრძანებული ჩემი ძვირფასი თანამემამულეები!

დარწმუნებული ვარ, მანდედან, ზოგიერთი, „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველიცაა!

ზურგის ქარსა და მზიან დარებს ვუსურვებთ ყოველ მათგანს - თქვენ კიდევ, დიდი მადლობა გითხრათ ჩემდამი რწმუნებული გაზეთის ყოველმხრივ მხარდაჭერისთვის!..

არ გადავაჭარბებ, თუკი ვიტყვი, რომ ნიუ-იორკში გამომავალი თქვენი გაზეთი, რომელსაც ეს-ესაა, ორი წელი შესრულებია, ყველა ჩვენთაგანისთვისაც ძვირფასი საჩუქარია!

წუწუნით თავს არ შეგაწყენთ, მით უმეტეს ამ „საიუბილეო“ დღეებში, მაგრამ, გიჭირთ, ალბათ უცხო მიწაზე ცხოვრება...

ესეც ქართველის ნათქვამია, „უცხოობაში რაა სიამე“-ო, მაგრამ, მერწმუნეთ, მუდამ ასე არ იქნება და მშობლიურ საქართველოში მალე გამოიდარებს!..

თქვენს დაბრუნებამდე კი, სიყვარულით მოვიკითხავ ყველა მანდაურ ქართველს!

ვინც ჩვენს ბუნებას კარგად იცნობს, იმათმა ისიც კარგად იციან, ქართველებს თავიანთი თანამემამულეები კი არა, თბილ ქვეყნებში გაფრენილი ჩვენი მერცხლების ბედიც გვაწუხებს!

ხანდახან ვნატრობთ კიდეც...

თქვენი მალე დაბრუნების სადღეგრძელოს ვსვამ, ძვირფასო ქართველებო!

შენს საყვარელ გაზეთსაც წარმატებას ვუსურვებ, ჩემო მანუჩარ!

„მამულის“ მთავარ რედაქტორს ბ-ნ
**მანუჩარ კაჭახიძეს!**



დიდი პატივისცემით გილოცავთ იუბილეს, რომელიც მართალია ათეულ წლებს არ მოიცავს, მაგრამ იმის საშუალებას ნამდვილად გაძლევთ, უკან მოიხედოთ, განვლილ გზას გონების თვალი გადაავლოთ და სამართლიანად იამაყოთ, რომ თქვენი გაზეთი მრავალი ადამიანისთვის სულიერ საზრდოდ იქცა.

ყველგვარი გადამეტების გარეშე გეტყვით, მართლა საჭირო და კეთილშობილ საქმეს ემსახურებით, დღეს, როცა ბევრი ჟურნალ-გაზეთი პოპულარობის მოსახვეჭად რას აღარ კადრულობს, იმათ ფონზე აშკარად გამოიკვეთა თქვენი ტაქტი, გემოვნება და პროფესიონალიზმი.

ვფიქრობ, სიმბოლურია, „მამულს“ ორი წლის იუბილეს ოთხმოცდაორი წლის „საქართველოს ქალი“ რომ ულოცავს, ჟურნალი, რომელიც მიუხედავად მრავალი წნეხისა და წინააღმდეგობისა, არ ღალატობს სართლიანობის პრინციპებს.

თქვენც იგივეს გისურვებთ, მით უფრო, რომ ჟურნალისტიკის გზა ია-ვარდით ნამდვილად არ არის მოფენილი.

პატივისცემით: **მარინე ნაკაიძე**
ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარი რედაქტორი



ძვირფასო თანამემამულენო,

ამერიკაში მცხოვრებო ქართველები! „მამულის“ გამოსვლიდან მეორე წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოდან სალამს გითვლით და სიყვარულით მოგიკითხავთ ედუარდ შევარდნაძე.

სხვადასხვა წყაროებიდან მეც ბევრი რამ მსმენია თქვენს მშვენიერ გაზეთზე! დრო და დრო, მიწევს კიდეც შიგ თვალისჩაკვრა... გამძლეობას და უკეთეს საქართველოში დაბრუნებას გისურვებთ, ძვირფასო ქართველებო!..

პატივისცემით
**ედუარდ შევარდნაძე**

# გილოცავთ

**ამერიკაში გამომავალი ერთადერთი
ქართულენოვანი გაზეთის მთავარ რედაქტორს,
ბატონ მანუჩარ კაჭახიძეს!**

ჩემო მანუჩარ! შენ ოკეანეთა გადაღმა გააცოცხლე საქართველო და ქართული სული... მერე რა, რომ ჩვენ 8 სასაათო სარტყელი და 9 000 კილომეტრი გვაშორებს, **მამულში მზე არასოდეს ჩადის!** და ვისაც მამულში მზის ჩასვლა სწადია, სწორედ ამისთანების გასაგონად —

დავმახოთ ლილე მტრების ჯინაზე,
გადავიაროთ გზები ნარ-ეკლის...
ჩვენ საქართველოს მწვერვალებიდან
ღრუბლები დაგვრჩა გადასარეკი!

**ასავალ დასავალი**

**ლაშა ნადარეიშვილი**
*„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლის
მთავარი რედაქტორი*

**ნიუ-იორკი,
გაზეთ „მამულის“ რედაქციას
ბატონ მანუჩარ კაჭახიძეს**

## მამულს ემსახურეთ „მამულით“!

გილოცავ არსებობის ორი წლის თავს. თქვენ შედარებით ცოტა ხნის მანძილზე ბევრი გააკეთეთ სამშობლოსათვის - მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერებისათვის, ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიისა და თავისუფალი სიტყვის დამკვიდრებისათვის.

ამ მხრივ თქვენ ღირსეული მემკვიდრე გამოდექით ამერიკის კონტინენტზე XX საუკუნეში გამომავალი ჟურნალ-გაზეთებისა („მამული“, „ჩვენი გზა“, „კრებული“, „ქართული აზრი“, „თავისუფალი საქართველოს ხმა“), რომელთაც ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები გამოსცემდნენ და იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. მათ შორის მაინც გამოვყოფდი თქვენი გაზეთის სეხნიას - დიდი ქართველი პატრიოტის, გამოჩენილი მეცნიერი-



რუსთველოლოგისა და პოლიტიკური მოღვაწის ვიქტორ ნოზაძის ჟურნალ „მამულს“, რომელსაც იგი არგენტინაში, ბუენოსაირესში, 1951-53 წლებში გამოსცემდა და დიდი როლი ითამაშა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის შეუპოვარ ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, რაც ზვიადისა და მერაბის წყალობით, საბოლოოდ ახდა კიდეც!

ახლა საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგენილია, მაგრამ ჩვენს სამშობლოს მაინც უჭირს და მას კვლავ სჭირდება როგორც ამერიკის, ისე ყველა სხვა კონტინენტზე მცხოვრები თითოეულიქართველის დახმარება და მხარდაჭერა!

დარწმუნებული ვარ, თქვენ და თქვენი „მამული“ მათ შორის პირველთაგანი იქნებით!

მამულს ემსახურეთ „მამულით“!

ღრმა პატივისცემით და
საუკეთესო სურვილებით
**გურამ შარაძე**

P.S. დიდად მადლობელი ვარ ნიუ-იურკში მიწვევისათვის „მამულის“ იუბილეზე დასასწრებად, მაგრამ ჩემი და ჩემი სამშობლოს ამჟამინდელი მდგომარეობა უფლებას არ მაძლევს ვისარგებლო თქვენი თავაზიანი და გულითადი მოწვევით, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.



გაზეთ „მამულის“ მთავარ რედაქტორს
ბატონ **მანუჩარ კაჭახიძეს!**

სულით და გულით მოგილოცავთ გაზეთის იუბილეს. გისურვებთ შემდგომ წარმატებებსა თქვენს მოღვაწეობაში. იმედი მაქვს, რომ „მამული“ დიდ როლს ითამაშებს ამერიკაში ქართული თემის მოძლიერებასა და გაერთიანებაში.

***საუკეთესო სურვილებით:***

***საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი
ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკაში***

**ბატონო** მანუჩარ, მინდა გითხრათ, რომ თქვენი სახით ამერიკაში მცხოვრებ მკვიდრ ქართველობას თანამედროვე ნამდვილი დათა თუთაშხია ჰყავთ. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად დათას ცეცხლსასროლი იარაღი ეკავა ხელში, ხოლო ბატონ მანუჩარს კი გაზეთი „მამული" უკავია.

ამ გაზეთის ყველა ნომრის თითოეულ სტატიას წითელ ზოლად გასდევს მისი მთავარი რედაქტორის მოსაზრება და დასკვნები. პირდაპირ გასაოცარია ესოდენ ახალგაზრდა კაცს როგორ ყოფნის ამდენი გამბედაობა, სულიერი სიძლიერე და ნიჭი, რომ ყოველთვის მწარე სიმართლეს დროულად და მოურიდებლად გამოხატავს.

მგონი, მანუჩარ კაჭახიძე ერთ-ერთი პირველთაგანია ახალგაზრდა ჟურნალისტთა შორის, რომელიც საქართველოს და ქართველი ერის გმირული და ტრაგიკული ისტორიის შემლახველთა წინააღმდეგ ხმას იმაღლებს და ქვას ქვაზე არ ტოვებს.

ისტორიამ შემოგვინახა ფაქტები იმისა, რომ ვისაც კი საქართველოსათვის გენოციდი და ვნება მიუყენებია, თვით ალგვილა პირისაგან მიწისა.

მსურს გაზეთს საიუბილეოდ ვუსურვო წინსვლა და დიდი წარმატებები, რომ ამ მეტად ეკლიან სავალ გზაზედ ბრწყინვალედ გადაელახოს ყოველი დაბრკოლება და მკითხველთა სახით ფართო საზოგადოების გული მოეგოს.

**მიხეილ როკეტლიშვილი**
აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი

**გაზეთ** „მამულს" ვულოცავ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ დღეგრძელობას და დიდხანს არსებობას მამულის სადარაჯოზე.

ჩვენ (დროებით) ამერიკაში მცხოვრები ქართველები აღფრთოვანებული ვართ გაზეთ „მამულში" გამოქვეყნებული ინფორმაციებით (სტატიებით და ლიტერატურული მასალებით), რომელიც ბევრ იდუმალებით მოცულ დანაშაულს აცნობს საზოგადოებას და რჩევით მიმართავს ზოგიერთ ოფიციალურ პირს, რომ მის ხელშია არჩევანი, დარჩეს საუკუნის დანაშაულის გამხსნელად თუ არა.

სწორედ ამ გაბედული ინფორმაციებით მოიპოვა ხალხის ნდობა და სიყვარული გაზეთმა, რადგან ხალხს ჭეშმარიტი ინფორმაცია აინტერესებს.

გაოცებული ვარ გაზეთ „მამულის" რედაქტორის მანუჩარ კაჭახიძის ენთუზიაზმით, შრომის მოყვარეობით, ინტელექტით და მოუსვენარი ბუნებით, რომლისათვისაც დღე და ღამე არ არსებობს. ცდილობს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული საქმე აკეთოს. ჭეშმარიტ მამულიშვილს, სამშობლოზედ უსაზღვროდ შეყვარებულს, გაზეთისათვის „მამული" დაურქმევია (რაც უსათუოდ ყოველი ქართველის გულს მალამოსავით ედება).

ეს სახელწოდება ჭეშმარიტი ქართველის გულში სიყვარულის და მონატრების გრძნობას აღძრავს, რაზედაც ბევრი გვიფიქრია და ცრემლიც დაგვიღვრია, სიტყვა „მამული" ხომ ჩვენს საყვარელ სამშომლოსთანაა გაიგივებული, ამიტომაა, რომ ყველა ჩვენთაგანი უნდა გავუფრთხილდეთ მის არსებობას, საჭიროა გვერდით დგომა და დახმარება, რომელსაც რედაქტორი საკუთარი ხარჯებით გამოსცემს.

დღეს გაზეთ „მამულის" საიუბილო თარიღია. რედაქტორს გადაუწყვეტია ამერიკაში მცხოვრებ საზოგადოებას თავი მოუყაროს და კიდევ ერთხელ შეგვახსენოს, რომ არ დავივიწყოთ ქართველობა და მამულის სიყვარული.

მინდა მივულოცო მანუჩარ კაჭახიძეს ეს დიდი დღესასწაული, ვუსურვო წარმატებები, მყარად დგომა იმ საპასუხისმგებლო საქმეში, რისთვისაც იღწვის და რაც ჩაფირებული აქვს ამ გაზეთის მეშვეობით.

**მზია ბეკურიშვილი**

# გილოცავთ

## ნოსტალგია შენით დავძლიე „მამულო"

დაბადებას შენსას ვერ დავესწარი, ორიოდე თვისა გიხილე და მოგეფერე მხოლოდ. მახსოვს, პირველკლასელივით გავაყოლე საჩვენებელი თითი შენს თავფურცელზე გამოყვანილ მრგვლოვან „მარგალიტებს" და მზესწავალასავით ამომიფრინდა გულიდან შენი ულამაზესი სახელი - „მამული". მერე ფიქრები მომეძალა, შენს სახელთან გამოთქმულ ლექსთა სტროფები ამომიტივტივდა გონებაში და სამშობლოს საბურველში გავეხვიე:

- ჩვენი ქართული ანბანი, წინაპართა შექმნილი, ერისიონს მოწყვეტილი უსათუთესი ასოთაგანი... ისინი აქ დამხვდნენ, ამ უცხო მხარეში ჩემთვისაც ალმოცენდნენ, წყაროსთვალივით ციმციმებენ, ხელის ჩაქნევის საშუალებას არ მომცემენ, ნოსტალგიას დამაძლევინებენ... საოცარი გრძნობა დამეუფლა მაშინ.

ახლა ორი წლის შესრულდი. მყარად გრძნობ თავს ამ უკიდეგანო სივრცეში. კიდევ მრავალი ხელმომწერის გულს მიწვდები და კვლავაც გააფრთხილებ: „რა ენა წახდეს, ერი დაეცესო", დამოძღვრავ, რომ „ქართველია ის, ვინც ქართული ენის საშუალებით აღიქვამს სამყაროს".

მართლაც და, სხვა რა ფორმით უნდა ემსახურო ხალხსა და ქვეყანას? თუ არ სთქვი, რომ სამშობლოსათვის ერთგულება გაცილებით მეტს მოითხოვს, ვიდრე ერთი შეხედვით სჩანს. ესაა შენი წმინდა საქმე. სწორედ ამიტომ იქეცი ჩემი სულის ნაწილად, მეც „გადავარწიე აკვანი შენი" და ბედნიერი ვარ ამით.

გავა დრო. დავტოვებ კონტინენტს ბევრი თანამემამულის მსგავსად, რადგან იქ, საქართველოშია ჩემი „სიცოცხლის ხე", ადგილის დედა და სამანი, ძვირფასი საფლავებიც, ჩემი ხელიც რომ უნდა ეხებოდეს; რადგან მხოლოდ ნერგი ხარობს უცხო მიწაზე გადარგული და სხვანაირად ვერ წარმომიდგენია ჩემი მომავალი, მაგრამ ყოველთვის ტკბილად გამახსენდება შენთან დაკავშირებული მრავალი ლამაზი საღამო, ფიქრიანი ღამეები, მეგობრები, შენი წყალობით რომ შევიძინე, მათთან ერთად გატეხილი პურის გემო და საოცრად მომენატრება ყველაფერი.

კიდევ ერთხელ მინდა მოგეფერო შენს დაბადების დღეზე და გითხრა, რომ უსაზღვროდ მადლობელი ვარ გულიდან ამოთქმის საშუალებას რომ მაძლევდი სულიერი ტკივილის დროს, ოცდახუთი წლის წინ დაკარგული მეგობარი რომ შემახვედრე და გამახარე, შენს ფიქრით სავსე ფურცლებსაც რომ ჩააწანი ჩემი სახელი და გვარი.

დღეგრძელობას და სიძლიერეს გისურვებ ამ მზის ქვეშ. დამდგარიყოს ჟამი, სიდუხჭირეს გამოქცეულ და ახლობლებს შეწირული ქართველები სასიამოვნო ემოციებით აგევსოს და მალე სამშობლოში დაბრუნების თარიღის მაცნე ყოფილიყავი მათთვის.

**გიული წერეთელი**

მახსოვს შენი დაბადება, შენი პირველი ნაბიჯებიც და აი უკვე ორი წლის ხარ!

„მამულო" შენ ერთადერთი აღმოჩნდი, რომელმაც უსაზღვრო სიკეთე და თანადგომა გამოიჩინე ჩვენს მიმართ; ის ერთადერთი ქართული ფესვი ხარ ამერიკაში, რომელიც ნაყოფისმომცემ ხეს ზრდის!

და ისევ, „მამულო", შენი ცხოვრებისა და შრომის ყოველი დღე გასხივოსნებულია მზის შუქივით. მინდა მოგილოცო დაბადებიდან ორი წლისთავი, გისურვო წინსვლა და წარმატება.

პატივისცემით
**ნონა სხულუხია**

**პატივცემულო რედაქტორო! პატივცემულო რედკოლეგიავ! ძვირფასო მკითხველო!**

გილოცავთ, გილოცავთ და კიდევ მრავალჯერ გილოცავთ ქართული პატრიოტული გაზეთის „მამულის" დაბადების დღეს.

*„როცა კორტოხებზე მზეა*
*ოქროსფერი*
*როცა შემოდგომა წითელ-ყვითელს გაიხდის ჩითებს*
*როცა ქორწილების თვეა*
*ოქტომბერი*
*ჩვენ თვალს ვაყოლებთ სამხრეთისაკენ „გაფრენილ ჩიტებს"*
*„ფრრ!... წელიწადი გაფრინდა ერთი"*

დღეს ჩვენი „მამული" 2 წლისაა, 2 წელია ჩვენი გულები სავსეა სიხარულითა და სითბოთი, რომელიც „მამულმა" გვიანი შემოდგომის ოქტომბერში შემოგვაფეთა. შემობრძანდა და დაივანა ჩვენს ტანჯულ, სევდიან გულებში და საქართველოს სივრცეში გაგვხვია, რადგან ყოველი ნომერი საქართველოს სიყვარულითაა გაჯერებული.

გაზეთი ასაკით პატარაა, მოცულობით არც თუ დიდი, მაგრამ თემებით მდიდარი და ენციკლოპედიური. გაზეთი მადლმოსილი საღრმთო სწავლებითაა სავსე, გვაწვდის ცნობებს ამერიკის ცხოვრების შესახებ და თავისი პერიოდულობის მიხედვით ცინცხალ ამბებსაც, მის გვერდზეა პოლიტიკა გაჯერებული დეტექტივებით, ჩვენი ღირსეული და სევდიანი ისტორიებით, ჩვენი მონატრებული ქართული სიტყვით, ლიტერატურით, რომელიც ცხოვრების ნებისმიერ რთულ პერიოდში, რწმენით გვავსებს და უკეთესი მომავლისათვის განგვაწყობს. ჩვენ, ოკეანეს გაღმა ცხოვრების უკუღმართობით გადმოხვეწილ ქართველებს, გვახსენებს, რომ თუმცა ჩვენი უღელი მძიმეა, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს „ვისი გორისა ხარ" რომ, ჩვენი ფესვები და ბედნიერება იქ არის ჩვენს სამშობლოში.

„მამულო" ჩვენო „მახარე" ჩვენო ნათელო სხივო ამერიკაში, იდღეგრძელე! გისურვებ ხვავიან მომავალს, ტირაჟის გაზრდას და მკითხველის სიყვარულს

თქვენი წვლილი ქართულის განმტკიცებაში განუზომელად დიდია და შეიძლება შევადაროთ დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის ღვაწლს ქართული ენის სიყვარულის გასავრცელებლად ამერიკაში. ბარაქალა თქვენს საქმეს მრავალჟამიერ ჩვენო „მამულო"!

„რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი
თუ მამულს თავი არ ანაცვალე,
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს"

ცოტნე დადიანის გმირობას უტოლდება ბატონო მანუჩარ თქვენი თავგამოდება გაზეთის გამოცემის საქმეში და ქართული სულის ღირსების ქომაგობა აქ ამერიკაში. გაჩნდება რამე ქართული ერის შეურაცხმყოფელი წერილი ამერიკულ-ინგლისურ ენოვან თუ რუსულენოვან პრესაში?! თქვენ იქვე ხართ, ხმალმომარჯვებული, კალმის წვენით ებრძვით, აქვეყნებთ საპასუხო სტატიებს, იცავთ პრესტიჟს ჩვენი საქართველოსას. ღმერთმა დაგლოცოს, გაგაძლიეროს, აგავსოს სიხარულითა და მადლით.

პატივისცემით
**ნელი ქართველიშვილი**

გაზეთ „მამულს" ვულოცავთ ორი წლის იუბილეს. ვუსურვებთ დღეგრძელობას, გაზრდასა და გაძლიერებას. მალე მთელს მსოფლიოში გაფანტულ ქართველთათვის მიეწვდინოს ხმა და მათი ოჯახების სასურველი სტუმარი გამხდარიყოს.

საუკეთესო სურვილებით:
**ქართული კულტურის საერთაშორისო ცენტრი „ამირანი"**



დიდი სიხარულით შევიტყვე, რომ ნიუ-იორკში გამოდის გაზეთი „მამული". ეს სიხარული იმითაა გამოწვეული, რომ ქართული სული არ ქრება, არ მინავლებულა თვით ნიუ-იორკის მჩქეფარე ცხოვრებაში, ქართული სიტყვა თავის ადგილს მოიპოვებს ამ მსოფლიო მასშტაბის მეგაპოლისში.

ისიც სასიხარულოა, რომ ზრუნვა ქართულზე, საქართველოზე, ერთმანეთზე, ეს ზრუნვა ქართულად გახმიანებული და ქართული ასოებით გამოხატული ძალუმად ფეთქავს.

ბედნიერებას და ჯანსრულობას, სიხარულსა და სულის სიმხნევეს გისურვებთ.

სიყვარულითა და პატივისცემით:





ლეგენდარული „ილუზიონის“ ლეგენდარული წამყვანი ოთარ სეფიაშვილი და გაზეთ „მამულის“ მთავარი რედაქტორი მანუჩარ კაჭახიძე. ნიუ-იორკი. 2005 წელი

# ორი წლის „მამულის“ ასავალ-დასავალი უკვე ამერიკის მწვერვალებმაც იციან!

**ამერიკაში გამომავალი ერთადერთი ქართულენოვანი გაზეთის მთავარ რედაქტორს, ბატონ მანუჩარ კაჭახიძეს!**

ჩემო მანუჩარ! შენ ოკეანეთა გადაღმა გააცოცხლე საქართველო და ქართული სული... მერე რა, რომ ჩვენ 8 სასაათო სარტყელი და 9 000 კილომეტრი გვაშორებს, **მამულში მზე არასოდეს ჩადის!** და ვისაც მამულში მზის ჩასვლა სწადია, სწორედ ამისთანების გასაგონად —

დავმახოთ ლილე მტრების ჯინაზე,
გადავიაროთ გზები ნარ-ეკლის...
ჩვენ საქართველოს მწვერვალებიდან
ღრუბლები დაგვრჩა გადასარეკი!

*„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლის მთავარი რედაქტორი*
**ლაშა ნადარეიშვილი**



გაზეთი „მამული“ კოლორადოს ერთ-ერთ მწვერვალზე (4080 მ), რომელსაც ამიერიდან „საქართველო“ ჰქვია!











***ამერიკასა და კანადაში გამომავალი ერთადერთი ქართული გაზეთი „მამული“ 30 ოქტომბერს ორი წლის ხდება... „მამულის“ იუბილეზე გაზეთის დამფუძნებელმა და მთავარმა რედაქტორმა, ახალგაზრდა ქუთაისელმა კაცმა მანუჩარ კაჭახიძემ ნიუ-იორკში, რესტორან „ნაციონალში“ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები მიიპატიჟა... სტუმრებს საქართველოდანაც ელიან... ჩვენმა მკითხველმა კარგად უწყის, რომ გაზეთი „მამული“ „ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლის პარტნიორი და მეგობარია... „ასავალ-დასავალი“ მრავალათასიანი მკითხველის სახელით ულოცავს გაზეთ „მამულს“ ორი წლის იუბილეს და უსურვებს მანუჩარ კაჭახიძეს, საქართველოს მომავალი გამარჯვებები ყოველთვის პირველს ეხარებინოს ოკეანის გაღმა მცხოვრები ჩვენი სისხლისა და ხორცისათვის!...***

**– მანუჩარ, წინდაწინ გილოცავთ „მამულის“ იუბილეს, ღმერთი გფარავდეთ შორეულ ამერიკაში!...**

- დიდი მადლობა! დიტო, ჩვენი საუბარი მინდა, დავიწყო სასიამოვნო ცნობით: ჩვენი საინფორმაციო მხარდაჭერით, **კოლორადოს მთათა სისტემაში ქართველმა მთამსვლელმა მერაბ ნემსიწვერიძემ 18 ოქტომბერს დალაშქრა ერთ-ერთი უსახელო მწვერვალი, რომელსაც ეწოდა „საქართველო“.** მწვერვალზე, რომელიც ოკეანის დონიდან 4080 მეტრზე მდებარეობს, აიტანეს ქართული ჯვარი, ქართული ხუთჯვრიანი დროშა და გაზეთი „მამული“. **მწვერვალზე აიტანეს „მამულის“ ისტორიული ნომერი, რომელიც თავიდან ბოლომდე საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას მკვლელობას ეძღვნება.**

**– მერაბ ნემსიწვერიძე ვინ არის?**

- მერაბ ნემსიწვერიძეს ევერესტიც დაპყრობილი აქვს, იგი ამერიკის ალპინისტური ორგანიზაციის ასოციაციის წევრია. მერაბთან ერთად ექსპედიციაში ამერიკელებიც იყვნენ!..

**– იუბილისთვის როგორ ემზადებით?**

- იუბილე 30 ოქტომბერს გაიმართება, მაგრამ 15 სექტემბერს უკვე ყველა ბილეთი გაიყიდა. უამრავი ხალხი დაგვრჩა უკმაყოფილო, ახლაც რეკავენ, გვსაყვედურობენ, რომ იუბილის გარეშე დავტოვეთ, მაგრამ რა ვქნათ?...

**– მანუჩარ, რამდენი კაცი გყავს დაპატიჟებული იუბილეზე?**

- 550 ბილეთი გაიყიდა! მეტი ადამიანი არც ეტევა... ეს გახლავთ უზარმაზარი დარბაზი, რესტორანი, სადაც სტუმრებს სუფრას გავუშლით. ეს ყველაფერი ბილეთის საფასურში შედის. მენიუში ქართული შოთის პური, ხაჭაპური, კუჭმაჭი და ნიგვზიანი ბადრიჯანიც შედის.

**– ოჰ, რა ხართ ეს ქუთაისელები, ამ ხაჭაპურს, კუჭმაჭსა და ნიგვზიან ბადრიჯანს ვერც ამერიკაში ანებებთ თავს!**

- როგორც კი კონცერტი დამთავრდება, ავირჩევთ თამადას, თამადის მოადგილეებს და წავა ქართული ქეიფი!...

**– ვინ იქნება თამადა?**

- ქუთაისის ცნობილი კოლორიტი, ამერიკაში მცხოვრები ერთადერთი ადამიანი, რომელმაც პირველი ქართული პური გამოაცხო. დავით გაგუამ ერთ ამერიკელს ასწავლა ქართული პურის გამოცხობა და დღეს ნიუ-იორკში თონეში ქართული პური ცხვება!...

**– საქართველოდან ვის მოელით?**

- დაპატიჟებული ბევრი მყავს, მაგრამ ამ ელჩის გადამკიდე, ვერავინ ჩამოდის. როგორც ვიცი, ბატონი გურამ შარაძე გამოგვიგზავნის მილოცვას. ჩვენს იუბილეს მიესალმნენ ბატონი თამაზ წივწივაძე, ბატონი ედუარდ შევარდნაძე. როგორც მითხრეს, ჩვენს კონცერტს დაესწრება ჩვენი სათაყვანებელი პაატა ბურჭულაძე. საღამოს გახსნის ბატონი ოთარ სეფიაშვილი - ლეგენდარული „ილუზიონის“ ლეგენდარული წამყვანი, კინომცოდნე. „მამულის“ იუბილეს დაესწრება ცნობილი ტელეწამყვანი ქეთევან მითაიშვილი... უმეტესად, ძველი თაობის ემიგრანტები გვყავს მოწვეული...

**– კონცერტში ვინ მიიღებს მონაწილეობას, ქართულ სიმღერებს მოისმენენ სტუმრები?**

- დიტო, მინდა, გითხრა, რომ ჩვენ არანაირ ლხინსა და კონცერტს არ ვგეგმავთ, **ჩვენი საღამო იქნება სევდიანი...** მთელ კონცერტს ლაიტმოტივად გაჰყვება მუსიკა კინოფილმიდან „ფესვები“... საიდან იწყება სამშობლო? რა არის ქართველისთვის საქართველო? აი, ეს შეკითხვები იქნება დასმული საღამოზე დეკლამატორის მიერ და ამ შეკითხვებზე პასუხის ძიება იქნება მთელი კონცერტი... **ალბათ, ვიტირებთ და უნდა ვიტიროთ კიდეც, ხანდახან საჭიროა ტირილი!...**

კონცერტის სცენარი ჩემი დაწერილია. კონცერტი გაიხსნება პატრიარქის სიტყვით - „აკურთხე, უფალო, ერი შენი!“... მერე შესრულდება საქართველოს ჰიმნი, შემდეგ მე გამოვალ სიტყვით, რომელსაც ადგილობრივი შემსრულებლები დაამთავრებენ სიმღერით - „ჩემო კარგო ქვეყანავ“... ამერიკაში უკვე რამდენიმე ქართული ანსამბლია ჩამოყალიბებული, მათ შორის, „დანსინგ ქრეინი“, რომელიც ამერიკელმა დააარსა და ქართველი შემსრულებლები შემოიკრიბა გარშემო. კონცერტზე გამოვლენ ქალთა ტრიო, ბავშვთა ანსამბლი... რესტორანმა გაითვალისწინა ჩემი თხოვნა და დაამონტაჟეს ძალიან დიდი მონიტორი, სადაც ვუჩვენებთ ნაწყვეტებს ქართული ფილმებიდან - „ნერგები“, „ფესვები“, „ჯარისკაცის მამა“, „მზე შემოდგომისა“...

**– მანუჩარ, ამერიკას დიდი სტიქიონები დაატყდა თავს და ახლა რა ხდება, რა ამბავია თქვენკენ?**

- დიტო ჩემო, ეს ქარიშხლები არის ყველაფერი მოგონილი და რეკლამა... ასეთი ქარიშხლები ქუთაისს ყოველ წელს ჰქონდა. ხომ იცი, - „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“... თერჯოლაში, ტყიბულში 10-15 წელია, სახლების სახურავები ქარს მიაქვს, მაგრამ ჩვენი ხალხი ასეთ პანიკას არ ტეხს!.. ეს ამერიკაა, ძროხას რომ წამოიღებს ქარბორბალა, - უი, რა მოხდაო და მთელი ქვეყნის ტელეარხებზე სალაპარაკო სხვა არაფერია...

**– გასაგებია, მაგრამ ქუთაისში გაფრენილი ძროხა მე ჯერ არ მინახავს!...**

- ჩვენ გაფრენილი ძროხა არ გვინახავს, თორემ ძირს დაგდებული და მკვდარი - კი!.. *(იცინის)*

**– მოკლედ, ქუთაისელები არსად დაიკარგებით, გამოსავალს ყველგან ნახავთ!..**

- ჰო, ძროხები რომ დაფრინავენ ქუთაისში, ჩვენ მაშინ გვძინავს და იმიტომ ვერ ვხედავთ ამ საოცრებას!... *(იცინის)*

**– მანუჩარ, ამერიკელებმა თუ გამოთქვეს კონცერტზე დასწრების სურვილი?**

- რა თქმა უნდა, გუშინ ამერიკელმა დამირეკა და მკითხა, - ბილეთი მაქვს და ზუსტად რომელი ქუჩების გადაკვეთაზეა რესტორანი „ნაციონალი“, სად მოვიდეო?... გამიკვირდა, მთელი კონცერტი ქართულ ენაზე იქნება და ამერიკელი რას გაიგებს-მეთქი!.. თავიდან ვაპირებდით, ქალბატონი ჰილარი მოგვეწვია კონცერტზე, მაგრამ მაშინ იძულებულნი ვხდებოდით, პარალელურად ინგლისურ ენაზეც წაგვეყვანა საღამო, რაც დიდ დროს წაგვართმევდა. ვერ შევძლებდით, ქართულად ყველაფერი ბოლომდე გვეთქვა ერთმანეთისთვის და ამიტომ უარი ვთქვი ჰილარი კლინტონის მოპატიჟებაზე!...

**– მანუჩარ, შევარდნაძემ მოგილოცათ იუბილე და სააკაშვილს ან მის რომელიმე ხელქვეითს არ გახსენებიხართ?**

- ეჰ, დიტო, ქაჯეთის ციხეს უფრო ადვილად აიღებს კაცი, ვიდრე სააკაშვილისას!.. დაახლოებით 3 თვის განმავლობაში ვცდილობ, კონტაქტზე გავიდე მაგ კაცთან, მაგრამ სათოფეზე არ ეკარებიან გაზეთს... ვხვდები, რომ სააკაშვილის დამქაშებს „მამულის“ არსებობა ამერიკაში არ უხარიათ!

**– იქნებ, სააკაშვილმა არ იცის, რომ ასეთი გაზეთი ამერიკაში გამოდის?**

- როგორ არ იცის, რას ამბობთ! იანვარში, როცა სააკაშვილი ამერიკაში ბრძანდებოდა, მე პირადად გადავეცი ჩვენი გაზეთი ხელში. სააკაშვილი დამპირდა, რომ აუცილებლად წაიკითხავდა და გაეცნობოდა „მამულს“. პრეზიდენტს ასევე გადავეცი წერილი და ვთხოვე, მისალმებოდა გაზეთის არსებობის ფაქტს, იქვე იყო მითითებული ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, სააკაშვილს საერთოდ არ გავხსენებივართ, მისი დაპირება ფუჭი და ცრუ აღმოჩნდა!..

სააკაშვილის გარშემო გარემოცვამ შექმნა საშინელი და ზუსტად ისეთივე ვაკუუმი, როგორიც შეუქმნეს ცხონებულ ზვიად გამსახურდიას. მეშინია, ეს ყველაფერი ცუდად არ დამთავრდეს!

**– მანუჩარ, მე ვიცი, რომ „მამულმა“ ამერიკაში გამომავალი სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთებიც შეიერთა!**

- დიახ! მოლაპარაკებები იყო მძიმე, მაგრამ მივედით დასკვნამდე, რომ ჯობდა, ამერიკაში ყოფილიყო ერთი მძლავრი ქართული გამოცემა და არა - ბევრი და სუსტი. მე მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო „ასავალ-დასავალის“ მთავარ რედაქტორს, ბატონ ლაშა ნადარეიშვილს. რომ არა მისი გულწრფელი, უანგარო და მამულიშვილური დახმარება, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდებოდა. თუნდაც ის ფაქტი, რომ „ასავალ-დასავალის“ ბოლო გვერდზე საგანგებოდ მითითებულია *„ჩვენი პარტნიორია ამერიკაში გამომავალი გაზეთი „მამული“*, ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მერწმუნეთ, როცა ასეთი პოპულარული გამოცემა გვერდში გიდგას, ჩემთვის დიდი სტიმულია!

**– კიდევ ერთხელ გილოცავთ, ბედნიერად!..**

*ესაუბრა*
**დიტო ჩუბინიძე**

# რა არ ვიცოდით

**ტერაქტამდე ერთი კვირით ადრე ვიღაცამ იმ ავიაკომპანიების აქციები ჩამოყარა, რომელთა თვითმფრინავების ტყუპ ცათამბჯენებს დაეჯახა**



***სექტემბერი საშინელი თვეა: 1999 წელს მოსკოვში, გურიანოვის ქუჩაზე და კაშირის გზატკეცილზე საცხოვრებელი სახლები ააფეთქეს, 2004 წელს ბესლანის სკოლა ჩაიგდეს ხელში ტერორისტებმა. და, 2001 წელს მოხდა მსოფლიოში ყველაზე გახმაურებული ტერაქტი — იერიში მიიტანეს ნიუ-იორკის ტყუპ ცათამბჯენებზე. ყველა ამ ტერორისტულ აქტს ერთი რამ აქვს საერთო. ერთი მხრივ, მათ ისლამისტ ფანატიკოსებს აბრალებენ, მეორე მხრივ — საკმაოდ უცნაური ფაქტები ვლინდება, რომლებიც მომხდარის ოფიციალურ ვერსიებს ეჭვის ქვეშ აყენებს. 1999 წელს უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა რიაზანში რაღაც უცნაური წვრთნა მოაწყო... ბესლანელი მძევლები იხსენებენ სლავური გარეგნობის და სპეცნაზელთამანერებიან ვიღაც პიროვნებებს, რომლებიც მერე უკვალოდ გაქრნენ. ნიუ-იორკის ტრაგედიაც ეჭვებს ბადებს, რომ იქ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ამას აშუქებდნენ. 11 სექტემბრის მოვლენების მთავარი რევიზიონერი არის ფრანგი პუბლიცისტი ტერი მეისანი. 2002 წელს გამოვიდა მისი წიგნი „2001 წლის 11 სექტემბერი. საზარელი მაქინაცია“ და ამის შემდეგ ის ჯორჯ ბუშის მთელი ადმინისტრაციის პირად მტრად იქცა. წიგნში მეისანმა გააკრიტიკა ოფიციალური ვერსია, რომლის თანახმად, ისლამისტმა ფანატიკოსებმა გაიტაცეს თვითმფრინავები და მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპ ცათამბჯენებზე და პენტაგონზე იერიში მიიტანეს. შეერთებულ შტატებზე იერიშის დეტალების შესწავლისას მეისანმა პარადოქსული დასკვნა გამოიტანა: ერთადერთი, ვინც ტერაქტებით მოიგო, თავად ბუშის ადმინისტრაცია იყო. ამასთან, წიგნი ეყრდნობა მხოლოდ თეთრი სახლისა და თავდაცვის სამინისტროს დოკუმენტებს, რომლებშიც მან ბევრი ლაფსუსი შენიშნა. ისინი მიანიშნებს შეთქმულებაზე, ოღონდ არა ისლამისტი ფანატიკოსების, არამედ თავად თეთრი სახლის შეთქმულებაზე. გაზეთმა „ვერსიამ“ ბატონ მეისანს სთხოვა, მკითხველებისათვის ამერიკის ტრაგედიის შესახებ თავისი მოსაზრება გაეზიარებინა.***

**- როდის მიხვდით, რომ შეერთებულ შტატებზე ტერორისტული იერიშის ოფიციალური ვერსია სინამდვილეს არ შეესაბამება? და რამ გადაგაწყვეტინათ, საკუთარი გამოძიება გეწარმოებინათ?**

- თავიდან არ მიფიქრია, რომ ოფიციალური ვერსია ტყუილი იყო. მხოლოდ ეჭვი დამებადა, რომ ამერიკის მთავრობა უსაფრთხოების მოსაზრებით მალავდა ცნობებს. დავიწყე მონაცემების - ჩვენებების, ოფიციალური განცხადებების შეგროვება. და რაღაც მომენტში მივხვდი, რომ იქ ბევრი უზუსტობა და „ანომალია“ იყო.

როგორც იცით, არსებობს თვითმფრინავების გატაცების სამი ვერსია, თანაც, ყველა ოფიციალური. პირველი მათგანი კონგრესისათვის მიცემულ ჩვენებებში შტაბების გაერთიანებული კომიტეტის მეთაურმა რიჩარდ მაიერსმა გამოაცხადა. მეორე ვერსია ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის საჰაერო კოსმოსური თავდაცვის გაერთიანებულმა სარდლობამ ასევე კონგრესის წინაშე გამოსვლისას გამოთქვა. ახლა გაჩნდა მესამე ვერსია - პრეზიდენტის კომისიის ვერსია. და სამივე განსხვავებულია. გამოდის, რომ მათგან ორი ყალბია.

**- შეერთებულ შტატებზე იერიშის შემდეგ ოთხი წელი გავიდა. თქვენ მიერ წამოყენებული შეთქმულების თეორიის შესახებ ამ ხნის განმავლობაში აზრი ხომ არ შეგიცვლიათ?**

- მე შეთქმულების თეორია არ მაქვს. იგი ბატონმა ბუშმა შეთითხნა, როცა განაცხადა, რომ ტერორისტული იერიშები მსოფლიოს იატაკქვეშა ისლამისტებმა მოაწყვეს. მაგრამ დღესდღეობით 11 სექტემბრის ტერაქტის შესახებ ბევრი რამ ვიცით, და გასაგებია, რომ მოვლენათა, სულ ცოტა, ზოგიერთი დეტალი ფალსიფიცირებულია.

ბევრი რამ, უბრალოდ, არ შეიძლებოდა მომხდარიყო. მაგალითად, ამტკიცებდნენ, რომ „ბოინგმა“ პენტაგონის შენობა გაანგრია. არადა, „ბოინგი 757-200“ 13 მეტრი სიმაღლისაა შასიანად, რომელიც მიწასთან მიახლოებისას ავტომატურად იხსნება. ეს სამი სართულის სიმაღლეს უდრის. თვითმფრინავმა კი შენობის ფასადი მხოლოდ პირველი და მეორე სართულების დონეზე დააზიანა.

შენობის დაზიანებამ სიგანეში 19 მეტრი შეადგინა, ამ „ბოინგის“ ფრთების სიგრძე კი თითქმის 40 მეტრია. დაზიანება ბევრად უფრო დიდი უნდა ყოფილიყო.

დავუშვათ, იგი მიწას წამოედო, შასი მოსტყდა და პენტაგონს მხოლოდ ცხვირით შეასკდა, მაგრამ შენობის წინ უამრავი ნანგრევი უნდა ყოფილიყო. თუმცა, არც გაზონია დაზიანებული, არც ღობე, არც სადგომები და არც ვერტმფრენების მოედანი. პენტაგონის განგრეული შენობის არცერთ სურათზე არ არის თვითმფრინავის დამსხვრეული ნაწილები, ისინი არც მეხანძრეებს უნახავთ და არც მაშველებს. სათვალთვალო კამერებსაც რატომღაც არ დაუფიქსირებიათ ის მომენტი, როცა „ბოინგი“ პენტაგონს შეასკდა.

ჩემი აზრით, ამგვარი დაზიანება მხოლოდ პენტაგონისაკენ გაშვებულ რაკეტას შეეძლო და არავითარ შემთხვევაში - თვითმფრინავს.

გარდა ამისა, ეჭვი მეპარება, რომ ტყუპი ცათამბჯენების დანგრევა თვითმფრინავის დაჯახებამ გამოიწვია. ეს თავად ცათამბჯენებში მომხდარი აფეთქების შედეგია, თანაც ეს არ შეიძლება მხოლოდ დაჯახებულ თვითმფრინავში მომხდარ ხანძარს გამოეწვია. უკვე წიგნის გამოცემის შემდეგ უამრავი ვიდეომასალა შევაგროვე. იქ ჯერ კიდევ დანგრევამდე მომხდარი აფეთქებები ჩანს.

აფეთქება ჯერ მიწაზე, მერე კი ცათამბჯენის ზედა სართულებზე მოხდა. შენობაში გაკეთებული ჩანაწერებიდან ჩანს, რომ პირველი სართული მთლიანად კვამლში გაეხვია, რასაც როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ცათამბჯენში მთელ სიმაღლეზე ერთდროული აფეთქებები მოჰყვა, და ვიდეოჩანაწერზე მოჩანს ეს არცთუ ძლიერი აფეთქებები. სწორედ ისინი გახდა შენობების დანგრევის მიზეზი. მოწმე მეხანძრეები ჩვენებებში ამტკიცებდნენ, რომ ეს აფეთქებები დაინახეს და ხმაც გაიგონეს.

11 სექტემბრის შემთხვევის გამომძიებელი კომისიის მუშაობის დროს მნიშვნელოვანი ჩვენებები მისცა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა უილიამ გონზალესმა. იგი შენობიდან გამოსვლაში ბევრ ადამიანს დაეხმარა და თავადაც ბეწვზე გამოასწრო. მან თქვა, რომ აფეთქებები შენობის დანგრევამდე დაინახა. მაგრამ ჩვენებები დახურულ სხდომაზე მისცა, სადაც არც კამერები იყო, არც ჟურნალისტები და ეს ჩვენებები საბოლოო ანგარიშიდან ამოიღეს. ახლა გონზალესზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენენ, რომ თავისი ჩვენებები საჯაროდ აღარ გაიმეოროს.

**- არასასურველ მოწმეზე ზემოქმედებას ვინ ახდენს?**

- ზემოქმედებას მარტო მასზე კი არა, ყველაზე ახდენენ, ვისი სიტყვებიც ოფიციალურ ვერსიას არ ემთხვევა. ეს გახლავთ, მაგალითად, ნიუ-მექსიკოს სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ექსპერტი ვან რომერო. თავიდან იგი ირწმუნებოდა, რომ ასეთი ნგრევა მხოლოდ ასაფეთქებელ ნივთიერებებს შეიძლებოდა, გამოეწვია. მერე თავისი ნათქვამი უარყო.

თქვენ მეკითხებით, თუ ვინ აშინებს ადამიანებს. დარწმუნებული ვარ, გამოძიების ფედერალური ბიურო. გასულ კვირას ისინი გონზალესის ბინაში შეცვივდნენ, კომპიუტერი და სხვა დოკუმენტები წაიღეს. შეერთებული შტატები დემოკრატიული სახელმწიფო აღარ არის.

**- თუმცა, შეერთებულ შტატებში თქვენი წიგნის გამოცემა მოწმობს, რომ იქ სიტყვის თავისუფლება მაინც არსებობს.**

- წიგნი მართლაც ამერიკაში გამოიცა, მაგრამ შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტმა წიგნის გამყიდველთა დაშინება დაიწყო, რის გამოც მათ წიგნის გაყიდვაზე უარი თქვეს. წიგნის მაღაზიებში მას ვეღარ იშოვით. მისი შეძენა მხოლოდ ინტერნეტით არის შესაძლებელი.

**- მაიკლ მურის ფილმის „ფარენჰაიტ 9/11“-ის ამბავს მაგონებს, რომლის გაშვებაზეც კინოგამქირავებლებმა უარი თქვეს...**

- დიახ, მაგრამ მურს დემოკრატიული პარტია უჭერს მხარს, მე კი შეერთებულ შტატებში არავინ მიდგას მხარში.

თანაც, რომელ სიტყვის თავისუფლებაზე მელაპარაკებით! უამრავი ადამიანი არსებობს, რომლებიც ოფიციალური ვერსიის უარყოფას ცდილობენ. მაგალითად, მილიონერმა ჯიმი უოლტერმა, დიდი სამშენებლო კომპანიის მეპატრონემ, თავისი სახსრებით გაზეთებში გამოაქვეყნა ოფიციალური ვერსიის უარმყოფელი მასალა, გამოსცა იერიშის ამსახველი ვიდეოჩანაწერების უფასო დისკები, რომლებიც აშკარად ცხადყოფს, რომ ოფიციალური ვერსია ბოდვაა და სხვა არაფერი. ეს ყველაფერი უზარმაზარი ტირაჟით გავრცელდა მთელ ქვეყანაში. შედეგად კი გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ბატონ უოლტერის დაშინება დაიწყო და იგი იძულებული გახდა, შეერთებული შტატები დაეტოვებინა. ამჟამად იგი ჰოლანდიაში ცხოვრობს.

**- რატომ გგონიათ, რომ ტერაქტის შემკვეთი უსამა ბენ ლადენი კი არა, შეერთებული შტატების ელიტიდან არის ვინმე?**

- ჯერ ერთი, სწორედ ეს ელიტა ტერაქტის დროს ფრიად უცნაურად მოიქცა. 11 სექტემბერს, ნაშუადღევს, ბუში ოფუტის (ნებრასკა) სამხედრო ბაზაზე გაემგზავრა. და იმავე დღეს იმავე ბაზაზე იმ ტრანსნაციონალური კომპანიების წარმომადგენლები ჩავიდნენ,რომელთა ოფისები მსოფლიო სავაჭრო ცენტრში მდებარეობდა. ეს ხალხი იმ დღეს ნიუ-იორკში არ ყოფილა, წინა დღით ისინი ოფუტში საქველმოქმედო საუზმეზე მიიწვიეს, რომელიც „კოკა-კოლას“, Washington Post-ის და მთელი რიგი სხვა გიგანტური კომპანიების მფლობელმა უორენ ბაფეტმა მოაწყო. წარმოგიდგენიათ ასეთი რამ?

ისიც ცნობილია, რომ მსოფლიო სავაჭრო ცენტრში განთავსებული ფირმა „ოდიგო“ შესაძლო ტერაქტის შესახებ ორი საათით ადრე გააფრთხილეს.შემდეგ მათ ამაზე ლაპარაკი აუკრძალეს.

გარდა ამისა, სრულიად აშკარაა, რომ ფინანსური ბობოლების ჯგუფმა ტერაქტის შესახებ წინასწარ იცოდა. 11 სექტემბრამდე ერთი კვირით ადრე ბირჟაზე მაქინაციები დაიწყო, რომლებსაც „წინასწარი ინფორმაციის ბოროტად გამოყენების“ კვალიფიკაცია ეძლევა. „იუნაითედ ეარლაინზის“ (სამხრეთ ცათამბჯენს დაჯახებული თვითმფრინავის მეპატრონე) აქციები 42 პროცენტით დაეცა და ვიღაცამ ამით 5 მილიონი დოლარი იშოვა, ხოლო „ამერიქენ ეარლაინზის“ (ჩრდილოეთ ცათამბჯენს დაჯახებული თვითმფრინავის მეპატრონე) აქციები კი - 39 პროცენტით. ეს სპეკულაცია 4 მილიონადაა შეფასებული. ეტყობა, ვიღაცამ იცოდა, რომ თვითმფრინავებს ტერაქტში გამოიყენებდნენ და ამ ცნობებით ისარგებლა.

უცნაური ცვლილებები მოხდა იმ დროს და იმ კომპანიების აქციების კურსთან დაკავშირებით, რომლებიც ცათამბჯენებში იყო განთავსებული. მაგალითად, ესენია „მორგან სთენლი“ და „მერილ ლინჩი“. მკვეთრად შეიცვალა იმ სადაზღვევო კომპანიების კოტირებაც, რომლებსაც ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ფართობის მოიჯარეებთან.

და რაც ყველაზე საოცარია, როცა ამის შესახებ ცნობილი გახდა, საქმეში ძალიან კარგად ჩახედულმა ანონიმურად მოქმედმა სპეკულანტებმა უარი თქვეს „ამერიქენ ეარლაინზისგან“ 2,5 მილიონი დოლარი დამატებითი მოგების აღებაზე, რაც ტერაქტამდე ვერ მოასწრეს.

სხვა თუ არაფერი, უცნაურია, რომ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ არ შეისწავლა ეს კვალი, ხოლო ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოძიება შეწყვიტა.

სხვა მომენტებიც არის. პრეზიდენტის კანცელარიის პრესმდივნის - არი ფლაიშერის თქმით, ტერორისტებმა საიდუმლო სამსახურს თავიანთი გეგმები ტელეფონით აცნობეს, ამასთან, პრეზიდენტის კანცელარიის კოდები და შიფრები გამოიყენეს. ეს კოდები მხოლოდ ადამიანთა ძალიან ვიწრო წრემ იცის.

2001 წლის დეკემბერში კი ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ტელევიზიით პირველი იერიში მანამდე ნახა, სანამ მეორე მოხდებოდა, თუმცა, პირველი იერიში ძმებმა ნოდეებმა შემთხვევით გადაიღეს ვიდეოზე და ეთერში ეს კადრები მხოლოდ 13 საათის შემდეგ გადაიცა. ესე იგი ბუშს სხვა ჩანაწერი აჩვენეს, ხოლო რაკი ჟურნალისტებმა არაფერი იციან პირველი ტერაქტის სხვა შემთხვევით ვიდეომოწმეთა არსებობის შესახებ, მაშასადამე, იგი სპეცსამსახურებმა გადაიღეს, წინასწარ მოემზადდნენ რა იმისათვის, რაც მოხდებოდა.

რაც შეეხება ბენ ლადენს, საიდან მოიტანეთ, რომ იგი ავტონომიური ფიგურაა. ეს კაცი ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის აგენტი იყო და იმის არავითარი მტკიცებულება არ არსებობს, რომ ახლაც არ არის.

ზოგიერთი ოფიციალური პირი ამტკიცებს, რომ სპეცსამსახურებთან ბენ ლადენის ურთიერთობის შეწყვეტა სომალიში 1991-1995 წლების ომის შემდეგ მოხდა, ზოგი კი ირწმუნება, რომ 1998 წლის 7 აგვისტოს - ნაირობიში (კენია) და დარ-ეს-სალამში (ტანზანია) ამერიკის საელჩოების აფეთქების შემდეგ. უამრავი ვერსია არსებობს სრულიად განსხვავებული თარიღებით. და ეს უცნაურია.

ასეა თუ ისე, არ მჯერა, რომ ავღანეთის მღვიმეებში თავშეფარებულმა კაცმა ასეთი რთული ტერაქტი ჩაიფიქრა, დაგეგმა და განახორციელა. ერთადერთი, რაც მას შეუძლია, დროდადრო არაბული ქვეყნების ტელეეკრანებზე გამოჩნდეს და განაცხადოს: „დიახ, ეს მე გავაკეთე!“

**- მაგრამ ხომ ცნობილია ტერაქტების შემსრულებელნი, ისინი ყველა არაბები არიან და შეერთებული შტატების სპეცსამსახურებთან და ამერიკელ პოლიტიკოსებთან მათ კავშირს ვერავინ მიაკვლია. სამაგიეროდ, არსებობს ბენ ლადენთან მათი კავშირის დამადასტურებელი არგუმენტები.**

- მართლაც, პრაქტიკულად მაშინვე გამოცხადდა 19 არაბის სახელი, რომლებმაც ვითომდა ოთხი თვითმფრინავი გაიტაცეს. შემდეგ გაირკვა, რომ ხუთი ტერორისტი კამიკაძე ახლაც საღ-სალამათია, ხოლო ერთმა მათგანმა - ვალიდ ალ-შეხრიმ, მართლაც კასაბლანკაში მომუშავე პილოტმა, არაბულ გაზეთს ინტერვიუც კი მისცა.

მოდით, განვაგრძოთ. ოფიციალური ვერსიით, 19 ტერორისტმა გაიტაცა 4 თვითმფრინავი და ხუთ-ხუთ კაციან სამ და ოთხკაციან ერთ ჯგუფად განაწილდნენ. ჩრდილოეთ ცათამბჯენს დაჯახებულ თვითმფრინავში 78 უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, ნათესავებმა ისინი ამოიცნეს, მაგრამ, თავად ავიაკომპანიის ცნობებით, იქ სულ 81 კაცი იმყოფებოდა, ესე იგი ტერორისტები სამნი იყვნენ. კიდევ ერთი გატაცებული თვითმფრინავი ჰაერში ფეთქდება. ამ თვითმფრინავში 38 მგზავრი იყო, დაღუპულად კი 36 გამოცხადდა. ესე იგი იქ მხოლოდ ორი ტერორისტი იყო.

ისინი ამტკიცებენ, რომ ტერორისტების წინამძღოლის მოჰამედ ათის ბარგში არაბულ ენაზე წერილი იპოვეს, რომელიც ადასტურებს, რომ ეს კაცი სიკვდილისთვის ემზადებოდა. იცით კი, რა სიტყვებით იწყებოდა ეს წერილი? „სახელითა ღმერთისათა, ჩემი და ჩემი ოჯახისათვის“. არცერთი მუსლიმანი ამას არ იტყვის. ტრადიციული მუსლიმანური ფორმულა ასეთია: „სახელითა ღმერთისათა, მოწყალესი და მიმტევებლისა“. საკუთარი თავისა და ოჯახის ხსენება ამერიკელ პროტესტანტთა მრავალ ჯგუფშია გავრცელებული. ეს წერილი, უბრალოდ, ყალბია, ნაჩქარევად შეთითხნილი იმ კაცის მიერ, რომელიც ისლამურ ტრადიციებსაც კი არ იცნობს. მისი ავტორი პროტესტანტია.

ვფიქრობ, რომ ოფიციალურად აღიარებული ცნობები არ შეიცავს ტერაქტის ჩამდენთა ზუსტ რაოდენობას, მათი სახელები კი ოქმიდან, სპეცსამსახურების რაღაც ძველი საბუთებიდანაა ამოღებული.

**- თქვენი კრიტიკოსები ამბობენ, რომ თქვენი აზრების გაბათილება ადვილია. მგონი, წიგნიც კი გამოიცა თქვენი წიგნის მსგავსი სათაურით „11 სექტემბერი: საზარელი სიცრუე“, რომელშიც თქვენი გამოძიების შედეგებია გაბათილებული.**

- ყველა ამბობს, რომ ეს ყველაფერი ადვილი გასაბათილებელია, თუმცა, ჯერ ვერავინ მოახერხა ეს. თუ ყველაფერი, რასაც ვამბობ, უსაფუძვლოა, მაშ 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენათა გამომძიებელმა კომისიამ რატომ თქვა უარი, მოესმინათ ჩემთვის და იმ სხვა ადამიანებისათვის, რომლებიც ოფიციალურ ვერსიას აკრიტიკებენ?! როგორც ამბობენ, ხომ ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ ჩემი არგუმენტების გაცამტვერება.

ჯორჯ ბუში ამბობს, რომ ეს დამოუკიდებელი კომისიაა, მაგრამ იგი დამოუკიდებელია მხოლოდ კონგრესისაგან და მთლიანად თეთრი სახლის კონტროლს ექვემდებარება.

ახლა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი თავის საიტზე ჩემ წინააღმდეგ ბუკლეტს აქვეყნებს, რომელშიც ამტკიცებს, რომ დეზინფორმაციის მსოფლიო ლიდერი ვარ, მაგრამ პასუხს არ იძლევიან კითხვებზე, რომლებსაც ვსვამ.

**- ეს ყველაფერი შეერთებული შტატების უმაღლეს ჩინოსანთა რეაქციას ეხება. რა იცით**

**თქვენი გამოკვლევის შედეგებზე უბრალო ამერიკელთა რეაქციის შესახებ?**

- შეერთებული შტატების ბევრი მცხოვრებიც ჩემსავით ცდილობს, მოძებნოს იმის რეალური მტკიცებულებანი, თუ რა მოხდა სინამდვილეში 11 სექტემბერს. გამოკითხვის თანახმად, რომელიც სოციოლოგიური გამოკვლევების დიდმა და პატივსაცემმა კომპანიამ Zogby International-მა ჩაატარა, ამერიკელთა ნახევარზე მეტს გამოძიების შედეგების არ სჯერა. ბევრ ჟურნალისტს ჩემსავით მიაჩნია, რომ ჯორჯ ბუშმა იერიშის შესახებ იცოდა და დაუშვა იგი. და, ბუნებრივია, ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე ის არის. ნიუიორკელთა ნახევარს ოფიციალური ვერსიის არ სწამს.

**- თქვენი მტკიცებით, გამოდის, რომ ისლამისტები აქ არაფერ შუაში არიან, ყველაფერი თავად ამერიკაში ვიღაც პოლიტიკოსების ბრალია. მაგრამ შტატებს ეს რაში უნდა სჭირდებოდეს? რა მიზანს ისახავს?**

- უსამართლობა იქნებოდა მთელი ქვეყნის დადანაშაულება. ეს მხოლოდ ეგრეთ წოდებული „ქორების“ პატარა ჯგუფია: დიკ ჩეინი, დონალდ რამსფელდი, ჯორჯ ბუში და მათი მსგავსნი. მათი მიზანია, მთელ მსოფლიოში შეერთებული შტატების სამხედრო გავლენა დაამყარონ. ზოგიერთმა, სამუელ კინგის მსგავსად, ტერაქტებამდე კარგა ხნით ადრე წიგნი დაწერა იმის შესახებ, თუ როგორ წარმოუდგენიათ ახალი მსოფლიო წყობა. და ამას ტრანსნაციონალური კორპორაციების ბატონობაში ხედავენ. შეერთებული შტატების არმიას მხოლოდ მათი ინტერესებისათვის გამოიყენებენ. დღეს სწორედ ეს ხდება. ნადგურდება სხვა ქვეყნების ეკონომიკები. შეერთებული შტატების ეკონომიკა, ძირითადად, ომისთვის მუშაობს. ადამიანებისთვის საჭირო საქონელი ნაკლები იწარმოება, სამაგიეროდ, მეტი რაკეტები, თვითმფრინავები, ავიამზიდები იქმნება.

ცხოვრების დონე, სამედიცინო მომსახურება, ქვეყნის შავკანიანი მოსახლეობის განათლება, გაეროს კაცობრიობის განვითარების შესახებ ბოლო ანგარიშის თანახმად, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა, ბოლო სამ წელიწადში შემცირდა და კვლავაც დაქვეითებას განიცდის. ახლა იგი ფასდება როგორც „საშუალოზე და-ბალი“.

ეს შეერთებული შტატების შიგნიდან დანგრევაა. ნადგურდება ინფრასტრუქტურა და მართვის ძველი სისტემა. იხურება უფასო საავადმყოფოები.

რასაც ბაღდადში, თავიანთ ქვეყანაშიც იგივეს აკეთებენ. შეხედეთ ახალი ორლეანის კადრებს: ჯარისკაცები თანამემამულეებს ვერტმფრენებიდან ესვრიან, თითქოს ბაღდადში საბრძოლო ოპერაციას ახორციელებენო. ისინი კერძო საკუთრებას იცავენ და სულაც არ ანაღვლებთ, რომ ადამიანებს შიათ და სწყურიათ. ახლა შავკანიან ამერიკელებსა და ერაყელებს შორის განსხვავება აღარ არსებობს! ამავე დროს, აძლიერებენ ამერიკის არმიას, რომლის ბიუჯეტი წლიდან წლამდე მატულობს...

**- ამერიკა ბოლო წლებში მართლაც ძალიან შეიცვალა. ტერაქტის შემდეგ გაუქმდა ბევრი დემოკრატიული ნორმა, მაგრამ ოქტომბერში Patriot Act-ის მოქმედების ვადა გადის, რომელიც 11 ოქტომბრის ტერაქტის პასუხად მიიღეს. ამ დოკუმენტის მთელი რიგი პუნქტების მოქმედების ვადა შეზღუდულია - იგი ოთხი წლითაა განსაზღვრული. როგორ გგონიათ, ოქტომბრის შემდეგ ამერიკა აღიდგენს №1 დემოკრატიის რეპუტაციას?**

- ეს დოკუმენტი ხანგრძლივი ვადითაა მიღებული. რას ნიშნავს Patriot Act? ეს გარკვეულ მომენტში რაღაც გამოწვევის პასუხად მიღებული პატარა კანონი როდია. ეს კანონთა უზარმაზარი კრებულია. მის შესაქმნელად მრავალი თვეა საჭირო, წლები თუ არა. ამ კანონს ჯონ ეშკროფტის ხელმძღვანელობით იურისტთა ჯგუფი ფარულად ქმნიდა. მათ კანონის წერა ტერაქტებამდე რამდენიმე წლით ადრე დაიწყეს, ხოლო 11 სექტემბრის მოვლენებიდან ერთ კვირაში პირდაპირ დაუდეს კონგრესს. ეს ნიშნავს, რომ მათ საბაბით ისარგებლეს, რათა თავიანთი კანონპროექტი გაეტანათ. თავისუფლებათა შეზღუდვა ტერაქტამდე ბევრად ადრე იყო ჩაფიქრებული.

***- როგორ ფიქრობთ, მსოფლიო პოლიტიკის მეინსტრიმი, ანუ ტერორთან ბრძოლა, მხოლოდ შირმაა ახალი წყობის დამყარებისათვის?***

- მრავალი სახის ტერორიზმი არსებობს. ის შეიძლება გამოიყენონ როგორც მთავრობებმა (რობესპიერის დიქტატურას 1793 წელს „ტერორი“ ეწოდებოდა), ისე ოპოზიციურმა უმცირესობებმაც. ზოგჯერ ტერორიზმი სავსებით გამართლებულია. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობა საოკუპაციო ძალების და კოლაბორაციონისტების, სამხედროებისა და სამოქალაქო პირების წინააღმდეგ ტერორისტულ აქტებს მიმართავდა. ტერორიზმი არც სახელმწიფოა, არც ორგანიზაცია, არც დოქტრინა - ეს მოქმედების სახეობაა. გამოთქმა „ტერორიზმთან ბრძოლა“ თავისთავად სხვა არაფერს გულისხმობს, თუ არა - „ომს ომის წინააღმდეგ“.

როცა ადამიანები პალესტინაში თავისუფლებისათვის იბრძვიან, ამას ტერორიზმი ეწოდება, მაგრამ ამასთან გასაგები საბოლოო მიზანიც არსებობს. და ძალიან ბევრი ადამიანი, რომლებიც ტერორიზმს გმობენ, პალესტინელთა მიზნებს სიმპათიით ეკიდება.

როცა 11 სექტემბრის, ლონდონში აფეთქებებისა თუ ბესლანის სკოლაზე თავდასხმის მსგავსი მოვლენები ხდება, ეს სულ სხვა ტერორია. ეს არ არის ხალხის ბრძოლა. ეს არის მოქმედება, რომელსაც მხოლოდ დაშინების მიზნით მიმართავენ. ტერორიზმის ეს სახეობა სპეცსამსახურების მანიპულაციაა.

და კიდევ, საიდან მოიტანეთ, რომ შეერთებული შტატები, საერთოდ, ებრძვის ტერორიზმს? შესაძლოა, გსმენიათ ლათინურ ამერიკაში ლუის პოსადა კარილესთან დაკავშირებული სკანდალის შესახებ. ის ვენესუელელია, რომელიც „ცივი ომის“ დროს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან თანამშრომლობდა და კუბის წინააღმდეგ მთელი რიგი ტერორისტული აქტები მოაწყო, მათ შორის, 1976 წელს თვითმფრინავი ააფეთქა, რის შედეგადაც 76 უდანაშაულო მოქალაქე დაიღუპა.

კარილესმა თავისი მემუარები New York Times-ში რამდენიმე წლის წინათ გამოაქვეყნა და ახლა იგი შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. კუბამ და ვენესუელამ მოითხოვეს, რომ გასასამართლებლად მათთვის გადაეცათ. მაგრამ ბუშის ადმინისტრაცია ტერორისტს ხელს აფარებს, ამიტომ არავითარ ექსტრადიციაზე ლაპარაკი არ არის. შეერთებული შტატები აცხადებს, რომ ტერორიზმს ებრძვის და სხვა ქვეყნებს ხელშეწყობას სთხოვს, თუმცა, ამავე დროს, ძებნილ ტერორისტს თავშესაფარს აძლევს.

# 11 სექტემბრის შესახებ




## ჟურნალისტი ტერი მეისანი: ისლამისტებს ტერაქტთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ!



**ტერი მეისანი — ცნობილი ფრანგი პუბლიცისტი და პოლიტოლოგი. „ვოლტერის ქსელის“ პრეზიდენტი და მთავარი რედაქტორი (www. voltairenet.org). ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში ადამიანის უფლებათა ექსპერტი. Children's Bridge Foundaition, ობოლ ბავშვთა დახმარების საქველმოქმედო ორგანიზაციის ადმინისტრატორი. თანამშრომლობს მემარცხენე ყაიდის მთელ რიგ ევროპულ ორგანიზაციებთან. ავტორია მთელი რიგი წიგნებისა, რომელთაგან ყველაზე ცნობილია 2002 წელს გამოცემული წიგნი „2001 წლის 11 სექტემბერი. საზარელი მაქინაცია“.**

მოგონებები...ნატვრა... ფიქრი...

# თბილისობა უჩვენოდ

30 ოქტომბერს, ზუსტად იმ დროს, როცა ჩვენი გაზეთი იუბილეს აღნიშნავს, თბილისი თავის დღესასწაულს ზეიმობს -თბილისობას, როცა საქართველოს ყოველი კუთხე თავს იყრის თბილისის ძველ უბანში და ერთ მთლიანობაში წარმოადგენს ქართულ სულს, ხასიათს, ჩვევა-ტრადიციასა და სიმდიდრე-სიუხვეს.

მე დღეს ამერიკაში ვარ, მაგრამ მთელი სულითა და გონებით ვუერთდები ამ ზეიმს, სანახაობას, რომელიც ხიდს იქით იწყება...

გზა მოკირწლულია... გზის აქეთ-იქით ღობეებია. ღობეებს იქით კი მთელი სამყარო კახელ კაცს შემოულობავს. ქარვისფრად ციმციმებენ ვაზის მტევნები, საწნახელები სამაჭრე ღვინით ადუღებულან, ჯამებში საფერავი ლალისფრად გამოსჭვივის, მძიმედ დაკიდებულან ყვითელი კომშები, ორღობის სიმწვანეს ანათებს მწიფე ვაშლებიც, მძაფრი და საამო სუნი დგას. შემოგეგებება მხიარული მასპინძელი, გულღია კახელი კაცი და ღვინით სავსე ფიალას მოგართმევს, სამშობლოს სადღეგრძელოს შემოგთავაზებს. მისი ღიმილი უარის თქმას ვერ გაგაბედინებს და სულმოუთქმელად გამოსცლი თასს. სასიამოვნო გრძნობა დაგივლის ტანში, მასპინძელს მადლობას გადაუხდი და გზას გააგრძელებ.

ფიქრთა თვალით შევყურებ ორღობის გარეთ მდგარ ბებერ მუხას, რომელიც ქართლს კახეთისაგან ყოფს. აქედან იწყება კაკლების ხეივანიც. ჩამდგარან ეს დიდებული ხეები შიგ ღობეებში, ასულან მაღლა და გადმოუბურავთ, გადმოუბნელებიათ გზა. კაკლის ქვეშ თოკით დაბმული ბოჩოლები დაბერილი ნესტოებით ისუნთქავენ გასრესილ წენგოს სუნს. სათნო ქართველი დედაკაცი კაკლის ჩურჩხელებს მთელი სიყვარულით ავლებს, ჰაერში თათარის სუნი ტრიალებს. ორღობის გადაღმა კი თვალისმომჭრელად ციმციმებენ წითელი ვაშლები. მიახლოებისას ტაბაკზე დალაგებულ ხილეულს აუცილებლად შემოგაგებებთ ქართლელი დიასახლისი. აშკარად იგრძნობ ქართლელი კაცის სიდარბაისლეს, საოცარი გრძნობა გიპყრობს და წინ მიგიწევს ცნობისმოყვარეობა. წინ კი იმერული ეზო გაიპრანჭება და თავისი სისუფთავითა და სიკოხტავით დაგატყვევებს. ჭინსაფარ-აფარებული მანდილოსანი იმერული მასპინძლობით მოგართმევთ კეცებში გამომცხვარ ხაჭაპურსა თუ მჭადს, მადის აღმძვრელი სუნი მიგიზიდავს და უნებურად გაიფიქრებ: რამდენი თავისებურებაა ამ პატარა ქვეყნის ცალკეულ კუთხეში? სად შეუძლია ამ პატარა ქვეყნის თითოეული კუთხის მკვიდრს ასეთი განსხვავებული, მაგრამ იმავდროულად ერთნაირი იყოს?! თითქოს ერთი მთელის სხვადასხვა ნაწილია თითოეულში...

ვაგრძელებ ფიქრთა გზას... იქვე გურული ოდაც აღმართულა, ხის მოაჯირებით მორთული. მისი მასპინძელიც თავისთან გიხმობს, გიდელით ადესას გთავაზობს... უნდა გასინჯო რომ არ იწყინოს, მასაც უნდა შეუქო ნაჯაფი. თვალებბრიალა პატარა გოგონაც შემოგანათებს ცისფერი ბრდღვიალით, ეზოს სიღრმეში მხარზე კალათაშედგმული ქალიც გამოჩნდება მკვირცხლი ღიმილით. ესეც ჩვენი ქვეყნის ერთი ნაწილია.

წინ გასწევ... წინ კი... უცნაური ხმა გამოგარკვევს ფიქრებიდან... ხედავ აბჯარასხმულ მეომრებს, პრიალა ხმლებით მოპაექრეთ. მთიულები ცეკვავენ ,,ხანჯლურს''. იქვე თვალებ-ეშხიანი ქალი მანდილს აფრიალებს. ეს ცეკვაა... მე კი მახსენდება... ადრე, ალბათ, ასე ზავდებოდნენ კიდეც თუშ-ფშავ-ხევსურნი, ქართველთა ვაჟკაცობისა და გმირობის სიამაყენი.

სულ დაბლა საქართველოს ზღვისპირეთიც მეპატიჟება. კოლხეთის ლამაზი ასული, მედეას შთამომავალი, ჯამით თავისი მიწის ნობათს შემომაგებებს და მე კი, მის მჭვრეტელს ტკბილი მეგრული ნანა ჩამესმის ყურში, ის იავნანა, დედა ბავშვობაში რომ მიმღეროდა და უნებურად ბავშვობას ვნატრობ...

გზა გრძელდება... აი ბოლო სახლიც, ბოლო გალავანიც - ქართული მთის სიმბოლო სვანური ციხე-კოშკი, ,,ლილეს'' სიმღერით შემოგხვდება ძირძველი სვანი...

... ფიქრთა გზას მივუყვები და უნებურად სიამაყე ილვიძებს ჩემში. ეს ჩვენი ქვეყანაა - საქართველო - ასეთი პატარა და თან ასეთი დიდი!...

**ია სხულუხია**





# ხვალ ჟიული შარტავას დახვრეტენ!

*ხვალ 27 სექტემბერია — სოხუმის დაცემის ავადსახსენებელი დღე!*
*ხვალ გამყიდველი ქართველები, რუსი სამხედროები, აფსუა სეპარატისტები და ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს ასაოხრებლად გადმოთრეული ფანატიკოსები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს — ჟიული შარტავას სოხუმიდან გუდაუთისკენ მიმავალ გზაზე დახვრეტენ!...*
*ხვალ შევარდნაძე სოხუმიდან თბილისში გამოიპარება...*
*ცეცხლმოკიდებულ ქალაქს, რომლის ჩასაბარებლადაც შევარდნაძემ ორი თვით ადრე დაიჭირა თადარიგი, ანუ 1993 წლის 27 ივლისს სოჭის შეთანხმებით, აფხაზეთის დამცველებს ტანკები და მძიმე არტილერია ჩამოართვა, ვერავინ და ვეღარაფერი უშველის!* ***ნუ დაუჯერებთ ცრუ ზღაპარს, შევარდნაძე სოხუმიდან თვითმფრინავით არ გამოსულა. სახელმწიფოს მეთაური იგორ გიორგაძის სპეცრაზმმა ჯავშანტრანსპორტიორით გამოარიდა სოხუმს.*** *ედუარდ ამბროსოვიჩს ჯავშანმანქანით გაუყენებენ ჭუბერის გზას, სადაც მას ვერტმფრენი ელოდება; ვერტმფრენი შევარდნაძის გენერლებით ისეა გაძეძგილი, რომ ამდენ ხალხში თაგვი კუდს ვერ მოიქნევს. შეშინებული და მშობიარე ქალივით აკივლებული გენერლები, რომლებსაც პანიკამ ადამიანის სახე წაართვა, ვერტმფრენში შევარდნაძეს ადგილს არ უთმობენ... ძალის გამოყენება გახდა საჭირო, ავტომატები აახრაკუნეს და ორი თუ სამი კაცი კაბინიდან გადმოათრიეს... ადგილი გათავისუფლდა, შევარდნაძე ვერტმფრენში ავიდა და გამოფრინდა... ჟიული შარტავა მკვდარია... 18 წლის ვინმე* ***ალეშკა პაპასკირს*** *რუსთა და გადამთიელთა ტყვეობაში ჩავარდნილი ჟიული შარტავასთვის უკვე მოესწრო მუხლების გადაცხრილვა... არ იჩოქებდა, თურმე, ჟიული შარტავა და ტყვიებით გადაუმსხვრიეს მუხლები, ფეხზე რომ ვერ დამდგარიყო; მერე დახვრიტეს, დახვრიტეს მამია ალასანიაც...*

შევარდნაძე თბილისისკენ მოფრინავს... სოხუმი იწვის, სოხუმში საქართველოს მტრები ქართველების გვამებზე ცეკვავენ. **შევარდნაძე კიდევ დიდხანს იფრენს... ჯერ მას „მოქალაქეთა კავშირი“ აქვს შესაქმნელი, ჯერ მან საქართველოში უკლებლივ ყველა არჩევნები უნდა გააყალბოს, პოლიტიკური მოწინააღმდეგეები საიქიოს გაისტუმროს, ვისაც ვერ მისწვდება, „ტერორისტად“ გამოაცხადოს და მერე დადგას უკანასკნელი სპექტაკლი - „ვარდების რევოლუცია“.**

ჟიული შარტავას უფროს ვაჟს - **კახა შარტავას,** რომელიც ოთხ შვილს უზრდის უბედურ საქართველოს და რომლისთვისაც „ვარდების რევოლუციამ“ სამსახური ვერ გამონახა, ერთ-ერთ შეკრებაზე უთქვამს: **„ჩვენ, აფხაზეთში დაღუპულთა შვილები, არასოდეს ვიკითხავთ - „რატომ“, თუ გვეცოდინება - „რისთვის!“**

**„რისთვის“** და იმისთვის, რომ მოსკოვის საერთაშორისო დიპლომატიური აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და უცხო ენების შესანიშნავად მცოდნე **კახა შარტავა არველაძისა და ბოკერიას ხელისუფლებამ ლუკმაპურის გარეშე უნდა დატოვოს!**

**„რისთვის“ და იმისთვის, რომ მიხეილ სააკაშვილმა იუსტიციის მინისტრობის დროს წიგნი დაწეროს - „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის“,** მერე ბატონ ჟიულის ოჯახს ეროვნული გმირის ორდენი გადასცეს, მერე დაახლოებით ჩემი გვარის კაცს - **ირაკლი ჩუბინიშვილს** დაავალოს - ბატონი ჟიულის შვილების სამსახურზე იზრუნეო და მერე **ყველაფერი ფეხებზე დაიკიდოს!...**

**გემწარათ? გული გატკინათ ჩემმა სიტყვებმა? სად გაქვთ თქვენ გული!...**

ედუარდ შევარდნაძემ უნიჭიერესი ჟიული შარტავა და ჟიულის გარემოცვა ქვეყნის ხელისუფლებას გვერდით **არასოდეს** გააკარა. შევარდნაძემ ჟიულის ერთადერთხელ უხმო რეალური თანამდებობის დასაკავებლად და **ისიც მაშინ, როცა სოხუმის ბედი მოღალატე მთავარსარდალს გადაწყვეტილი ჰქონდა.** კომკავშირი - ჟიულის სფერო, ქვეყნის ცხოვრებაში ამინდს, ფაქტობრივად, ვერ ქმნიდა, მაგრამ ჟიული მაინც ცდილობდა, არ ჩერდებოდა, არ ნებდებოდა...

**1976 წელს მისი ინიციატივით დაარსდა კომკავშირული ქალაქი „ბორის ძნელაძე“,** რომელიც იმდროინდელ „საბჭოთა



**იცნობდეთ: ლიხნელი ალეშკა პაპასკირი, მან ჟიული შარტავასათვის შევარდნაძის მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი აღასრულა!**

კავშირში“ ერთადერთი და განუმეორებელი იყო. ეს გახლდათ უმშვენიერესი ქალაქი ხელოვნური ტბით, სასტუმროებით, ბიბლიოთეკებით, საგამოფენო დარბაზებით, კინოთეატრით, **რომელიც შავნაბადაზე მოკალათებულმა კიტოვანის „გმირთაგმირმა“ გვარდიელებმა მთლიანად იავარყვეს და გაძარცვეს.** აქ იდგა ცნობილი მოქანდაკის - **გიორგი შხვაცაბაიას** მიერ ბრინჯაოში ჩამოსხმული ოთხმეტრნახევრიანი ძეგლი ჩვენი სათაყვანებელი პოეტის - **მირზა გელოვანისა.** მირზა ჯარისკაცის ფორმაში იყო გამოსახული, ზუსტად ის ფარაჯა ეცვა, რომელშიც მტერთან ბრძოლაში დაიღუპა სრულიად ახალგაზრდა. **კიტოვანის ტვინშერყეულმა გვარდიელებმა, თბილისის ასაოხრებლად რომ ემზადებოდნენ და კბილებს ილესავდნენ, მირზა გელოვანი მეორედ მოკლეს და ავტომატებიდან მიზანში ესროდნენ ჭაბუკ პოეტს. მერე ტყვიებით დაცხრილული მისი ქანდაკება საერთოდ გააქრეს კომკავშირული ქალაქიდან და თურქეთში, სტამბოლის ბაზარზე გაყიდეს...**

გვარდიელებმა ჯერ ამოთხარეს და მერე ააფეთქეს ის ისტორიული კაფსულაც, რომელიც ჟიული შარტავას თაოსნობით 70-იანი წლების მიწურულს კომკავშირული ქალაქის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილას ჩაიფლა. ეს იყო სტუდენტობის მიმართვა XXI საუკუნის ახალგაზრდებისადმი, იმედით, რწმენითა და სამშობლოს სიყვარულით აღსავსე მიმართვა.

უნიჭიერესი მხატვრის - **დათო კრაწაშვილის** ნამუშევრები ქალბატონმა **ნარგიზა ლომთაძემ** იღბლად გადაარჩინა განადგურებას და დათოს დედას შინ მიუტანა. დათო კრაწაშვილი სრულიად ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან **ისევე, როგორც მირზა გელოვანი. დღეს მის ნახატებს სარდაფის ნესტი ჭამს და პატრონი არ გამოჩნდა ქვეყნად, რომ ამ ძვირფას ნამუშევრებს რომელიმე მუზეუმში მიუჩინოს ბინა.**

ახლა კომკავშირული ქალაქის ტერიტორიაზე **ანტიტერორისტული ცენტრია...** გულით მინდოდა იქ მისვლა, ფოტოკორესპონდენტები იმ ადგილებს გადაიღებდნენ, სადაც მირზა გელოვანის ძეგლი იდგა, სადაც 21-ე საუკუნის ახალგაზრდობისადმი გაგზავნილი მიმართვა ამოთხარეს და მერე ააფეთქეს, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს პრესსეკრეტარის - **ნანა ინწკირველის** მოხელთება ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა. რამდენჯერაც მოვიკითხე, იმდენჯერ მიპასუხეს, - შენობაშია, ხშირად ეძახიან, შემოდის და გადისო!... საინტერესოა, რას დარბის ეს ქალი ამდენს, სად მუშაობს, თავდაცვის სამინისტროში თუ „პაჟარნიაში?“

ის კი არადა, **თავდაცვის სამინისტროში სამი დღე მოუნდნენ იმის დადგენას, რომ ყოფილი კომკავშირული ქალაქის ტერიტორია, თურმე, უშიშროების სამინისტროს ექვემდებარება!...**

**ასე ვაპირებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას?**

**ვაი, ჩვენს პატრონს უბედურს!...**

ჟიული შარტავას მიერ აშენებულ ქალაქში დღეს ამერიკელები ტერორისტებზე მონადირეებს წვრთნიან... კარგი საქმეა, ღმერთმანი, მაგრამ რა **კარგი იქნებოდა, საქართველოს ერთი-ორი ანტიტერორისტი იმ ავბედით წუთებში გამოსჩენოდა, როცა ქართველებმა დღემდე გაუგონარი ტერაქტი მოუწყვეს თავის სამშობლოს და რუსთაველის პროსპექტზე ცოდვის კალო დაატრიალეს!**

ჟიული შარტავა ყოველთვის პატრიოტი იყო. მას საქართველო **კომუნიზმის მწვერვალებიდანაც უყვარდა, კომკავშირის ავანგარდიდანაც, ხოლო როცა უმუშევარი დარჩა და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში არავინ დაუძახა, მაშინაც საქართველოს კეთილი მომავალი აცისკროვნებდა ჭეშმარიტი პატრიოტის დაუცხრომელ სულს.**

ვიდრე ამ წერილის წერას დავიწყებდი, უამრავ ადამიანს ველაპარაკე - ბატონი ჟიულის ახლობლებს, მეგობრებს, ნაცნობებს... ვალტერ შურღაიასაც დავურეკე, რომელმაც გასაოცარი ამბავი მიამბო.

მოგეხსენებათ, ვალტერ შურღაია ზვიად გამსახურდიას უახლოესი თანამებრძოლი და შევარდნაძის მიერ დამხობილი უზენაესი საბჭოს წევრი იყო. მას საქართველოს თავისუფლების დეკლარაციაზე აქვს ხელი მოწერილი.

**1991 წლის ავადსახსენებელ 22 დეკემბრამდე 5-6 დღით ადრე, ვიდრე თბილისში ომი გაჩაღდებოდა, ბატონ ჟიულის ბატონი ვალტერისთვის შეუთვლია, - თქვენთან ლაპარაკი მინდა და თუ შეიძლება, დაგირეკავთო!... უზენაეს საბჭოში დაურეკავს ვალტერ შურღაიასთვის ჟიული შარტავას და უთქვამს, - ბატონო ვალტერ, ჩვენ ერთმანეთს, მართალია, არ ვიცნობთ, მაგრამ ჩემი სახელი და გვარი გაგონილი გექნებათ, ჟიული ვარ შარტავა!... გადაეცით პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას, რომ ამ დღეებში შეიარაღებული ოპოზიცია თქვენ აუცილებლად დაგართყამთ! ნუ გექნებათ იმის ილუზია, თითქოს ესენი სისხლისღვრას მოერიდებიან და არ ისვრიან! ამათ საგანგებო დავალება აქვთ მიცემული და ამ დავალებას აუცილებლად შეასრულებენ... ვფლობ დაზუსტებულ ინფორმაციას, რომ ოპოზიცია მთავრობის სასახლეზე სამხედრო შტურმს გეგმავს, გთხოვთ, ეს ამბავი აუცილებლად აცნობოთ პრეზიდენტს!..**

ცხადია, ჟიული შარტავას სიტყვები გამართლდა და თბილისში ომი დაიწყო!..

რაოდენ დიდბუნებოვანი კაცი ყოფილხართ, ბატონო ჟიული!.. ზვიად გამსახურდიას თქვენთვის არც თანამდებობა უბოძებია, არც უზენაეს საბჭოში გაუფენიათ თქვენთვის წითელი ხალიჩები, **მაგრამ ზოგიერთი ვაიქართველივით ავტომატი არ გადაგიკიდებიათ მხარზე და თბილისის ზღვაზე არ დაგიწყიათ სირბილი!...**

**როგორ გყვარებიათ საქართველო, ბატონო ჟიული!...**

ზემოთ ვთქვი, **შევარდნაძემ ჟიული შარტავას ნიჭიერი გუნდი ქვეყნის რეალურ მმართველობას ახლოს არ გააკარა-მეთქი. ბატონ ჟიულის ედუარდ ამბროსოვიჩმა აღმასრულებელ ხელისუფლებაში პირველად და უკანასკნელად უხმო - ცეცხლმოკიდებულ სოხუმში ჩაიყვანა, მერე ხაფანგი დაუგო და სასიკვდილოდ გაწირა!...**

1993 წლის 27 ივლისს, სოჭის შეთანხმების შემდეგ, აფხაზეთში მოჩვენებითმა მშვიდობამ დაისადგურა. **ეზიდებოდა და ეზიდებოდა რუსული კრეისერებით შევარდნაძე აფხაზეთიდან ჩვენი ჯარის ტანკებსა და ქვემეხებს. როცა სოხუმში ტანკი აღარ იყო, როცა ჩვენი ბიჭები ავტომატის იმედად დარჩნენ, 16 სექტემბერს რუსებმა, აფსუებმა და ჩრდილოეთ კავკასიელმა გადამთიელებმა სოხუმის დაბომბვა დაიწყეს... მანამდე, ერთი დღით ადრე, 1993 წლის 15 სექტემბერს, შევარდნაძემ ჟიული შარტავა სოხუმიდან თბილისს იხმო. იმ ღამეს შევარდნაძის კაბინეტში საქართველოს ნომერ პირველი მოღალატე და მომავალი ნომერ პირველი გმირი შელაპარაკდნენ, თურმე...**

***ჟიული:*** *- ბატონო ედუარდ, სოხუმში კატასტროფული ვითარება და მოჩვენებითი სტაბილიზაციაა, სასწრაფოდ გამოაცხადეთ საყოველთაო მობილიზაცია და გადავარჩინოთ აფხაზეთი!...*

***ედუარდი:*** *- ჟიული, შენ ყველაფერი მაქსიმალური გინდა და რაღაც გეჩვენება!*

***ჟიული:*** *- ბატონო ედუარდ, ჩვენ აფხაზეთს დავკარგავთ და ქართველი ერისთვის ეს კატასტროფა იქნება!*

***ედუარდი:*** *- არაფერიც არ მოხდება!*

***ჟიული:*** *- როცა მოხდება, უკვე გვიან იქნება და აფხაზეთის დაბრუნებას წლები დასჭირდება!*

ამის შემდეგ ჟიული შარტავამ, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა იშვიათი ზრდილობითა და რკინის ნერვებით, ვეღარ მოითმინა, **შევარდნაძის კაბინეტის კარი გაიჯახუნა და წავიდა.** დილით ადრე იგი სოხუმში მიფრინავდა. შინ მისული ოჯახს მოეფერა... ერთი თვე ფეხთ არ გაეხადა და ფეხები საშინლად დასიებოდა, თურმე. მალევე წავიდა და მეუღლეს, ქალბატონ ლიას, რომელსაც ხანმოკლე განშორების ჟამს ყოველთვის ასე ეტყოდა,- „ნახვამდის“, სიცოცხლეში პირველად უთხრა, - **„მშვიდობით!“**

მეორე დღეს, 16 სექტემბერს, სოხუმის დაბომბვა დაიწყო და თბილისსა და სოხუმს შორის საჰაერო მიმოსვლა შეწყდა. ჟიული შარტავა იძულებული გახდა, ბათუმში ჩაფრენილიყო და აჭარიდან წასულიყო სოხუმს.

ასლან აბაშიძემ ურჩია, თურმე, - **ჟიული, შევარდნაძეს აფხაზეთი გაყიდული აქვს, არ წახვიდე, თორემ შენ გაგწირავს და თვითონ საღ-სალამათი დარჩება!... არ დაუჯერა ასლან აბაშიძეს!..** სოხუმისკენ მიიჩქაროდა, უპატრონოდ მიტოვებულ ქალაქს, უმეთაუროდ დარჩენილ მეომრებს ხელმძღვანელი სჭირდებოდა და წავიდა.

**როცა შევარდნაძემ თავისი „შპიონების“ წყალობით შეიტყო, თუ რას ეუბნებოდა ასლან აბაშიძე ჟიული შარტავას, მაშინვე დაქოქა ცხრა ღობეზე გადამხტარი ე. წ. ჟურნალისტ-აბრამიჩები და ჟიულის სიკვდილის შემდეგ ქართული პრესა წალეკა იმ ბინძური წერილების ნიაღვარმა, სადაც მავანი ამტკიცებდა, რომ თითქოს აბაშიძე სოხუმის დაცემის დღეს არძინბას კაბინეტში იჯდა, თითქოს ასლან აბაშიძემ უბრძანა ჟიულის დაჩოქება და რაკი არ დაიჩოქა გმირთაგმირმა, იგი ასლანის ბრძანებით დახვრიტეს!...**

ამ ბინძური ცილისწამების შესახებ შეიტყო თუ არა, ასლან აბაშიძემაც აუშვა თავისი მსტოვრები და როგორც იქნა, მიაკვლია **იმ კაცს,** ვინც იმ ე. წ. ჟურნალისტებს ეს საშინელი და გულისამრევი ისტორია შეუთხზა. იგი აღმოჩნდა **შევარდნაძის ერთ-ერთი გენერალი, ძველი „კაგებეშნიკი“,** რომელსაც მაღალი თანამდებობის მიუხედავად, 5 წლის განმავლობაში აბაშიძე ჩოლოქს იქით არ ახედებდა.

როგორც იქნა, მივადექით ჩვენი წერილის ყველაზე უფრო კულმინაციურ და საინტერესო ადგილს!...

მაინც, როგორ მოკლეს ჟიული შარტავა?



ქიული შარტავა სულხან-საბას ბიუსტზე მუშაობისას. 1959 წელი



საქართველოს პარლამენტის სხდომაზე. 1993 წელი



ქიული შარტავასა და საქართველოს ახალგაზრდობის მიმართვა XXI საუკუნისადმი, რომელიც კომკავშირულ ქალაქში, ამ ლოდის ქვეშ იყო დაფლული, პუტჩისტებმა ააფეთქეს!

# შენს საფლავზე ყვავილებს მოიტანენ მხოლოდ ღმერთები!!!

1993 წლის 27 სექტემბრის სოხუმის ქრონიკის გასაცოცხლებლად უამრავი თვითმხილველისა თუ წერილობითი წყაროს მოძიება მომიხდა. ინფორმაციის შეჯერების შედეგად აღდგა სურათი, რომელსაც ერთადერთი სიტყვა აწერია სისხლით - **„ღალატი“.**

დიახ, ღალატის ბრალი იყო, რომ 3 500 ქართველი მეომარი 58 ერთეული ჯავშანტექნიკით იმ დაქცეულ დღეს კოდორზე არ გადმოვიდა და სოხუმი დაეცა!...

27 სექტემბერს, სისხამ დილით, სოხუმის გარეუბანში, ე.წ. „ბერიას დაჩაზე“, სადაც შევარდნაძე, ჟიული შარტავა, ჟიული შარტავას დაცვის წევრები და იქვე, მოედანზე, უპატრონოდ მიგდებული ჯარისკაცები იყვნენ, თათბირი დაიწყო. ჟიული შარტავას მხლებლებთან და აპარატის თანამშრომლებთან ერთად დაეტოვებინა მინისტრთა საბჭოს შენობა და დაცარიელებული ქალაქი...

**შევარდნაძემ გარშემომყოფთ თვალი მოავლო და ჟიულის უთხრა: - მე მაქვს რეზერვები, ახლახან მაცნობეს, რომ სოხუმში მინისტრთა საბჭოს შენობას უახლოვდება ჩვენი ჯარი, რომელმაც გადმოლახა კოდორი!...**

- თუ ეს მართლაც ასეა, ბატონო ედუარდ, მაშინ მე მივდივარ მინისტრთა საბჭოში და ჩვენს ბიჭებთან და მოხალისეებთან ერთად ვბრუნდები სოხუმში!

ეს იყო მისი ბოლო სიტყვები... ამის შემდეგ, როგორც გია ბარამიძე ამბობს, ჟიული შარტავა ჩაჯდა კრემისფერ „ჟიგულში“ და წავიდა!...

ცხადია, შევარდნაძეს არც რეზერვები აღმოაჩნდა და არც ის 3 500 კაცი შემოსულა სოხუმში - მინისტრთა საბჭოს შენობასთან მისულ ჟიული შარტავას კანიბალებმა ალყა შემოარტყეს და იგი „მარშრუტკაში“ გადასვეს...

**ჟიული შარტავა დახვრიტეს...**

1994 წლის იანვარში ჟიული შარტავას მეუღლეს, ქალბატონ ლია შარტავას თბილისში ტელეფონით აცნობეს, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობას, ილია მეორეს მასთან შეხვედრა სურდა. ქალბატონი ლია პატრიარქს ესტუმრა. **ილია მეორემ ქალბატონ ლიას უამბო ერთ მეტად უცნაურ და საინტერესო წერილზე, რომელიც საქართველოს საპატრიარქოში ტამბოვიდან გამოეგზავნათ.**

პატრიარქის თქმით, წერილის ავტორი განათლებული, კავკასიური წარმომავლობის რუსი სამხედრო ოფიცერი უნდა ყოფილიყო, რომელიც აფხაზეთში **ქართველების წინააღმდეგ** იბრძოდა. სოხუმის დაცემის შემდეგ ამ ოფიცერს სინდისი ქენჯნიდა, თურმე, პატიებას სთხოვდა ქართველებს თავისი დანაშაულისათვის და წერდა, რომ ერს, რომელსაც ისეთი ვაჟკაცი ჰყავს, როგორიც იყო შარტავა, გადაშენება არ უწერია!..

რუსი ოფიცრის თვალწინ დაუხვრეტიათ ჟიული შარტავა... გადამთიელი იმასაც წერდა, რომ ბატონი ჟიულის გვარი რომ არ დამვიწყებოდა, სიგარეტის კოლოფზე დავწერე „Øàðòàâà“. მოვიხიბლე მისი ვაჟკაცობით, არ დაიჩოქა, არ შეშინდა და მერე ეს გმირი კაცი **18 წლის პაპასკირმა დახვრიტაო.** დიახ, გვარს **„პაპასკირი“,** ტამბოველი ოფიცერი, თურმე, გარკვევით წერდა. წერილის მიხედვით, ჟიული შარტავა მდინარე გუმისთის ხიდთან დაუხვრეტიათ.

ქალბატონმა ლია შარტავამ, როცა პატრიარქს წერილი ასლის გადასაღებად სთხოვა, მისმა უწმინდესობამ მიუგო, რომ რუსი ოფიცრის წერილი გადასცა თავის პირად მდივანს - **შორენა თეთრუაშვილს** კანცელარიის სამდივნოში გადასაცემად. - ვიფიქრე, ეს წერილი ხელისუფლებას გამოძიებასათვის დასჭირდებოდაო!.. - უთქვამს ილია II-ს. ქალბატონ ლიას შორენა თეთრუაშვილმაც დაუდასტურა, რომ წერილი შევარდნაძის კანცელარიას ჩააბარა. **კანცელარიაში მისულ ლია შარტავას შევარდნაძის მონებმა ხელები გაუსავსავეს, - რა წერილი, რის წერილი, ჩვენ არაფერი ვიცითო!...**

ისევ **შორენა თეთრუაშვილთან** მიბრუნებულა ქალბატონი ლია... **ახლა უკვე პატრიარქის მდივანი „ამჩტარა“,** - მე რა ვიცი, ჩემგან რა გინდათ, იმათ ჩავაბარეო!...

**ახლა, ალბათ, ჩემი აზრი გაინტერესებთ, ძვირფასო მკითხველო!**

მოგახსენებთ და ჩემი შეფასება უსასტიკესი იქნება: **- ცხვრის ტყავში გახვეულმა ტამბოველმა მგლებმა, რომლებიც ეკლესიასა და ხელისუფლებაში არიან მოკალათებულნი, ტამბოვიდან რუსი ოფიცრის მიერ გამოგზავნილი აღსარების ბარათი გააქრეს და კიდევ ერთხელ მოკლეს ჟიული შარტავა!**

თქმა არ უნდა, რომ **ჟიული შარტავას შევარდნაძემ ხაფანგი დაუგო და სასაკლაოზე გაუშვა.** რა იყო ამის მიზეზი, რატომ გაწირა შევარდნაძემ, როგორც თავად არაერთხელ უთქვამს, თავისი „მეგობარი“? აქ ჩვენ კატეგორიულები ვერ ვიქნებით, მაგრამ შეიძლება დავასახელოთ სამი ვერსია!...

**პირველი:** ჟიული შარტავა შევარდნაძემ მანქურთებს იმიტომ ჩაუგდო ხელში, რომ ბატონი ჟიული, თურმე, ტელევიზიით აპირებდა გამოსვლას და შევარდნაძის დადანაშაულებას სამშობლოს ღალატში.

**მეორე:** სოხუმში ჟიული შარტავამ თავის კაბინეტში შემთხვევით წაასწრო „ვჩ“-თი გენერალ გრაჩოვთან რუსულად მოლაპარაკე შევარდნაძეს. შევარდნაძემ იეჭვა, ჟიულიმ რაღაც ისეთი ხომ არ გაიგონა, რაც არ უნდა გაეგონაო და...

**მესამე:** ჟიული შარტავამ გააფრთხილა ლოთი ქობალია, რომ სასწრაფოდ შეეცვალა დისლოკაციის ადგილი, თორემ ღამით ზვიადისტების ამოხოცვას აპირებდა შევარდნაძე. ქობალიამ ლაშქარი აჰყარა!.. იმ ღამეს ვერტმფრენებიდან მართლაც დაიბომბა ის ადგილები, სადაც ედუარდ ამბროსოვიჩის ზვიადისტების ჯარი ეგულებოდა!...

**ხვალ 27 სექტემბერია!...**

## ხვალ ჟიული შარტავას მოკლავენ

ამაყი მზერით გამოდიხარ მოგონებიდან და ცოცხლებს კვლავ სიცოცხლეზე გვესაუბრები. არ ჩაძირულა შენი ხომალდი, რამეთუ, როგორც მისმა ერთადერთმა ღირსეულმა კაპიტანმა, ბოლო წუთებშიც კი არ ისურვე მისი დატოვება.

რა ვუყოთ, თუ შენც იმ ბედკრული საქართველოს შვილი ხარ, რომლის ტერიტორიაც მეფეთ-მეფე დავითის შემდეგ თითქმის ოთხჯერ დაპატარავდა.

რა ვუყოთ, თუ შენც ამ ცოდვის იმპერიაში იმსახურე, თუმცა - იმსახურე და არ ემსახურე!!!

შენ არ გიძებნია ედელვაისი, ედელვაისმა თავად მოგძებნა!

რამდენ ვინმეს შურდა არათუ შენი უდიდესი კომპეტენტურობისა, არამედ შენი ჩრდილისაც კი.

რამდენ რამეს იტევდა შენი დუმილი...

შენ დიოგენეს ფანარიც გქონდა და მისი ყავარჯენიც!

შენი ოთახის კარზე, ოთახისა, რომელშიც გვიან ღამემდე ენთო შუქი, ყოველთვის აკაკუნებდა მაცხოვარი და შენც ყოველთვის აღებდი კარს.

გამარჯვებასაც საიდუმლოდ ინახავდი, თუმცა იცოდი, რომ მტრებს, უარეს შემთხვევაში, შეიძლებოდა მხოლოდ მოეკალი.

შენი დიდებული ვაჟკაცები და უსათნოესი მეუღლე ყოველთვის ამაყად ივლიან ამ მიწაზე და შენც, დიადად გარდაცვლილო, იმ საუფლოში კაცად გარდასულო, კიდევ ერთხელ გაგვახსენე, რომ საქართველოს დიდი მკვდრები ჰყავს.

მახსოვს, როგორღაც სიმბოლურად მითხარი: შენი დაბადებიდან ასი წლის თავზე, 2061 წელს, დედამიწას კვლავ ჩაუვლის ჰალეის კომეტა და ჩვენს პლანეტას კუდიც რომ გაჰკრას, საქართველო მაინც გადარჩებაო. ამ თარიღს, ბუნების კანონებიდან გამომდინარე, ჩვენ ორნი, ცხადია, ისედაც ვერ მოვესწრებოდით, თუმცა გულს ვიმშვიდებ, რომ შენ, უკვდავების გზაზე გასული, ჰალეის კომეტის ასიათასობით გამოჩენას შეხვდები.

ამიტომაც აღარ გიტირებთ...

ამიერიდან შენს საფლავზე ყვავილებს მოიტანენ მხოლოდ ღმერთები!!!

ლაშა ნადარეიშვილი



და იქმნა ქალაქი, ქიულის ქალაქი!

*„რევოლუციურმა ერთიანმა გუნდმა“ მორიგი ძლიერი რყევა განიცადა... ერთ მუშტად შეკრულმა უმრავლესობამ და მიხეილ სააკაშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს სასწრაფო იმპიჩმენტი მოუწყვეს და გუნდიდან კეთროვანივით მოიშორეს, შემდეგ მისი მისამართით შენიშვნები და საყვედურებიც არ დაიშურეს, თუმცა, საფრანგეთში გაზრდილმა ქალბატონმა იპოდრომზე გრანდიოზული შეკრება მოაწყო და ხელისუფალთ დაანახვა, რომ მათ არც იმდენი მომხრე ჰყავთ, როგორც ამის წარმოჩენა სურთ! ხელისუფლებას არც ის უნდა გამორჩენოდა მხედველობიდან, რომ საზოგადოებაში უკმაყოფილება დღითი დღე იზრდება და იპოდრომზე გამართული სპონტანური შეკრება ამისი ნათელი მაგალითია... არსებობს მოსაზრება, რომ ზურაბიშვილი და სააკაშვილი შეთანხმებულად მოქმედებენ და პრეზიდენტი მისი ფავორიტი მინისტრისგან მართულ ოპოზიციას ქმნის... თუმცა, ქალბატონი სალომე ამ მოსაზრებას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილმა თავისი არაკორექტული განცხადებებით საბოლოოდ მოიჭრა მასთან მისასვლელი გზა... ვესაუბრებით საგარეო საქმეთა ექს-მინისტრს სალომე ზურაბიშვილს.*

**– უკვე ბევრი რამ ითქვა თქვენი იმპიჩმენტის შესახებ... ემოციურმა ფონმაც გადაიარა... იქნებ გვითხრათ, რა მოხდა რეალურად?**

- ვფიქრობ, მე ვიყავი ბოლო წვეთი და რაღაც სიმბოლო, რომელიც უნდა მოეშორებინათ. ისინი ფიქრობენ, რომ თავიდან მოიცილეს ხელისუფლების დაკარგვის საფრთხე, თუმცა, მათ ნელ-ნელა ეცლებათ ხელიდან ძალაუფლება. მათი პირადი ინტერესები ჩემთვის უმნიშვნელო იყო და ამიტომ მიაჩნდათ, რომ ხელისშემშლელი ვიყავი როგორც საგარეო, ისე შიდა პოლიტიკაში. ჩემს ფონზე კარგად გამოჩნდა მათი რეალური სახე. ყველამ დაინახა, რომ ისინი ნამდვილი ქაჯები არიან! მათ შეექმნათ ჩემი, როგორც პოლიტიკური ფიგურის შიში, თუმცა, საკმაოდ დაუფიქრებლად მოიქცნენ და თავად გამხადეს პოლიტიკოსი!

**– ეს იყო ბრძოლა ქალბატონებს შორის?**

- ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი სისულელეა. ჩემი მხრიდან ბურჯანაძესთან შეჯიბრის საფუძველიც არ არსებობდა. ალბათ, მას ჰქონდა შიში და ფიქრობდა, რომ კონკურენტი გამოუჩნდა, თუმცა, საეჭვოა, რომ ჩემი იმპიჩმენტის საფუძველი ეს გამხდარიყო...

**– როგორც ამბობენ, ხელისუფლებაში თქვენ მხოლოდ მიხეილ სააკაშვილს უწევდით ანგარიშს და პრეზიდენტის კარზეც საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდით...**

- ვფიქრობ, „ერთიანი გუნდიდან“ ჩემი მოკვეთის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. ცხადია, სააკაშვილისადმი სხვა განწყობა მქონდა და ეს ჩვენს ურთიერთობაზეც აისახებოდა. ნათელია, მათ ჩემი მყარი პოზიციისა თუ მდგომარეობის შეეშინდათ. როგორც ჩანს, თავიდან ფიქრობდნენ, რომ ჩამოვდიოდი ვიღაც ევროპელი, რომელიც ზერელე და მართვადი მინისტრი იქნებოდა, მაგრამ ჩემი პრინციპებიდან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ მათ ხშირად შევუშალე ხელი საკუთარი ინტერესების განხორციელებაში და ამ გუნდმა ეს არ მაპატია.

**– ისე, ხალხს თავს ისტორიული ფრაზითაც დაამახსოვრებთ: საქართველოში ქაჯები კი არ მოდიან, მიდიანო... ვის გულისხმობდით ქაჯებში – ნინო ბურჯანაძეს?**

- მასაც, თუმცა, ამ შემთხვევაში, ინდივიდები არ მაინტერესებს, რადგან ეს ნაკრები უსახო ჯგუფია, წარსულის გადმონაშთი, კომუნისტური მენტალიტეტისა და სისტემის ნარჩენი. ამ გუნდს მე „რუსებსაც“ ვეძახი, თუმცა, აქვე გავემიჯნები მოსაზრებას, რომ რუსეთმა მომხსნა და ჩემი ბედი კრემლში გადაწყდა. ჩემი მოხსნა არის ინსტინქტური რეაქცია მომაკვდავი ძალის, რომელიც გრძნობს, რომ მისი დღეები დათვლილია. ესენი გრძნობენ, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება გაუჭირდებათ და პარლამენტში ახალი ძალების მოსვლით მათი პირადი ინტერესები საბოლოოდ დასამარდება.

**– გზიდან თქვენი ჩამოშორება რატომ გახდა საჭირო?**

- იმიტომ, რომ კონკრეტული მიზნების განხორციელებაში ვუშლიდი ხელს. მაგალითად, ვეწინააღმდეგებოდი რუსეთში შენობების გაყიდვას... რატომღაც მათ აქვთ ილუზია, რომ ჩემი მოშორებით გავლენას და მდგომარეობას შეინარჩუნებენ, რაც სრული სისულელეა!

**– ამბობენ, ნინო ბურჯანაძეს ჰქონდა შიში, ერთ მშვენიერ დღეს თქვენ არ გამხდარიყავით პარლამენტის თავმჯდომარე...**

- გზიდან ჩემი ჩამოცილების ერთ-ერთი ელემენტი, შესაძლოა, ესეც იყო. ზოგი, ალბათ, ბურჯანაძეს ეუბნებოდა, რომ მე გავხდებოდი პარლამენტის თავმჯდომარე, ზოგიც, ალბათ, სააკაშვილს „აფრთხილებდა“, რომ შესაძლო იყო ზურაბიშვილს ხელი შეეშალა მისთვის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, რადგან სხვა უფრო სერიოზული და ალტერნატიული კანდიდატი არ არსებობსო. ეს ყველაფერი ემატებოდა ჩემ გარშემო აგორებულ ეგრეთ წოდებულ შავ პიარს.

**– გამოდის, რომ ხელისუფლებამ მორიგი პოლიტიკურად მცდარი ნაბიჯი გადადგა, რადგან თქვენ საკმაოდ აქტიურად ემზადებით პოლიტიკაში მოსასვლელად...**

- დარწმუნებული ვარ, ისინი ფიქრობდნენ, რომ საფრანგეთში დავბრუნდებოდი... რეალურად კი ნამდვილად არ მიცნობენ! ადამიანი პროგნოზს აკეთებს იქიდან გამომდინარე, როგორ მოიქცევა თავად ამა თუ იმ ვითარებაში. მათთვის წარმოუდგენელია, რომ ამ მდგომარეობაში მე უცხოეთში ჩემს კარიერას მივატოვებ, მშვიდ და უზრუნველ ცხოვრებაზე უარს ვიტყვი და საქართველოში ყოველგვარი ფუფუნების გარეშე ვიცხოვრებ. თუნდაც, ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ელჩის დანიშვნა უცხოეთში ვიზიტის დროს გავიგე, რითაც სულელურ ვითარებაში ჩამაყენეს, გათვლილი იყო ქართულ ხასიათზე. იფიქრეს, ვიტყოდი, - რადგან მაწყენინეთ, საქართველოს ჯანდაბამდე გზა ჰქონიათქო და წავიდოდი საფრანგეთში... ჯერ ერთი, ეს ჩემს ხასიათში არ ჯდება და, მეორეც, ვიცოდი, რომ ადამიანებს, რომლებიც ასე გამეტებით მებრძოდნენ, სწორედ ეს უნდოდათ და გადავწყვიტე, სანამ არ გადამაყენებდნენ, ჩემი ნებით არავითარ შემთხვევაში არ გადავმდგარიყავი! ვაცხადებ: ვრჩები საქართველოში და ვიწყებ პოლიტიკურ ცხოვრებას! თუმცა, დღეს არცერთ პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანება არ შეიძლება, რადგან ყველა მათგანი დისკრედიტებულია! მაგრამ ვითანამშრომლებ ყველა მათგანთან, მათ შორის, ზვიადისტებთანაც!

**– როგორი იყო თქვენი და მიხეილ სააკაშვილის უკანასკნელი შეხვედრა?**

- ჩვენ შორის ძალიან თბილი და გულახდილი საუბარი შედგა... მას პირდაპირ ვუთხარი, რატომ მებრძოდნენ მისი თანაგუნდელები და ისიც დავძინე, რომ ეს ყველაფერი მის წინააღმდეგაც ისევე იყო მიმართული, როგორც - ჩემ მიმართ. ვუთხარი: თუ უკან დაიხევთ და მკაცრი რეაქცია არ გექნებათ შექმნილ ვითარებაზე, მაშინ უნდა ჩათვალოთ, რომ მომავალშიც ხშირად მოგიწევთ პოზიციის დათმობა... თქვენი ძალა დამოკიდებულია რეიტინგზე, რომელიც ძალიან დაეცა და მომავალში უფრო დაეცემა-მეთქი, მაგრამ... პირისპირ საუბარში არ მითქვამს, თუმცა, არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ჩემი იმპიჩმენტის საკითხი გაცილებით ადრე გადაწყდა. ამ შემთხვევაშიც საზოგადოებას ისეთივე შოუ აჩვენეს, როგორსაც შადრევნების გახსნის დროს მართავენ ხოლმე! ჩვენი საუბარი ისე დასრულდა, თითქოს, გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ იყო მიღებული, მითხრა: - კიდევ მომეცი დრო მოფიქრებისთვის, ჩემთვის ამ საკითხის გადაწყვეტა ასეთი ადვილი არ არისო... ვუთხარი, რომ ტელევიზიით გავაკეთებდი განცახადებას, რადგან ამის გადადება მეტად აღარ შეიძლებოდა, რომ ეთერშიც იმავეს ვიტყოდი, რაზეც მასთან ვისაუბრე და მერე თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილება, როგორ მოიქცეთ-მეთქი. მითხრა: კარგით, თქვენ გამოდით ტელევიზიით და როგორც კი მივიღებ გადაწყვეტილებას, დაგირეკავთო... მაშინვე ვიფიქრე, ჩემი გამოსვლის გამოყენება ხომ არ უნდა-მეთქი, თუმცა, უკან დახევაზე არც მიფიქრია, რადგან ისეთი არაფერი დამიშავებია, რომ გავჩუმებულიყავი. როგორც ჩანს, ჩემი გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა და იფიქრა, რაიმე ისეთს ვიტყოდი, რითაც გაამართლებდა ჩემს მოხსნას. ალბათ, სააკაშვილი კარგი მოთამაშეა და მის გულწრფელობაში მოვტყუვდი. არ მომეწონა შემდეგ მისი გამოსვლა უშიშროების საბჭოს სხდომაზე. ეს აბსურდის თეატრი ჩემთვის ძალიან მძიმე საყურებელი იყო.

**– მას შემდეგ, რაც განცხადება გააკეთეთ და პრეზიდენტმა თქვენი მოხსნა გადაწყვიტა, პირობა შეასრულა და დაგირეკათ?**

- არა, არც მას დაურეკავს და არც - პრემიერ-მინისტრს, თუმცა, მასთანაც საკმაოდ კონსტრუქციული შეხვედრა მქონდა და არც კი დაეთანხმა იმ ბრალდებებს, რაც ჩემ მიმართ პარლამენტს ჰქონდა . ხელისუფლებას შეეშინდა, ქუჩაში ათასობით ადამიანი რომ გამოვიდა და ახლა ეძებენ „კომპრომატებს“, რითაც ჩემს გათავისუფლებას გაამართლებენ. ითქვა, რომ თურმე, უარი ვთქვი კონდოლიზა რაისთან შეხვედრაზე, რადგან ჩემს ყოფილ მოადგილეს - გოგა გომიაშვილს უნდა შევხვედროდი; იმასაც ამბობენ, რომ ნაჩხუბარი და გაბუტული ვარ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან; თურმე, არ ვიყავი წარმატებული დიპლომატი... ახლა ყველა სამინისტროსთან მუშაობენ იმაზე, მონახონ მიწერ-მოწერის რაიმე დოკუმენტი, რითაც დაადასტურებენ, რომ მუშაობა არ მიდიოდა ჩემს უწყებაში. ფაქტია, რომ ხელისუფლება ხალხის ქუჩაში გამოსვლამ ძალიან შეაშინა. ახლა ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ როგორმე ჩემი დისკრედიტაცია შეძლონ, მაგრამ არაფერი გამოუვათ, რადგან ჩემი წარსული მათ ამის საშუალებას ნამდვილად არ მისცემს. ისიც განაცხადეს, რომ, თურმე, უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტი შემოუთავაზებიათ, მაგრამ თუკი ასეთი წარუმატებელი საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი, რომ იმპიჩმენტი მომიწყვეს, რატომ მნიშნავდა სააკაშვილი უშიშროების საბჭოს მდივნად?! ესეც ხომ ალოგიკურია?! მე ყველაფრისთვის მზად ვარ, შესაძლოა, რამე კომპრომატებიც შექმნან! ნაკლებად მეშინია იმის, რომ ფიზიკურად გამისწორდებიან, თუმცა, ბევრი მაფრთხილებს...

**– პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, ზურაბ ჟვანია რომ ცოცხალი ყოფილიყო, პოლიტიკური მოვლენები ასე არ განვითარდებოდა...**

- მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ ჟვანიასთან არცთუ კარგი დამოკიდებულება მქონდა, ვფიქრობ, რომ ის ასეთ რამეს არ დაუშვებდა! ჩვენ შორის ურთიერთობა იმიტომ დაიძაბა, რომ ჩავთვალე, ჩემთან დაპირისპირების პირველი ტალღა მისგან მოდიოდა... დღემდე არ ვიცი, მართალი ვიყავი თუ არა, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: მასაც ახასიათებდა კომპრომატების ენით საუბარი. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ მოვლენებს, მას ბევრი საერთო ჰქონდა ამ ადამიანებთან, მაგრამ ზურაბ ჟვანიასთვის საქართველოს ინტერესები ძალიან მნიშვნელოვანი იყო! ამათ კი ქვეყანა საერთოდ არ აინტერესებთ.

**– ისე, როგორ ფიქრობთ, ზურაბ ჟვანია მოკლულია თუ უბედური შემთხვევის მსხვერპლია?**

- არსებობს ეჭვები და არცთუ უსაფუძვლო. ეს შეკითხვა საზღვარგარეთაც ხშირად დაისმის, მაგრამ მჯეროდა, რომ ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, უბედური შემთხვევის ვერსიის გამორიცხვა არ შეიძლებოდა. თუმცა, ერთი რამ მინდა, გითხრათ: დღეს მე ზურაბ ჟვანია მიცავს!.. არა მგონია, პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების შემდეგ ვინმემ ჩემი ფიზიკური ლიკვიდაცია გაბედოს...

*ესაუბრა* **მაია მარგველანი**

# სალომე ზურაბიშვილი:

# დღეს მე ზურაბ ჟვანია მიცავს!



# პრეზიდენტმა პოლიტიკური შეცდომა დაუშვა!

*ამ მომენტისათვის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს არც სახლი აქვს თბილისში (ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს), არც - მანქანა და, რაც მთავარია, არც - ფული ახალი მოძრაობის დასაფინანსებლად. სამაგიეროდ, როგორც თავად აცხადებს, აქვს პასუხისმგებლობა, ენერგია, ენთუზიაზმი და ხალხის დიდი მხარდაჭერა!*

**– ქალბატონო სალომე, პოსტიდან გადადგომის შემდეგ ერთ დღეში სახალხო გმირი გახდით, იპოდრომზე თქვენს მხარდასაჭერად თხუთმეტი ათასამდე ადამიანი მოვიდა... იყო თუ არა ეს წინასწარ ორგანიზებული?**

- ეს იყო ხალხის სპონტანური რეაქცია, წინასწარ ორგანიზებული ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელი გახლდათ პრეზიდენტის გადაწყვეტილება.

**– როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა ასეთი გადაწყვეტილება პარლამენტის ზეწოლით მიიღო, ყოველ შემთხვევაში, მასმედიის საშუალებით ასე დაფიქსირდა...**

- ეს იყო პოლიტიკური შეტევა პრეზიდენტზე და იგი იძულებული გახდა ვა-ბანკზე წასულიყო. მე განვაცხადე, რომ პრეზიდენტს ამ შეტევაზე პარლამენტის დაშლით უნდა ეპასუხა, ეს იქნებოდა კონტრნაბიჯი მისგან და იგი კვლავ მოიპოვებდა ხალხში პოპულარობას, მაგრამ ვერ გადადგა ეს ნაბიჯი! არ გამოვრიცხავ, რომ იყო ისეთი დეტალები, რამაც იძულებული გახადა, ასე მოქცეულიყო. **პრეზიდენტმა დაუშვა პოლიტიკური შეცდომა. ახლა ხალხის ძალა და პოპულარობა ჩემკენ გადმოვიდა.**

**– პოსტიდან თქვენი დათხოვნა ხომ არ არის გარეშე ძალებთან დაკავშირებული?**

- მე არ მჯერა კონსპირაციების თეორიისა და არც გარეშე ძალების, რადგან საქართველო არ არის არც ევროპის და არც ამერიკის ინტერესების ცენტრში. **ერთადერთი, შესაძლებელია, რუსეთის სამიზნე იყოს.** ის, რაც მოხდა, გახლდათ შიდა სისტემური მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის.

**– როგორ ფიქრობთ, პოსტიდან თქვენი გადაყენების შემდეგ საქართველო პოლიტიკურ კურსს რუსეთისკენ აიღებს?**

- **შესაძლოა!** რუსეთს სპეციფიკური პოლიტიკური სისტემა აქვს, სადაც სისუსტეს ან არამტკიცე პოზიციას გრძნობს, ლავირებს... **არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთი ისარგებლებს ამ სიტუაციით და ეცდება, შემოიჭრას...**

**– ქალბატონო სალომე, თქვენ, როგორც ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერი, დარწმუნებული ხართ, რომ უფრო მეტს გააკეთებთ, ვიდრე საგარეო საქმეთა მინისტრი?**

- ჩემი არჩევანი რომ ყოფილიყო, ჯერ დავამთავრებდი იმას, რაც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას დავიწყე. ვფიქრობ, 2006 წელი გადამწყვეტი იქნება სამშვიდობო პროექტებისათვის კონფლიქტებთან დაკავშირებით. ვფიქრობ, მშვიდობიანი გზა ერთადერთია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დასაბრუნებლად. ეს არის საქართველოს მთლიანობის გზა!

**– რა პოლიტიკური ბერკეტები გექნებათ ამისათვის?**

- პოლიტიკური ბერკეტები არ მექნება, მაგრამ მექნება საზოგადოების მხარდაჭერა, რაც უთუოდ დიდი ძალაა!

*ესაუბრა* **მარიკა კახაძე**

# არსებობდა კი სტალინი?

## ბელადის ცხედრის ექსპერტიზის უცნობი დეტალები

***რამდენჯერაც უნდა მივუბრუნდეთ სტალინის გარდაცვალების თემას, იმდენჯერ დაიბადება ახალი და ახალი უპასუხო კითხვები, გაჩნდება ეჭვი და დაფიქრების საბაბი. ყველაზე გავრცელებულ ვერსიად კვლავ რჩება ბელადის ძალადობით მოკვდინება საბჭოთა ხელისუფლების სათავეში მდგომ შეთქმულთა მიერ. ყოველკვირეულმა „Àðãóìåíòû è ôàêòû“-მ გასული კვირის ნომერში საკმაოდ საინტერესო განსაიდუმლოებული დოკუმენტები გამოაქვეყნა, რომლებმაც სენსაციური დასკვნების გაკეთების საშუალება მისცა პუბლიკაციის ავტორს — ისტორიკოსსა და პუბლიცისტს ნიკოლაი დობრიუხას. რა განსაიდუმლოებულ მასალებზეა ლაპარაკი? ეს არის 10 ექიმის ხელნაწერი ჟურნალი სტალინის უკანასკნელი დღეების შესახებ. დობრიუხა ამ ჟურნალზე დაყრდნობით თავის დასკვნებს და ვერსიებს გვთავაზობს. რამდენად სანდოა მისი პოზიცია, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი გთავაზობთ ამ სენსაციურ წერილს.***

### ვინაა დამარხული სტალინის ნაცვლად?

სანამ სამედიცინო ჟურნალის ციტირებას დავიწყებდე, აღვნიშნავ, რომ ყველა (!) მკვლევარი ეფუძნება პეტრე ლოზგაჩევის ნათქვამს, რომელმაც თითქოს პირველმა დაინახა სასიკვდილოდ ავადმყოფი ბელადი. ლოზგაჩევი, რომელიც იმ აგარაკის კომენდანტის თანაშემწე იყო, სადაც სტალინი გარდაიცვალა, ამტკიცებს: ***„სტალინი მაგიდის გვერდით ნოხზე იწვა... შიდა კავშირით სასწრაფოდ გამოვიძახე სტაროსტინი, ტუკოვი და ბუტუსოვა. ჩანდა, რომ შეცივებული იყო ჯარისკაცის საცვალში. ბუტუსოვამ ჩამოუწია პერანგის აკაპიწებული სახელოები... სტალინი დავაწვინეთ დივანზე და პლედი გადავაფარეთ... 2 მარტის 9 საათზე მოვიდნენ ექიმები... დაიწყეს სტალინის გასინჯვა...“***

ახლა კი ექიმების ჟურნალიდან გავიგებთ, სინამდვილეში როგორ იყო:

***„2 მარტის დილის 7 საათზე ავადმყოფი გასინჯეს პროფესორებმა... კრემლის სამკურნალო სანიტარული სამმართველოს უფროსის ამხ. კუპერინის თანდასწრებით... ავადმყოფი კოსტიუმით დივანზე უგონო მდგომარეობაში იწვა“.***

მაშასადამე, პირველი, ექიმები დილის 7 საათამდე გამოიძახეს. მეორე, ლოზგაჩევი არსად (!) არ ამბობს, რომ სტალინს ექიმების მოსვლისთვის ჩააცვეს კოსტიუმი. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ იგი იმთავითვე მკვდარი ნახეს, ხოლო შემდეგ ნახევრად ჩაცმული გარდაცვლილი ბელადი „სასწრაფოდ ავად გამხდარი“, კოსტიუმში გამოწყობილი ორეულით შეცვალეს? სხვათაშორის, ის, რომ სტალინი თავიდანვე მკვდარი ნახეს, მაცნობა კრემლში კვებაზე პასუხისმგებელმა გენადი კოლომენცევმა, რომელსაც ეს ამბავი აგარაკის კომენდანტ ორლოვისგან ჰქონდა გაგებული.

სად წაიღეს სტალინის ნეშტი, უცნობია. გამორიცხული არ არის, რომ ჯერ დამალეს აგარაკზე, იქაური დიდი მაცივრის კამერაში. შემდეგ საიდუმლოდ დამარხეს. ან სარდაფში ამოქოლეს... ხოლო პათოლოგანატომიურ ექსპერტიზას სტალინი კი არა, ვიღაც სხვა რომ წარუდგინეს (თუ ვენდობით პათოლოგანატომთა ექსპერტიზის აქტს), ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

აქტში ფეხები დეტალურად არის აღწერილი: ***„ტერფები საშუალო მდგომარეობაშია. მარჯვენა ტერფის თითები (პირველი და მეორე) ოდნავ გაშლილია. ტერფების პირველ და მეორე თითებზე ფრჩხილები გასქელებულია, მოკლე, დანაოჭებული, მურა ფერისაა. ტერფების დანარჩენი თითების ფრჩხილები მკრთალი ფერისაა და თხელია“. ცოცხალ სტალინზე ექიმებს მსგავსი არაფერი არ შეუმჩნევიათ. სამაგიეროდ, მაგალითად, 1925 და 1926 წლების „ავადმყოფობის ამბულატორიულ ისტორიაში“ ექიმები კრაუზე, ფერსტერი, როზანოვი, ობროსოვი და ელისტრატოვი აღნიშნავენ 46 წლის ი.ბ. სტალინის „მარცხენა ტერფის თითების შეხორცებას“.***

ამ დასკვნამდე რომ მივიდეთ, საკმარისია სტალინის სხეულის პათოლოგანატომიური აქტი შევუდაროთ ცოცხალი ბელადის ექიმებისეულ აღწერას.

გასაკვირია, რომ გარდაცვლილის გარეგნული აღწერისას აღნიშნული არ არის, რომ მარცხენა ფეხის მე-2 და მე-3 თითები შეხორცებულია, თუმცა, სტალინის სიცოცხლეში (1904 წელს დაპატიმრებისას და 20-იან წლებში სამედიცინო გამოკვლევის დროს) სპეციალურად აღნიშნავდნენ ამგვარი შეხორცების ფაქტს. ამ თითების გაცალცალკევების ოპერაციის შესახებ არსად სიტყვა არ არის თქმული. რომც გაეკეთებინათ ეს ოპერაცია, დარჩებოდა ნაჭრილობევი, რასაც პათალოგანატომები აუცილებლად დააფიქსირებდნენ ისევე, როგორც დააფიქსირეს სხეულის სხვა „ღირსშესანიშნაობანი“.

პათოლოგანატომები სხეულს ძალიან დაწვრილებით აღწერენ: ლაქებს, ნაიარევებს, ნაჭდევებს, ფოსოებს, ნაყვავილარს, ფერს. ისინი წერენ:

***„მარჯვენა მტევნის ზედაპირის კანი ოდნავ ვარდისფერია, მარცხენა მტევნის კი — მოყვითალო ელფერის. ორივე მტევნის ზედაპირზე გაფანტულია სხვადასხვა ფორმის მურა ფერის პიგმენტური ლაქები ქინძისთავის ზომიდან 0,6X1 სანტიმეტრის სიდიდემდე. ასეთივე ხასიათის 0,6X0,5 სანტიმეტრის ზომის ლაქა შეიმჩნევა მარჯვენა წინამხარის მაჯის მახლობლად მისი გარე მხრიდან. ხელის თითების ფრჩხილების ფერი — მოცისფრო...“***

შეკითხვა: რატომ მოხდა, რომ სამედიცინო მეცნიერების 19-მა გამოჩენილმა წარმომადგენელმა საგულდაგულო დათვალიერების დროს ვერ შენიშნა, რომ მარცხენა ხელი, რომელიც ბოლომდე ვერ იმართებოდა, აშკარად განსხვავდებოდა მარჯვენისაგან, რასაც ადასტურებს სტალინის სიცოცხლის დროინდელი მრავალი სამედიცინო გამოკვლევა? კერძოდ, 1926 წლის 11 აგვისტოს კონსულტანტებმა ი.ტარასევიჩმა, თ. შუროვსკიმ და ობროსოვმა „ავადმყოფობის ისტორიაში“ ჩაწერეს: ***„მარცხენა ხელი მხრისა და იდაყვის სახსარის პერიარტიკულარული ატროფიითაა, ექვსი წლის ასაკში მიღებული ტრავმის შედეგად, იდაყვის სახსარში შემდგომი ხანგრძლივი დაჩირქების მიზეზით, რამაც არ გამოიწვია სახსრის შეხორცება...“*** ან: ***„მარცხენა მხარში არასრული მოძრაობა და მარცხენა ხელის კუნთების ატროფიული მოვლენები იდაყვისა და მხრის სახსარში“.***

პათოლოგანატომების აქტში ლაპარაკია მხოლოდ კუნთების მოცულობაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი დაზიანებულ იდაყვზე: ***„მარცხენა ზედა კიდურით შუამხრის შემოხაზულობა 24 სანტიმეტრია, წინამხრის 20 სანტიმეტრი. მარჯვენა მხრის გარშემოწერილობა ამავე დონეზე 28,5 სანტიმეტრია, მარჯვენა წინამხრის გარშემოწერილობა — 21 სანტიმეტრი“.*** ეს დეფექტები თითქმის შეუმჩნეველია, ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც საკუთარ ხელებს გაზომავს და აღმოაჩენს ანალოგიურ სხვაობას. ორეულის მისადაგება ამგვარი გადახრებისადმი ძნელი არ არის: საკმარისია მკლავის თაბაშირში ჩადება და იგი, უვარჯიშებლობით მკვეთრად მოიკლებს მოცულობაში.

ორეულის შესახებ მოსაზრებას უეჭველად ადასტურებს ის გარემოება, რომ წამყვანმა პათოლოგანატომებმა ვერ აღმოაჩინეს აშკარა, შეუიარაღებელი თვალით შესამჩნევი, **ფეხების სისქის შეუთავსებლობა,** რაც სამედიცინო ბარათში აღწერილია პროფესორების ვალედინსკის და ვერსილოვის მიერ ჯერ კიდევ 1929 წლის 2 სექტემბერს: ***„მარჯვენა წვივი, გაზომილია მუხლიდან 20 სმ მანძილზე, — 33 სმ, მარცხენა — 31; ბარძაყი მუხლიდან ამავე მანძილზე — 51 სმ. მარჯვ., მარცხ. — 48 სმ“.*** აღვნიშნავ, რომ ფეხების სისქის განსხვავება 1 სანტიმეტრითაც კი თვალშისაცემია, რაღა უნდა ითქვას 2 და 3 სანტიმეტრით განსხვავებაზე, რაც ბელადს ჰქონდა!

ამრიგად, ყველაფერი ეს შეიძლება მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდეს: სიკვდილის შემდეგ გაკვეთილი სხეული სტალინისა არ იყო!!! **თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, რომელთა მიხედვით, ნამდვილი სტალინი ჯერ კიდევ 1937 წლის 23 დეკემბერს მოწამლეს, მისი ნიჭიერი ორეული კი 1947 წლის 26 მარტს,** უნდა ვიფიქროთ, რომ ქვეყნის საჭესთან „სტალინების“ პერიოდული შეცვლა შეიძლება ჩვეულებრივ ამბად ქცეულიყო, რომ თანამებრძოლები ამგვარად მისი გაღმერთების წყალობით სტალინის მმართველობას, პრაქტიკულად, უსასრულოდ გააგრძელებდნენ. რად სჭირდებოდათ ასეთი რამ? იმისთვის, რომ ექსპლოატაცია გაეწიათ სტალინის, მსოფლიო პრაქტიკაში უპრეცედენტო ავტორიტეტისათვის!..

ეს, რასაკვირველია, დაუჯერებელი ვარაუდია, მაგრამ... ვინ იცის, ისეთი „მოღვაწეების“ ხელში, როგორებიც ბერია და მალენკოვი იყვნენ, ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო. სწორედ მათ 1953 წლის მარტში „შეაჩერეს“ მორიგი, ჩანს, უმართავი ორეულის მმართველობა. თუმცა აქვე უნდა ვთქვათ: თუ ნამდვილი სტალინი მკვდარი ნახეს, იგი ბერიას აუცილებლად უნდა შეეცვალა მომაკვდავი ორეულით, ძალაუფლების გასანაწილებელი დრო რომ მოეგო. ხოლო იმას, რომ ამ საქმეში ბერიას ხელი ერია, ადასტურებს მისი მამხილებელი კრემლის იმდროინდელი დოკუმენტები. კერძოდ, რომლები — წაიკითხეთ „АиФ“-ის მორიგ ნომრებში.

მაშ ასე, ვინ მარხია კრემლის კედელთან სტალინის ნაცვლად?

***ნიკოლაი დობრიუხა.***
***„Àðãóìåíòû è ôàêòû“,***
***2005 წლის №34***


Кто похоронен вместо Сталина?

«Аргументы и факты» № 34, 2005 г. (Международное издание)

Расследование

**Все ранее известные версии о смерти "вождя народов", скорее всего, далеки от правды. 9 марта 1953 г. вместо Сталина соратники могли похоронить совершенно другого человека.**

**Больной лежал на диване в костюме**

**Сталинское правление могло быть бесконечным**

*Полураздетого мертвого Сталина заменили "срочно заболевшим" одетым в костюм двойником?*

*На всех кадрах кинофотохроники Сталин одинаково характерно держит поврежденную левую руку.*

**აი, ასეთი წერილი გამოაქვეყნა ყოველკვირეულმა „Àðãóìåíòû è ôàêòû“-მ. სენსაციური? - კი. მაგრამ ათასგზის უფრო მეტად - შემაშფოთებელი და დამაფიქრებელი. საშიშიც - სავარაუდო პერსპექტივის გამო.**

**ძნელია და არაეთიკურიც დაუმთავრებელ პუბლიკაციაზე ლაპარაკი, მაგრამ ის არაორაზროვანი მინიშნებები, რომლებითაც სავსეა წერილის დასკვნითი ნაწილი, უფლებას გვაძლევს, დავასკვნათ: რუსეთის მასმედიაში ანტისტალინური კამპანიის თვისობრივად ახალი ეტაპი იწყება, რომლის მიზანი იქნება, დაამტკიცოს, რომ სტალინი საერთოდ არ არსებობდა, იგი ფანტომია, ვიღაც ნიჭიერი ორეულებით სიცოცხლეგაგრძელებული ცრუ ბელადი.**

**მიაქციეთ ყურადღება, როგორ შემოგვაპარეს - 1937 წლის 23 დეკემბერს სტალინი მოწამლესო.**

**ესე იგი, რა? 37 წლამდე ყველა უბედურებას სტალინს „ჰკიდებენ“, მათ შორის, რეპრესიებსაც, და - აქ დამთავრდება სტალინი.**

**ხოლო ყველაფერი ის, რაც 1937 წლის შემდეგ მოხდა - ფაშიზმზე გამარჯვება, ომით დანგრეული ქვეყნის აღდგენა და უმაგალითო გაძლიერება, გენერალისიმუსის არნახული ავტორიტეტი, ატომური ბომბის შექმნა, ადამიანების სოციალური პირობების სისტემატური გაუმჯობესება და ა.შ. და ა.შ. სტალინთან არავითარ კავშირში არ არის.**

**მისი დროინდელი საქმეების არდანახვა შეუძლებელი შეიქნა, მათი უგულებელყოფა რუსეთის ისტორიიდან თითქმის საუკუნის ამოგდება იქნებოდა. ამიტომ შეუდგნენ, როგორც ჩანს, ახალი მზაკვრული გეგმის განხორციელებას.**

**მაგრამ იქნებ ასე არ არის? დაველოდოთ „ÀèÔ“-ის მომდევნო ნომრებს.**

**მანამდე კი აქ გამოქვეყნებული დოკუმენტების კომენტარი ვთხოვოთ დამოუკიდებელ ექსპერტს მაია ნიკოლეიშვილს:**

- ყურადღებით გავეცანი ამ პუბლიკაციას, და უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის გაურკვეველი დარჩა, თუ საიდან არის აღებული ის ამონარიდები, რომლებსაც წერილის ავტორი ეყრდნობა: არის ეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა თუ ექიმების - პათოლოგანატომთა ჩანაწერები? ამიტომ გამიჭირდება საუბარი კონკრეტული პერსონის, თანაც ისეთი დიდი პიროვნების, როგორიც იოსებ სტალინი იყო, გარდაცვალების ფაქტზე მხოლოდ ამ ამონარიდებით, მთლიანი დოკუმენტის გარეშე. ასეთი რამის გაკეთება ჩემი მხრიდან მიზანშეწონილი არ იქნება: აღწერილობა არის, მაგრამ როცა ადამიანის გარდაცვალებაზეა საუბარი, ნამდვილად არასაკმარისია ის, რაც დაბეჭდილია „Аргументы и факты“-ში.

რაც შეეხება აზრის შექმნას სტალინის პიროვნებაზე, აქ შეიძლება ვთქვა შემდეგი: სტალინთან მიმართებაში საზოგადოება დიდი ხანია, გახლეჩილია - ზოგისთვის იგი გენიოსია, ზოგისთვის - ტირანი. ჩვენი პოზიცია ჩვენი არჩევანია. გაზეთის მოცემულ პუბლიკაციას განვიხილავდი, როგორც ერთი ჟურნალისტის კერძო ხედვას, მაგრამ არა იმ სახელმწიფოს პოზიციას, რომელსაც იგი წარმოადგენს.

ჟურნალისტური გამოძიება, რაგინდ მაღალ დონეზე იყოს, სუბიექტურობის ელემენტს ყოველთვის შეიცავს. აქაც არ არის გამორიცხული. ხოლო არის თუ არა საკმარისი ის ამონარიდები, რომლებსაც იგი იყენებს ობიექტური დასკვნის გასაკეთებლად, ამის შეფასებისგან მე, როგორც ექსპერტი, თავს შევიკავებდი.

**- ესე იგი, საეჭვოა იმის მტკიცება (ამ პუბლიკაციით, ყოველ შემთხვევაში), რომ პათოლოგანატომებმა დაათვალიერეს არა სტალინის, არამედ მისი ორეულის ნეშტი?**

- იქნებ, ავტორს აქვს სრული სახით ის დოკუმენტი, რომლის ამონარიდებს გვაცნობს და რომელიც ასეთი დასკვნის უფლებას აძლევს. მაგრამ ვინაიდან მე ასეთი შესაძლებლობა არა მაქვს, ამიტომ, ვიმეორებ, მე, როგორც ექსპერტს, კატეგორიული და ობიექტური შეფასების უფლება არა მაქვს.

*პუბლიკაცია მოამზადა* არმაზ სანებლიძემ

ვასილი ვედენეევი

# მარხია თუ არა სტალინის ცხედარი



ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ 1953 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲛᲐᲠᲢᲡ. მარცხნიდან მარჯვნივ: **ამხანაგები ვ.მ. მოლოტოვი, კ.ე. ვოროშილოვი, ლ.პ. ბერია, გ.მ. მალენკოვი, ნ.ა. ბულგანინი, ნ.ს. ხრუშჩოვი, ლ.მ. კაგანოვიჩი, ა.ი. მიქოიანი იოსებ სტალინის კუბოსთან.**

***ჩვენი გაზეთის წინა გვერდზე გამოქვეყნდა ყოველკვირეული „არგუმენტი ი ფაქტის“ 35-ე ნომრის პუბლიკაციის — „ვინაა დამარხული სტალინის ნაცვლად?“ — თარგმანი. თანდართულ კომენტარში ჩვენ მაშინ ვწერდით, რომ წერილის ავტორი ნიკოლაი დობრიუხა ცდილობს, სათავე დაუდოს ანტისტალინური კამპანიის თვისებრივად ახალ ეტაპს, რომლის მიზანი იქნება, დაამტკიცოს, რომ სტალინი საერთოდ არ არსებობდა, იგი ფანტომია, ვიღაც ნიჭიერი ორეულებით სიცოცხლეგაგრძელებული ცრუ ბელადი. იოსებ ჯუღაშვილი კი 1937 წლის 23 დეკემბერს მოწამლესო, — შემოგვაპარა „სენსაციური“ ინფორმაცია „АиФ“-მა .
„ვინ მარხია კრემლის კედელთან სტალინის ნაცვლად?“ — დასვა მაშინ ასეთი შეკითხვა „არგუმენტი ი ფაქტიმ“ და მომდევნო ნომრებში პასუხის გაცემას დაგვპირდა. თუმცა ამ თემას საქართველოში ჩამოტანილ არცერთ „მორიგ ნომერში“ აღარ შეხებია, თითქოს არც ყოფილა, მაგრამ ჩვენს მკითხველს ეს თეთრი ლაქა ყურადღების მიღმა არ დარჩენია. მითუფრო, რომ რამდენჯერაც უნდა მივუბრუნდეთ სტალინის — ამ უდიდესი ისტორიული პიროვნების ტრაგიკული აღსასრულის, დაკრძალვისა და გადასვენების საიდუმლოებით მოცულ თემას, პასუხგაუცემელი კითხვები, მაშასადამე — ინტერესიც კვლავ და კვლავ დარჩება. ამ ინტერესის ერთგვარად დასაკმაყოფილებლად დღეს ვიწყებთ პუბლიცისტისა და ისტორიკოსის ვასილ ვედენეევის წიგნის — „XX საუკუნის დიდი ადამიანები. სტალინის საიდუმლოებანი“ — რამდენიმე თავის პუბლიკაციას, რომლებიც თავის დროზე გაზეთ „გენერალისიმუსში“ გამოქვეყნდა. ცნობისათვის: ავტორი ეყრდნობა დახურული წყაროების მასალებს, მათ შორის, დასავლეთელი ექსპერტების პირად არქივებს.***

## სამზადისი გადასვენებისათვის

მავზოლეუმიდან სტალინის დაბალზამებული ნეშტის გატანის იდეა ახალ გენერალურ მდივანს უცებ არ დაბადებია. თანდათან მივიდა ამ აზრამდე და, როგორც ამბობენ, კრემაციაზეც ფიქრობდა, მაგრამ ბოლოს თავი შეიკავა, რადგან საგარეო და შიდაპოლიტიკური გართულებების შეეშინდა. არადა, როგორ სურდა, უსახო ურნად ექცია სტალინის ნეშტი და კრემლის კედელში დაეტანებინა: განისვენოსო თავის თანამებრძოლებთან და მსხვერპლთან ერთად!

- ამგვარი ნაბიჯის შედეგი ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება სრულიად მოულოდნელი იყოს, - აფრთხილებდნენ ხრუშჩოვს დაეჭვებული მრჩევლები, - სტალინი მსოფლიოში კვლავ პოპულარულია როგორც ფაშიზმის დამამხობელი.

- არრრა! - პასუხად თითს იქნევდა და იღრინებოდა ნიკიტა სერგეევიჩი, - საფუძველშივე ცდებით! ეს არის მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პოლიტიკური აქცია. იგი სიმბოლოა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ეტაპის დასასრულის და სხვა ეპოქის დასაწყისის: კომუნიზმის მშენებლობისკენ მოძრაობის დასაწყისის! ჩვენი ადამიანები კომუნიზმში იცხოვრებენ!

- მაგრამ სტალინის გადასვენება ამასთან რა შუაშია?! - გულწრფელად უკვირდათ გენმდივნის დაახლოებულ პირებს, რომლებიც განდობილნი იყვნენ მომავალ საიდუმლო ოპერაციაში.

- არაფერი გესმით! - გაავებით მოუჭრიდა ხრუშჩოვი და ამ თემაზე საუბარს წყვეტდა.

**ბევრი დამოუკიდებელი ექსპერტი ხრუშჩოვს ახასიათებს როგორც თავშეუკავებელ, უაღრესად უხეშ ადამიანს, რომელსაც ბილწსიტყვაობა უყვარდა... მასთან დაახლოებული ადამიანების მტკიცებით, ნიკიტა სერგის ძე ალკოჰოლს იყო დაწაფებული, რასაც არ შეიძლება თავისი დაღი არ დაესვა მის პიროვნულ თვისებებზე. ამასთან, იგი ძალზე დაბალი კულტურის და მწირი განათლების კაცი იყო. თუმცა, გააჩნდა საკვირველი თვისება ნებისმიერი სიტუაციიდან თავის დაძვრენის. უნიკალურად ეშმაკი იყო, რაც ხელს უწყობდა მის „აღმასვლას“. ბუნებრივია, რომ როგორც ყველა „ხელისუფლების კაცი“, გენმდივანი გამოირჩეოდა სრული უპრინციპობითაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მის პირად ინტერესებს ეხებოდა...**

1961 წლის ოქტომბერი მოსკოვში მოქუფრული და წვიმიანი დადგა, სევდიანი და ნაცრისფერი. სწორედ ამ დროს ახალ, ხრუშჩოვის ინიციატივით აგებულ კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობდა სკკპ XXII ყრილობა. ამ ყრილობაზე უნდა გადაეწყვიტა ხრუშჩოვს მისთვის ასე მტკივნეული საკითხი. გადაეწყვიტა, როგორც „პარტაპარატჩიკები“ აკეთებდნენ, კოლეგიალურად, პირადი პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებით. **ექსპერტების მიერ შესწავლილი დოკუმენტები აშკარად ადასტურებს, რომ პირადად ნიკიტა ხრუშჩოვის გარდა სტალინის გადასვენების საკითხის დაყენებას არავინ აპირებდა.**

ამჟამად უკვე სავსებით ნათელია, რომ ყოფილი კომუნისტური ლიდერის გადასვენება სრულებით არ აინტერესებდათ პარტიის ყრილობის დელეგატებს. სასწრაფოდ გადასაჭრელი იყო უფრო საჭირბოროტო და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სხვა პრობლემები. მაგრამ ხრუშჩოვს უკვე აღარ შეეძლო დამუხრუჭება და ერთ-ერთი სხდომის დღის წესრიგში პირადად შეიტანა სტალინის გადასვენების საკითხი. საინტერესოა, რომ დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრით, ხრუშჩოვი მაინც არ იყო დარწმუნებული, რომ თავისას გაიტანდა.

- უნდა მოვამზადოთ კაცი, ვინც საჭირო წინადადებას სხდომას წარუდგენს, - უბრძანა გენმდივანმა რეფერენტს, - იპოვეთ ვინმე სოლიდური, ვინც გამოხატავს!

- ყველაფერს მოვამზადებთ, - დააიმედა რეფერენტმა, რომელიც შეფის უწიგნურ გამონათქვამებს მიჩვეული იყო და შეეძლო, სწორად გაეგო მისი აზრები, რომლებსაც დაღვარჭნილად, ზოგჯერ უცენზურო ფორმითაც კი გადმოსცემდა.

ხრუშჩოვის მითითების თანახმად, სპეციალურად მოამზადეს ი. სპირიდონოვი, რომელმაც ლენინგრადის პარტორგანიზაციის სახელით შეიტანა გენმდივნის მიერ მომზადებული წინადადება იოსებ სტალინის ნეშტის მავზოლეუმიდან გატანის შესახებ.

გულისფანცქალით ელოდა ხრუშჩოვი ყრილობის გადაწყვეტილებას და უარის შემთხვევაში მზად იყო, სერიოზული ზეწოლა მოეხდინა დელეგატებზე. მაგრამ ჩვეულებრივ მორჩილმა უმრავლესობამ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში აღზრდილი იყო „კომუნისტური დისციპლინით“, არასოდეს ეკამათებოდა უფროსობას და მზად იყო, ხმა მიეცა ისე, როგორც მიუთითებდნენ, მიიღო დელეგატ სპირიდონოვის წინადადება. როგორც იქნა, და ნიკიტა ხრუშჩოვმა შვებით ამოისუნთქა: დაწყევლილი, სტალინის დაბალზამებული ნეშტის სახით, წარსულის სიმბოლო, რომლისაც მას სიკვდილივით ეშინოდა, მოუსავლეთში წავიდა, გაქრა. **1961 წლის 30 ოქტომბერს ყრილობამ მიიღო გენმდივნისთვის სასურველი გადაწყვეტილება.**

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ხრუშჩოვი მოვლენებს აჩქარებდა, ამგვარი საკითხები საბჭოთა კავშირში არასოდეს წყდებოდა მარტივად და სწრაფად, მაშინაც კი, როცა ისინი კომპარტიის რომლებიც დიდი ხანია, დაუძლეველ ბიუროკრატიულ აპარატად ჩამოყალიბდა. თანაც, საჭირო იყო აჩქარება, სანამ ინფორმაცია ყრილობის გადაწყვეტილების შესახებ ფართოდ მოედებოდა უზარმაზარ ქვეყანას, სანამ ეს ინფორმაცია ხალხის მასას სრულად არ გაუცნობიერებია და მისდამი თავისი დამოკიდებულება არ გამოუხატავს. ხრუშჩოვს ძალიან ეშინოდა, რომ ხალხის დამოკიდებულება შეიძლება უარყოფითი ყოფილიყო.

ცკ-ის პლენუმზე ხრუშჩოვმა მთელი თავისი გავლენა გამოიყენა, რათა პარტიის ყრილობის გადაწყვეტილება დაემტკიცებინათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ მან ამის გაკეთება სწრაფად და იოლად ვერ მოახერხა.

როგორც შემდეგ კრემლის სპეციალური პოლკის მეთაური ფ. კონევი იხსენებდა, ცკ-ის პლენუმის დაწყებისთანავე იგი სასწრაფოდ გამოიძახა ცნობილი „დევიატკის“ - პირადი დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, უშკოს ვიცეპოლკოვნიკმა ვ. ჩეკალოვმა:

- ძალიან სწრაფად მოამზადეთ ჯარისკაცების ასეული. ლაპარაკია სტალინის ნეშტის საიდუმლო გადასვენებაზე.

- სად უნდა დაიკრძალოს? - დაზუსტება ითხოვა კონევმა.

- ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, - დარწმუნებით უპასუხა ჩეკისტმა.

ასეთმა ბრძანებამ და გადასვენების ადგილის დაზუსტებამ, ბუნებრივია, გააოგნა კრემლის პოლკის უფროსი. მაგრამ ბრძანება ბრძანებაა და კონვოიც მორჩილად გაემართა მის შესასრულებლად. მას შესანიშნავად ესმოდა, რომ ახალი გენმდივნის პირადი დაცვის უფროსმა მხოლოდ „გააჰმოვანა“ მითითება, რომელიც ძალიან „მაღლიდან“ მიიღო, უთუოდ, პირადად ნიკიტა ხრუშჩოვისაგან.

მაგრამ კრემლის სპეციალური პოლკის უფროსმა ვერ მოასწრო პირველი ბრძანების შესრულება, მალევე, ახლა უკვე ტელეფონით მეორე ბრძანება მოჰყვა, რომელიც არ აუქმებდა, მაგრამ ერთგვარად ასხვაფერებდა პირველს. ჩანდა, რომ პლენუმის სხდომაზე გააფთრებულად ეკამათებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებანი. ამიტომ ხრუშჩოვი, რომელიც გრძნობდა მოახლოებულ საშიშროებას ყრილობაზე საერთო კენჭისყრით იყო გადაწყვეტილი. გადაწყვეტილებათა „დამუხრუჭება“ პარტაპარატის თანამშრომლების უსაფრთხოების დამატებით გარანტიასავით იყო. **ექსპერტთა უმრავლესობა, რომლებმაც 1961 წლის მოვლენები შეისწავლეს, ერთსულოვნად ასკვნის, რომ საბოლოო გადაწყვეტილება სკკპ ცკ-ის პლენუმმა მიიღო.**

**პლენუმის სხდომა მეორე დღესვე - 1961 წლის 31 ოქტომბერს - გაიმართა: ნიკიტა სერგეევიჩს არ სურდა, გაერისკა და მავზოლეუმიდან სტალინის ნეშტის გადმოსვენების საკითხზე გადაწყვეტილება გაეჭიანურებინა.** ვინ-ვინ და, მან ხომ შესანიშნავად იცოდა, როგორ შეიძლებოდა ნებისმიერი საქმის გაჭიანურება პარტიული ნომენკლატურის დერეფნებში,



ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲗ ᲙᲣᲑᲝ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲪᲮᲔᲓᲠᲘᲗ.

# მავზოლეუმის უკან, კრემლის კედელთან?

წიგნიდან „სტალინის საიდუმლოებანი“

და ნემსის ყუნწში ძვრებოდა, ეშმაკობდა და გაიძვერობდა, რათა ოპონენტებისთვის დაეთმო გარკვეული პოზიციები, მაგრამ მთავარში გაემარჯვებინა.

- სტალინის საფლავი, რომელზეც ვლაპარაკობდით, მავზოლეუმის უკან უნდა იყოს, - აცნობა კონევს დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, - გასაგებია? ლენინის მავზოლეუმის უკან, კრემლის კედელთან! უზრუნველყავით ღონისძიების სრული საიდუმლოება!

ეს საუბარი გაიმართა 1961 წლის 31 ოქტომბრის საღამოს. ამ დროს წითელ მოედანზე უამრავი მოსკოველი და დედაქალაქის სტუმარი იმყოფებოდა, მათ შორის, უცხოელი ტურისტებიც - როგორც ყოველთვის, ადამიანები უყურებდნენ საპატიო ყარაულის შეცვლის ლამაზ რიტუალს. მაგრამ ამ დღეს მათ მავზოლეუმისკენ სხვა რამეც იზიდავდა: საბჭოთა კავშირის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უკვე გაავრცელეს ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობა მავზოლეუმიდან იოსებ სტალინის ნეშტის გამოტანის შესახებ, ადამიანისა, რომელიც მეოთხედი საუკუნე სათავეში ედგა უზარმაზარ ქვეყანას მისთვის უმძიმეს პერიოდში. ადამიანები მოდიოდნენ მავზოლეუმთან და ცდილობდნენ, დაენახათ, რა ხდებოდა მის შიგნით, კრემლის კედელთან და კოშკების მახლობლად.



**სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში სასწრაფოდ მიიღეს რიგი ღონისძიებებისა. წითელ მოედანზე გაგზავნეს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი თანამშრომლები. მალე მათ მოახსენეს უშკომის ხელმძღვანელობას:**

**- მოსახლეობა შეშფოთებულია სტალინის ნეშტის გამოტანის ცნობით. მოედანზე ხალხი არ მალავს უკმაყოფილებას ყრილობის გადაწყვეტილებით და იმით, რომ პარტიამ და მთავრობამ, როგორც ყოველთვის, საჭიროდ არ ჩათვალა, მოთათბირებოდნენ ხალხს, როცა მავზოლეუმიდან სტალინის ნეშტის გამოტანის გადაწყვეტილებას იღებდნენ.**

ამ ინფორმაციამ სერიოზულად ჩააფიქრა და შეაშფოთა ხელმძღვანელობა. ცეკამ გასცა მითითება, უზრუნველეყოთ ღონისძიების სრული უსაფრთხოება. უშკომში გადაწყვიტეს, ხალხისგან დაეცალათ წითელი მოედანი, უზრუნველეყოთ სპეცღონისძიების საიდუმლოება და განეხორციელებინათ ძალიან სწრაფად. ქვეყნის ხელმძღვანელობას სერიოზულად ეშინოდა მასობრივი არეულობების.

1961 წლის 31 ოქტომბერს, დაახლოებით 18 საათზე, მილიციელთა რაზმებმა ხალხისგან წითელი მოედნის გათავისუფლება დაიწყეს. ამას მომავალი პარადისათვის მზადებით ხსნიდნენ - მოსკოვის გარნიზონის სამხედრო ტექნიკას წითელ მოედანზე უნდა გაევლო.

- მოქალაქენო, დაბეჯითებით გთხოვთ, გახვიდეთ მოედნიდან, - ზრდილობიანად მიმართავდნენ მილიციელები მოედანზე შეკრებილებს.

საიდუმლო ღონისძიებას ისეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ მოსკოვის ცენტრში მართლაც შემოიყვანეს სამხედრო ტექნიკა - ხრუშჩოვი დაჟინებით მოითხოვდა სრული საიდუმლოების დაცვას. მას გარდაცვლილი სტალინისაც კი ძალიან ეშინოდა. არც ჯარისკაცებმა, არც მათმა მეთაურებმა არ იცოდნენ, რა ხდებოდა.

მალე მოედანი გაათავისუფლეს. მილიციელებისა და სახელმწიფო უშიშროების სამოქალაქოტანსაცმლიანი თანამშრომლების გაძლიერებულმა განწესებმა მჭიდრო რიგებით გადაკეტეს ყველა ქუჩა და გასასვლელი მოედნის გარშემო. ცნობისმოყვარეებს უხსნიდნენ: - ახლა სამხედრო ტექნიკის მოედანზე გავლის რეპეტიცია უნდა გაიმართოს, - და მიუთითებდნენ საწყის პოზიციებზე უკვე შემოსულ საბრძოლო მანქანებზე. ჯერჯერობით სიმშვიდე იყო. ჩანს, სტალინის მომხრეები, რომლებიც მაშინ ძალიან ბევრნი იყვნენ, ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ბელადის ცხედარს სულ რამდენიმე საათში მავზოლეუმიდან გამოიტანდნენ. ინფორმაცია არავის ჰქონდა და არც არავინ ავრცელებდა.

კრემლის სპეციალური პოლკის მეთაურის მიერ გამოყოფილი ჯარისკაცები და პირები, ვისაც ამ საიდუმლო ოპერაციის ჩატარება ევალებოდა, მოუთმენლად ელოდნენ დაღამებას. როგორც კი ჩამოღამდა, მავზოლეუმის უკან, კრემლის კედელთან, სადაც ხელმძღვანელობამ სტალინის საფლავის გათხრა გადაწყვიტა, შეგროვდნენ საამისოდ გამოყოფილი ჯარისკაცები და ფიცრებისგან სასწრაფოდ შეკრეს ფარები, რათა არავის დაენახა, რა ხდებოდა მათ მიღმა. გამოყოფილი ადგილი ძლიერი პროჟექტორით გაანათეს და ჯარისკაცებმა ბარებს მოჰკიდეს ხელი. მუშაობდნენ, პრაქტიკულად, შეუსვენებლივ. მათ თავზე ადგნენ პოლკის მეთაურები და სახელმწიფო უშიშროების წარმომადგენლები.

**21 საათისათვის საფლავი გათხრილი იყო. ჯარისკაცებმა ხელით მოზიდეს მძიმე და სქელი რკინაბეტონის ფილები ზომით დაახლოებით ერთი მეტრი 75 სანტიმეტრზე. ამ ფილებით საფლავის კედლები უნდა გაემაგრებინათ.**

**მავზოლეუმში სხვა ამბები ხდებოდა. ზოგიერთი მონაცემით, დაახლოებით შუაღლისათვის, აქაურმა უშკომელებმა და რამდენიმე მეცნიერმა-თანამშრომელმა, ვინც ბელადების დაბალზამებულ ნეშტთა შენახვას ემსახურებოდა, გახსნეს სარკოფაგი იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ნეშტით, და როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში წერენ, „ამოიღეს სხეული“, სპეციალურ ურიკაზე დაასვენეს და გადაიტანეს ლაბორატორიაში, რომელიც მავზოლეუმის ქვეშ არის მოწყობილი. იქ მას ელოდა წითელი ქსოვილით გაწყობილი ფიჭვის ფიცრებისგან შეჭედილი უბრალო კუბო.**

ამის შემდეგ ჩასატარებელი ჰქონდათ კიდევ ერთი სპეციალური ოპერაცია. საქმე ის არის, რომ სარკოფაგში სტალინი გენერალისიმუსის მუნდირში იყო ჩასვენებული, რომელსაც სპეციალურად საამისოდ დამზადებული ბაჯაღლო ოქროს ღილები ეკერა. მუნდირზე მიმაგრებული იყო სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი. საიდუმლო ოპერაციისთვის რომ ემზადებოდნენ, უშიშროების თანამშრომლებმა წინასწარ შეუკვეთეს თითბრის ღილები. სწორედ მათით შეცვალეს ოქროს ღილები. ნიკოლაი შვერნიკის *(სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. -* ***რედ.****)* განკარგულებით მოხსნეს სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი. შეუმოწმებელი ინფორმაციით, სტალინს გახადეს რეზინის უთხელესი კომბინეზონი, რომელიც ბალზამირების ხსნარის აორთქლების საწინააღმდეგოდ მუნდირის ქვეშ ეცვა.

შემდეგ მავზოლეუმის მომსახურე პერსონალმა მოიტანა მუარის შავი ქსოვილი და ბელადს მკერდამდე გადააფარა. სახე დაუფარავი დატოვეს. კუბო და მიცვალებული გადაიტანეს მავზოლეუმის სამგლოვიარო დარბაზის გვერდით ოთახში.

**ზუსტად 22 საათზე აქ მოვიდა გადასვენების სამთავრობო კომისია. მას მეთაურობდა ადრე სტალინის დავალებათა ერთგული შემსრულებელი შვერნიკი, რომელიც ახლა იძულებული იყო, ასევე ზუსტად შეესრულებინა ახალი გენმდივნის მითითებები.** პირქუშ ცერემონიაზე დამსწრე უშიშროების თანამშრომელთა მოწმობით, შვერნიკი აშკარად დაბნეული და დათრგუნული ჩანდა. მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა, ცდილობდა, მხნეობა შეენარჩუნებინა და დაეფარა, თუ როგორ ეძნელებოდა და უჭირდა აქ ყოფნა.

ხრუშჩოვი ბელადის საიდუმლო გადასვენებაზე არ მისულა. იოსებ ბესარიონის ძის არცერთი ნათესავი ამ სამგლოვიარო აქტს არ დაასწრეს. როგორც კარგად გათვითცნობიერებული ექსპერტები მიიჩნევენ, ბელადის ნათესავებისთვის გადასვენების თაობაზე არაფერი უცნობებიათ... კომუნისტების ახალ გენმდივანს ხრუშჩოვს გარდაცვლილი სტალინისაც კი პანიკურად ეშინოდა და ამიტომ ცდილობდა, ყველაფერი საიდუმლოდ მოეწყო. გადასვენებაში მონაწილეობდნენ **მიქოიანი,** უშკომის თავმჯდომარე **შელეპინი,** მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი **დემიჩევი.**

დადგა მავზოლეუმიდან კუბოს გამოტანის დრო და აქ გაირკვა, რომ კუბოს სახურავის დასაჭედებლად ლურსმნების მოტანა დავიწყებიათ.

- რას ჰგავს ეს? - წამოუძახია გაბრაზებულ და ცრემლმორეულ შვერნიკს.

სამეურნეო განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ტარასოვი თავქუდმოგლეჯით გავარდნილა ლურსმნების მოსატანად. დამსწრენი ნერვიულობდნენ: იკარგებოდა ძვირფასი დრო, ხრუშჩოვი მოუთმენლად ელოდებოდა მოხსენებას საიდუმლო აქციის დამთავრების შესახებ, რომელსაც ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მის დამაბრკოლებლებს შეიძლება თავს დიდი უბედურება დასტეხოდათ. ახალი გენმდივანი გამოირჩეოდა უხეშობით, არ ერიდებოდა მკვახე და უწმაწურ გამოთქმებს და ყოველთვის უგნურობამდე უჯიათი იყო.

და, აჰა, ტარასოვმა მოიტანა ლურსმნები, კუბოს სახურავი სასწრაფოდ დააჭედეს და... ახალი დაბრკოლება - ვის უნდა გაეტანა სტალინის კუბო?

საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული ტრადიციით, გარდაცვლილი ბელადების კუბოები მიჰქონდათ მთავრობისა და პოლიტბიუროს წევრებს. ამ საიდუმლო გადასვენებების წესი და რიგი სამთავრობო კომისიის წევრებისთვისაც კი გაუგებარი იყო - ისინი მიჩვეულნი იყვნენ „ზევიდან“ მითითებებით მოქმედებას, მაგრამ ამ შემთხვევისთვის არავითარი რეგლამენტი არ იყო დაწესებული. არადა, უნდა გაეტანათ არა ვინმესი, არამედ თვით სტალინის ნეშტი!

სამთავრობო კომისიის წევრებმა შვერნიკის თავმჯდომარეობით სახელდახელო სხდომა გამართეს. გადაწყვიტეს, შექმნილი მდგომარეობიდან ასეთნაირად გამოსულიყვნენ: კუბოს გასატანად გამოუძახეს კრემლის პოლკის რვა ოფიცერს, მათ ასწიეს კუბო ბელადის ნეშტით და გვერდითი კარებიდან გამოიტანეს. შემდეგ კრემლის კედელთან გათხრილ საფლავთან დაასვენეს.

**სანამ ჯარისკაცები საფლავს თხრიდნენ, წითელ მოედანზე ძლიერი ძრავების ღმუილით და გრიალით კოლონებად მიემართებოდა სამხედრო ტექნიკის ქვედანაყოფები, მოდიოდა იმ საზეიმო მწყობრით, როგორითაც პარადზე უნდა გაევლო. ხრუშჩოვის სურვილის საწინააღმდეგოდ, განგებამ ისე ინება, რომ საბჭოთა არმიამ, უნებური სამგლოვიარო აღლუმით, უკანასკნელი პატივი მიაგო თავის მხედართმთავარს, გენერალისიმუს სტალინს. ფრიად სიმბოლური დამთხვევაა. მაგრამ მაშინ ამაზე არავის უფიქრია, ხრუშჩოვს სრული საიდუმლოების დაცვა აინტერესებდა მხოლოდ.**

**რკინაბეტონის ფილებით გაწყობილ საფლავში 22 საათსა და 15 წუთზე ჩაასვენეს კუბო სტალინის ცხედრით.** თავდაპირველად განზრახული ჰქონდათ, სტალინის საფლავისთვის ზევიდან დაედოთ ორი ფილა, მაგრამ პოლკოვნიკმა ტარასოვმა ამჯობინა, პირდაპირ მიწა დაეყარათ: შემსრულებლებს ძალიან ეჩქარებოდათ, რკინაბეტონის დამატებითი ფილების დაწყობას დამატებითი დრო დასჭირდებოდა. ამიტომ დაეთანხმნენ პოლკოვნიკის წინადადებას.

რამდენიმე ჯარისკაცმა მართლმადიდებლური წესით თითო მუჭა მიწა მიაყარა ბელადის საფლავს, მაგრამ ეს მალული ხელმძღვანელობისგან ფარულად გააკეთეს... სამარეს საფლავის ქვა დაადეს იოსებ ბესარიონის ძე სტალინის (ჯუღაშვილის) დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების აღნიშვნით. ეს საფლავის ქვა შემდეგ შეიცვალა სტალინის ბიუსტით, რომელიც ოთხმეტრიან კვარცხლბეკზეა დადგმული.

სამხედრო მანქანები კი უწყვეტ რიგად მიემართებოდა წითელ მოედანზე.

გადასვენებაზე დამსწრე სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები შემდეგ იხსენებდნენ, რომ შვერნიკი ჯერ მძიმედ ამოიოხრებდა ხოლმე, შემდეგ იგი და მიქოიანი ატირდნენ. სამთავრობო კომისიის სხვა წევრები აშკარად არიდებდნენ მზერას იქ დამსწრეთ და მიწას ჩაშტერებოდნენ. ფიცრის ფარები სასწრაფოდ დაშალეს და წაიღეს. პროჟექტორი ჩააქრეს. სამხედროებიდან ვიღაცამ ბრძანების კილოთი თქვა:

- დროა, დავიშალოთ!

გამეორება საჭირო არ გამხდარა. დამსწრეებმა აჩქარებით დატოვეს ადგილი კრემლის კედელთან. ხელმძღვანელობამ მავზოლეუმში ფურშეტი მოაწყო - თითო ჭიქა არაყი გენერალისიმუსის სულის საცხონებელი დალიეს...

მალე მოედნიდან ტექნიკა გაიყვანეს. მაგრამ წითელი მოედანი კვლავ დახურული იყო ხალხისთვის: უნდა შეეცვალათ წარწერა მავზოლეუმის ფრონტონზე, რომელზეც წითელი გრანიტით გამოყვანილი იყო „ლენინი. სტალინი“.

მუშებმა სწრაფად და აკურატულად მოხსნეს ძველი ქვები ფრონტონს და მათ ადგილზე წინასწარ გამზადებული მუქი წითელი ფერის წარწერა ჩაამაგრეს, რომელზეც მხოლოდ ერთი პარტიული ფსევდონიმი იყო - „ლენინი“.

**დამთავრდა! სტალინის საიდუმლო გადასვენების ოპერაცია დასრულდა... ყველაფერმა უექსცესოდ ჩაიარა, რის შესახებაც მოახსენეს ხრუშჩოვს. იგი ძალიან კმაყოფილი დარჩა.**

**სამი წლის შემდეგ კი მას ძალაუფლება წაართვეს, მაგრამ სიცოცხლე უწყალობეს. გავა კიდევ რამდენიმე წელიწადი და ხრუშჩოვს დაკრძალავენ ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, იქ, სადაც იგი სტალინის გადასვენებაზე ოცნებობდა.**



წითელი მოედანი. სამგლოვიარო კორტეჟი მავზოლეუმისკენ მიემართება

ხრუშჩოვის ნების საწინააღმდეგოდ, სტალინი სამხედრო პატივით დაკრძალეს...

# ვასილი ვედენეევი
# მარხია თუ არა სტალინის ცხედარი




„კომუნისტი“, 1953 წლის 11 მარტი

**იოსებ ბესარიონის ძე სტალინის დაკრძალვა 1953 წლის 9 მარტს. მავზოლეუმის ტრიბუნაზე — საბჭოთა კავშირის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, საზღვარგარეთის მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები და უცხოეთის მთავრობათა დელეგაციების წევრები.** მარცხნიდან მარჯვნივ: **პეტრუ გროზა, გ. გეორგიუ-დეჟი, ბოლესლავ ბერუტი, ვალტერ ულბრიხტი, ოტო გროტევოლი, ი. ცედენბალი, ჟაკ დიუკლო, დოლორეს იბარური, პაკ დენ აი, ვილკო ჩერვენკოვი, მატიას რაკოში, პალმირო ტოლიატი, კლემენტ გოტვალდი, ნ.ა. ბულგანინი, ვ.მ. მოლოტოვი, კ.ე. ვოროშილოვი, გ.მ. მალენკოვი, ნ.ს. ხრუშჩოვი, ლ.პ. ბერია, ჯოუ ენ-ლაი, ლ.მ. კაგანოვიჩი, ა.ი. მიქოიანი, მ.ზ. საბუროვი, მ.გ. პერვუხინი, ნ.მ. შვერნიკი, მ.ა. სუსლოვი, პ.კ. პონომარენკო, ლ.გ. მელნიკოვი, მ.ჯ. ბაგიროვი, მ.თ. შკირიატოვი, ნ.ა. მიხაილოვი, პ.ნ. პოსპელოვი და ა.ა. ანდრეევი.**

*ფოტო ვ. სავოსტიანოვისა (საკდესი)*

***რაც დრო გადის, სულ ახალი და ახალი დეტალები ირკვევა ნიკიტა ხრუშჩოვისა და მისი უახლოესი გარემოცვის, რბილად რომ ვთქვათ, სპეციფიკური პოლიტიკის შესახებ უკვე გარდაცვლილი იოსებ სტალინის მიმართ, ვისაც სიცოცხლეში მლიქვნელურად ელაქუცებოდნენ. უშიშროების ერთ-ერთი თანამშრომლის მოსწრებული სიტყვით, „ხრუშჩოვს ცოცხალი სტალინის ეშინოდა ისე, რომ ქვეშ ისვრიდა!“***

ახალი დეტალების გარკვევის კვალზე ახალი კითხვები, გამოცანები და საიდუმლოებანი ჩნდება. მათზე პასუხი გაუცემელია, საიდუმლოებანი - ამოუხსნელი. საიდუმლო არქივები კვლავინდებურად მკაცრად გასაიდუმლოებულია, თუმცა, სტალინზე ბევრს წერენ და ლაპარაკობენ, რადგან მისი არაორდინარული პიროვნების მიმართ ინტერე-სი, პრაქტიკულად, უსასრულოა... ოფიციალური სტრუქტურები დუმან და ნახევარ საუკუნეზე მეტია, არავის აძლევენ უფლებას, ჩაიხედოს ადრინდელ საქმეებში, და, ეგებ, პოლიტიკურ და მორალურ დანაშაულობებში. ამ შემთხვევაში საუბარია გენერალისიმუსის ცხედრის ბედზე - მართლაც, უწინდებურად მარხია თუ არა კრემლის კედელთან, იქ, სადაც მავზოლეუმიდან გადმოსვენების შემდეგ, 1961 წლის 31 ოქტომბრის გვიან საღამოს, დაკრძალეს.

**ოფიციალურად ყოველთვის ითვლებოდა და, რამდენადაც ცნობილია, ხელისუფალთ არასოდეს საჯაროდ არ უარუყვიათ, რომ სტალინი კვლავაც მშვიდად განისვენებს კრემლის კედელთან. მაგრამ რიგი უცხოელი და ზოგიერთი რუსი დამოუკიდებელი ექსპერტი მხარს უჭერს ვერსიას, რომ... კრემლის კედელთან საფლავში სტალინის ცხედარი უკვე დიდი ხანია, აღარ არის! ის საფლავი ცარიელია. ეს ვერსია ემყარება მოწმეთა მთელ რიგ ჩვენებებს და არც თუ უსაფუძვლო ჩანს.**

თავის დროზე, „პერესტროიკის“ პერიოდში, რამდენიმე პოპულარული პერიოდული გამოცემა შეეცადა ამ საკითხში ბოლომდე გარკვევას და ჭეშმარიტების დადგენას. მაგრამ ყველაფერი მალე მიყუჩდა. შეიძლება, „კომპეტენტურმა ორგანოებმა“ რედაქციებს ურჩიეს, რომ არ ღირს ხმაურის ატეხა და საზოგადოებრივი აზრის აფორიაქება. არის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებზეც პრესამ უნდა გაამახვილოს ყურადღება. ხოლო სტალინი, მისი გადასვენება და საფლავები ძველი, თითქმის დავიწყებული წარსულია... „კომპეტენტურ ორგანოებში“ იმდენად სახელმწიფო უშიშროების სტრუქტურები კი არ უნდა ვიგულისხმოთ, რამდენადაც პარტიული აპარატი, რომელსაც იმ დროს ჯერ კიდევ ჰქონდა დიდი ძალა...

სტალინის მესამე გადასვენების ვერსია რა ფაქტებს ეფუძნება?

**ამბობენ, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ზოგიერთი პასუხისმგებელი თანამშრომელი, ვინც XX საუკუნის 50-60-იან წლებში ორგანოებში მსახურობდა, მრავალი წლის შემდეგ ძალიან ფრთხილად იხსენებდა: სახელმწიფო უშიშროების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, სტალინის გადასვენების შესახებ ინფორმაციამ მაინც გაჟონა და სწრაფად გავრცელდა ქვეყნის მასშტაბით. ეს ფაქტი დაადასტურეს სსრკ უშკომის პირველი მთავარი (დაზვერვის) სამმართველოს ყოფილმა თანამშრომლებმაც, რომლებიც დასავლეთში გადავიდნენ და იქ დაფუძნდნენ. მათ გარდა, აგრეთვე - „პერესტროიკის“ და შემდგომი „დემოკრატიზაციის“ წლებში დასავლეთში გადაბარგებულმა უშიშროების ფედერალური სამსახურის რიგმა თანამშრომლებმაც, რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ საიდუმლო დოკუმენტაციაზე.**

ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მაინც ვცადოთ, დასავლეთელი ექსპერტებისა და „კრემლმცოდნეების“ ვერსიების საფუძველზე აღვადგინოთ1961 წლის ნოემბრის პირველი დეკადის მოვლენები.

ამისთვის მოგვიწევს 1961 წლის 30-31 ოქტომბრის მოვლენებთან დაბრუნება.

**ზოგიერთი, შეუმოწმებელი მონაცემით, მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია სტალინის გადასვენების შესახებ, საქართველოდან მოსკოვისკენ რამდენიმე ათასი კაცი გაემგზავრა. უშიშროების აგენტურის ინფორმაციით, მათ განზრახული ჰქონდათ, ხელი შეეშალათ გადასვენებისათვის. ქართველი სტალინისტები სსრკ დედაქალაქისკენ მიემგზავრებოდნენ თვითმფრინავებით, ავტომანქანებით. ტელეფონებით დაუკავშირდნენ და ფეხზე დააყენეს ქართული დიასპორა მოსკოვში. როგორც ჩანს, საქართველო-მოსკოვის და მოსკოვი-თბილისის სატელეფონო საუბრებს უშიშროება გულდასმით უსმენდა.**

- მდგომარეობა ძალიან დაძაბულია, - მოახსენა ნიკიტა სერგეევიჩს უშკომის თავმჯდომარე შელეპინმა, რომელსაც მთავრობის და ცკ წევრები ზურგსუკან რკინის შურიკს ეძახდნენ.

- ყველა ღონისძიება უნდა განვახორციელოთ! - პანიკამ აიტანა ახალი გენმდივანი.

**ზოგიერთმა დასავლეთელმა ექსპერტმა ფრიად მოულოდნელი აზრი გამოთქვა, თითქოს ნიკიტა ხრუშჩოვი ეთნიკური უკრაინელი კი არ იყო, როგორც აქამდე მიაჩნდათ, არამედ ფარული იუდეველი, გვარად პერლამუტრი, რომელიც რევოლუციამდელ და რევოლუციის პერიოდში წარმატებით „გადაიღება“ უკრაინელად. სხვათაშორის, იმ მხარეში, სადაც დაიბადა და მუშაობდა ხრუშჩოვი, ბევრი ებრაელი ცხოვრობდა, რადგან სწორედ სამხრეთზე გადიოდა ებრაელთა დასახლების ის ზოლი, რომლის ჩრდილოეთით გადასვლა მათ, რუსეთის იმპერიის კანონით, ეკრძალებოდათ. გამონაკლისი იყო გაქრისტიანებული ებრაელობა, მაგრამ ჩრდილოეთში დასახლებულებს ძალიან დიდი გადასახადები უნდა ეხადათ.**

დასავლეთში აგრეთვე მიიჩნევენ, რომ ხრუშჩოვი დაავადებული იყო მანიაკური იდეით - მოესპო ბელადის ცხედარი, ვისიც ასე ეშინოდა სიცოცხლეში. ეს არის სუფთა მისტიკური

## იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვა

1953 წლის 9 მარტს მოსკოვში წითელ მოედანზე მოხდა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვა.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი სიტყვას აძლევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ გეორგი მაქსიმილიანის-ძე მალენკოვს.

შემდეგ სიტყვას აძლევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

შემდეგ სიტყვით გამოდის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.



**ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა კაცობრიობამ უმძიმესი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადეს. დაასრულა თავისი სახელოვანი ცხოვრების გზა ჩვენმა მასწავლებელმა და ბელადმა, კაცობრიობის უდიდესმა გენიოსმა იოსებ ბესარიონის ძე სტალინმა.**

**ამხანაგმა სტალინმა მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ექსპლოატატორთა უღლისა და კაბალისაგან მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა განთავისუფლების საქმეს, გამანადგურებელი ომებისაგან კაცობრიობის ხსნის საქმეს, ქვეყნად მშრომელი ხალხის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის საქმეს.**

**ამხანაგ სტალინის დაუცხრომელი შრომის შედეგად, მის მიერ შემუშავებული გეგმებით, ჩვენმა პარტიამ წინათ ჩამორჩენილი ქვეყანა გადააქცია მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, შექმნა ახალი ეკონომიკური წყობილება, რომლისთვისაც უცხოა კრიზისები და უმუშევრობა.**

**წინ ლენინ-სტალინის დიადი საქმის სრული გამარჯვებისაკენ!**

*ამხანაგ გ.მ. მალენკოვის სიტყვიდან*



**ამხანაგებო! უსაზღვროა ჩვენი მწუხარება, განუზომლად მძიმეა დანაკლისი, მაგრამ არც ამ სიმძიმით შედრკება კომუნისტური პარტიის ფოლადისებური ნებისყოფა, არ შეირყევა მისი ერთიანობა და სიმტკიცე კომუნიზმისათვის ბრძოლაში.**

**ჩვენი ქვეყნის მუშებს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას შეუძლიათ მშვიდად და რწმენით იმუშაონ, იციან რა, რომ საბჭოთა მთავრობა მუდამ მზრუნველობით დაიცავს სტალინურ კონსტიტუციაში ჩაწერილ მათს უფლებებს.**

**სამარადისო დიდება ჩვენს საყვარელ, ძვირფას ბელადსა და მასწავლებელს — დიდ სტალინს!**

*ამხანაგ ლ.პ. ბერიას სიტყვიდან*



**ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე ვცხოვრობდით და ვმუშაობდით ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.**

**სტალინმა მთელი ძალ-ღონე, მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა კომუნიზმისათვის ბრძოლას, მშრომელთა ბედნიერებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებულ ბრძოლას.**

**სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში, საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში. ჩვენი ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ მის მიერ განხორციელებულ დიად საქმეთა დიდება საუკუნეებში იცოცხლებს!**

*ამხ. ვ.მ. მოლოტოვის სიტყვიდან*

# მავზოლეუმის უკან, კრემლის კედელთან?

წიგნიდან „სტალინის საიდუმლოებანი“

მომენტი. თავისი უღრანი გაუნათლებლობის, უხეში ვოლუნტარიზმის და ისტერიკული თავდაჯერებულობის მიუხედავად, ხრუშჩოვი იძულებული იყო, მიემართა მედიუმებისა და ექსტრასენსებისათვის, რომლებიც უშიშროებასთან თანამშრომლობდნენ. ასეთ ფაქტებს დღესაც მალავენ, მაგრამ დროდადრო მაინც გამოჟონავს ხოლმე მემუარებისა თუ ისტორიული სტატიების ფურცლებზე.

მაგალითად, ცნობილია, რომ კარიბის კრიზისის გამწვავების დროს ხრუშჩოვი ცდილობდა, დასახმარებლად მიემართა ცნობილი ექსტრასენსის ვოლფ მესინგისთვის. გენმდივანი ყურადღებით ეცნობოდა ინფორმაციას, რომელსაც ექსტრასენსები უშკომს აწვდიდნენ, და, როგორც დასავლეთელი ექსპერტები თვლიან, სავსებით დასაშვებია, რომ მას ურჩიეს, სანამ მავზოლეუმიდან სტალინის ნეშტს არ გამოიტანდა (ოკულტისტების მტკიცებით, გარდაცვლილის სული ტრიალებს იქ, სადაც დამარხულია ადამიანის გვამი ან დროდადრო იქ მოევლინება), მისი ძალაუფლება მტკიცე არ იქნებოდა. სტალინის სულს კი უნდა ჰქონოდა უზარმაზარი იმქვეყნიური ენერგეტიკა, რადგან ადამიანი, ვის სხეულშიც ეს სული იყო, სიცოცხლეში კოლოსალური ენერგეტიკის მატარებელი გახლდათ.

ლაპარაკია არა კაბალაზე ან სხვა ოკულტურ მეცნიერებაზე, არამედ კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომლებიც განახორციელეს 1961 წლის ნოემბრის დასაწყისში...

- წითელ მოედანზე და მის გარშემო ორმოცდაათი ათასამდე სტალინელია შეკრებილი, - ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შეაშინა ხრუშჩოვი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ.

ექსპერტების აზრით, უშკომის თავმჯდომარე თავად ცდილობდა უმაღლესი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. მაგრამ არ გამოუვიდა: ლეონიდ ბრეჟნევმა მოხერხებულად აუარა მას გვერდი, ჯერ დიდი პოლიტიკის უკანა ეზოში გაიყვანა, შემდეგ კი საერთოდ ჩამოაცილა ყველაფერს. ეს ის ბრეჟნევია, რომელსაც ბევრნი „სუსტ მოთამაშედ“ მიიჩნევდნენ.

- ეს კაცი მხოლოდ დღესასწაულების მომწყობია და სხვა არაფერი, - აგდებულად ლაპარაკობდა ხრუშჩოვი ლეონიდ ილიჩზე.

და თავი წააგო.

სანდო ინფორმაცია იმაზე, მართლაც მზადდებოდა თუ არა 30 ოქტომბერს შეტევა მავზოლეუმზე, არ არსებობს: ზოგიერთი საზღვარგარეთული წყარო ამტკიცებს, რომ სტალინისტები თვითონ აპირებდნენ სარკოფაგის მავზოლეუმიდან გამოტანას და პატივითა და დიდებით საქართველოში წასვენებას, სადაც, შესაძლებელია, მის მშობლიურ გორში აეგოთ ახალი მავზოლეუმი... მაგრამ ხრუშჩოვი სერიოზულად შეშინდა და კრემლის კომენდანტ ვედენინს უბრძანა:

- არ უნდა დაუშვათ!

გენერალმა გაიგო, რა სურდათ მისგან. არსებობს ცნობები იმის თაობაზე, რომ სტუმრების ტრიბუნების ქვეშ, დარბაზებში, რომლებიც მავზოლეუმის ორივე მხარეს არის, დაუყოვნებლივ შეიყვანეს ავტომატებით შეიარაღებული ჯარისკაცების ორი ასეული. საინტერესოა, მდგომარეობის გამწვავების დროს ვის უნდა გაეცა ბრძანება, ესროლათ უიარაღო ადამიანებისათვის - კრემლის კომენდანტს თუ თვითონ ხრუშჩოვს? აკი სწორედ მან მისცა სანქცია, დაეხვრიტათ მუშების დემონსტრაცია ნოვოჩერკასკში, როცა ხალხი პროდუქტების გაძვირების წინააღმდეგ გამოვიდა! ჩვეულებრივ ამაზე არაფერს ამბობენ, თუმცა, ბევრი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა მაშინ.

**საბედნიეროდ, წითელ მოედანზე სისხლი არ დაღვრილა - მავზოლეუმის შტურმით აღება არავის უფიქრია, და ოპერატიული ვითარება განიმუხტა... არის იმის დიდი ალბათობა, რომ შელეპინი განგებ ართულებდა ვითარებას, რათა, ჯერ ერთი, ამით „ქულები“ მოეპოვებინა და, მეორე, ხაზი გაესვა უშიშროების კომიტეტის გადამწყვეტი მნიშვნელობისათვის...**

მაგრამ ხრუშჩოვი ვერ დამშვიდდა. მას სურდა, რაც შეიძლება შორს გაეტანა სტალინის ცხედარი, მაგრამ ვერ შეძლო.

- რაღაც უნდა გავაკეთოთ, - ხშირად იმეორებდა ნიკიტა სერგეევიჩი, იხსენებენ კრემლის კომენდატურის და პოლიტბიუროს პირადი დაცვის თანამშრომლები.

**მათივე ინფორმაციით, 1961 წლის 12 ნოემბერს სტალინის საფლავთან მიიყვანეს პატარა ექსკავატორი და „ზის“-ის მარკის სატვირთო ავტომანქანა. სამხედრო პატრულმა აქციის ადგილი ალყაში მოაქცია. იქ უთუოდ იქნებოდნენ ჩეკისტებიც.**

**ყველაფერი ისე სწრაფად განხორციელდა, რომ რიგიანად ვერავინ გაარკვია, რა ხდებოდა. ზოგიერთი თვითმხილველის ცნობით, აქცია 25-30 წუთს გაგრძელდა. ექსკავატორმა სწრაფად გადასწია ბეტონის ფილა, ამოთხარა მიწა და ამოიღო საფლავიდან კუბო სტალინის ნეშტით. შემდეგ სატვირთო მანქანის ძარაზე დადო. მანქანა დაუყოვნებლივ დაიძრა ადგილიდან, ექსკავატორმა მოასწორა საფლავი და წავიდა. კრემლის მებაღეებმა იქაურობა მოასუფთავეს და მოაწესრიგეს.**

**ვარაუდობენ, რომ ხრუშჩოვის მითითებით, სტალინის ცხედარი დონის მონასტერში წაასვენეს, სადაც იმ დროს ერთადერთი კრემატორიუმი მუშაობდა. ნიკიტა სერგეევიჩს მტკიცედ გადაეწყვიტა, დაეწვა ბელადის ცხედარი.**

**დასავლეთის წყაროები ამტკიცებენ, რომ სტალინის ცხედრის კრემაცია უაღრესად საიდუმლოდ მოხდა. სად წაიღეს ფერფლი, დღემდე უცნობია.**

**ყველაფერი, რაც მაშინ მოხდა, შეუღწეველი „სახელმწიფოებრივი საიდუმლოებით“ არის მოცული.**

**ერთხელ მოხდა გადასვენება თუ რამდენჯერმე - არავინ იცის. მოეფინება თუ არა ამ ამბავს ოდესმე ნათელი? დღეს ამის თქმა დარწმუნებით არავის შეუძლია.**

●

1984 წლის დასაწყისში დასავლეთის ყველა საინფორმაციო საშუალებამ გაავრცელა ჭეშმარიტად სენსაციური ცნობა: სკკპ ცკ ახალმა გენერალურმა მდივანმა კონსტანტინე ჩერნენკომ პირადად გადასცა პარტიული ბილეთი ადრე კომპარტიის რიგებიდან გარიცხულ და ახლა აღდგენილ, უკვე ძალიან ხანშიშესულ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ახლობელ ადამიანსა და თანამებრძოლს, ცნობილ „რუს სფინქსს“ ვიაჩესლავ მიხეილის ძე მოლოტოვს.

სტალინის პერიოდში, სხვადასხვა დროს, მოლოტოვი იყო სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი და სახკომსაბჭოს თავმჯდომარე.

ეს ფაქტი ათასნაირად იყო მაშინ კომენტირებული, მაგრამ განსხვავებული პოზიციების მქონე „კრემლენოგები“ ბოლოს მაინც ერთ შეკითხვას სვამდნენ:

- რა მოჰყვება ამას?

რატომ გადადგა ეს ნაბიჯი აშკარად მძიმე ავადმყოფმა, ლეონიდ ბრეჟნევის ახლო მეგობარმა ჩერნენკომ მაშინვე, როგორც კი სსრკ-ის უმაღლესი ძალაუფლება ხელთ იგდო? ნიშნავდა თუ არა ვიაჩესლავ მოლოტოვის რეაბილიტაცია, რომ მალე მოსალოდნელი იყო გენერალისიმუს იოსებ სტალინის რეაბილიტაცია, იმ დიდი ბელადისა, რომელიც ჩერნენკოს კერპი იყო?

**- გადახაზავს თუ არა ახალი გენერალური მდივანი ხრუშჩოვის მოხსენებას? - კითხულობდნენ დასავლეთელი მიმომხილველები, - ნუთუ ჩაფიქრებული აქვს სტალინის ნეშტის დაბრუნება მავზოლეუმში?..**

**- საქმე სრულიადაც არ ეხება მავზოლეუმს და ნეშტს, - ამბობდნენ უფრო სერიოზული პოლიტოლოგები, - საქმე ეხება იდეოლოგიას! ამაზე იქნება დამოკიდებული ისტორიის შემდგომი მსვლელობა, თანაც, არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ - მსოფლიო ცივილიზაციის.**

საინტერესოა, იცოდა თუ არა სასიკვდილოდ განწირულმა ჩერნენკომ, როგორ აფასებდა მის ამ ნაბიჯს დასავლეთი? უთუოდ იცოდა, რადგან, პრაქტიკულად, კრემლის საავადმყოფოში (კუნცევოში) ჩასახლებულ გენერალურ მდივანს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი სისტემატურად ახსენებდა დასავლეთის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან რეაქციას მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, სინამდვილეში რა ხდებოდა პოლიტბიუროს სხდომების დროს. ამის თაობაზე ხმას არ იღებს „პერესტროიკის მამა“ მიხეილ გორბაჩოვიც, რომელიც უკვე მაშინ ქვეყნის მმართველთა მჭიდროში შედიოდა.

პოლიტბიუროს ზოგიერთი განსაიდუმლოებული ოქმიდან გამჟღავნდა, რომ 1984 წლის ივლისში, კრემლში ჩატარებული სხდომის შემდეგ, კონსტანტინე ჩერნენკომ მოულოდნელად დაიწყო საუბარი იმაზე, თუ როგორ გადასცა ვიაჩესლავ მოლოტოვს პარტბილეთი. დამსწრენი მას დიდი ინტერესით უსმენდნენ.

- მან მითხრა: თქვენ სწორად მიგყავთ საქმე, ამიტომაც გიჭერთ ხალხი მხარს, - თავი მოიწონა ჩერნენკომ.

- მისი მხრიდან ეს მნიშვნელოვანი შეფასებაა, - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა მარშალმა უსტინოვმა, რომელიც ახალგაზრდობის წლებში სტალინური სახალხო კომისარი იყო, - **არცერთ მტერს ჩვენთვის იმდენი არ დაუშავებია, რამდენიც - ხრუშჩოვმა სტალინისადმი დამოკიდებულების თავისი უგუნური პოლიტიკით.**

**ხრუშჩოვის სახელმა პოლიტბიუროს წევრებზე ისე იმოქმედა, როგორც წითელმა ნაჭერმა - კორიდაზე გამოყვანილ ხარზე: მათ დაიწყეს პოსტიდან კარგა ხნის წინათ მოცილებული ხრუშჩოვის ძაგება და სტალინის ქება-დიდება.**

**- გამარჯვების ორმოც წლისთავთან დაკავშირებით, - განაგრძო უსტინოვმა, - კარგი იქნებოდა, ვოლგოგრადისთვის დაგვებრუნებინა სტალინის სახელი. ამას კარგად აღიქვამდნენ მილიონობით ადამიანები!**

**- ამ წინადადებაში არის დადებითი და უარყოფითი მხარეები, - ფრთხილად შენიშნა გორბაჩოვმა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ მხოლოდ ოცნებობდა უმაღლეს ხელისუფლებაზე. თუმცა, თავისი აზრი შემდგომ არ განუვრცია, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ არ სურდა, ვინმეს დაპირისპირებოდა.**

იმ დღეს პოლიტბიუროს სხდომაზე არავითარი კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ: არავითარი წინადადება განსახილველად არ შეუტანიათ, ბუნებრივია, არც კენჭი უყრიათ, ხოლო თვით ჩერნენკო, რომელიც სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული სტალინის თანამებრძოლთა და თვით ბელადის რეაბილიტაციაში, იმ დღეს თავს ცუდად გრძნობდა და ცდილობდა, მალე დაემთავრებინა პოლიტბიუროს სხდომა...

- ამ საკითხს ჩვენ აუცილებლად დავუბრუნდებით, - ასეთი დაპირებით შეაჯამა დისკუსია გენერალურმა მდივანმა...

**მაგრამ ბედმა სხვაგვარად განსაჯა: შვებულების დროს ჩერნენკო სერიოზულად ავად გახდა, ყველა მისი დაავადება წარმოუდგენლად გართულდა და მას უკვე აღარ შეეძლო, ეფიქრა პოლიტბიუროს სხდომაზე და ბელადის რეაბილიტაციაზე. რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა ყოფილი სტალინური სახალხო კომისარი, თავდაცვის მინისტრი დიმიტრი უსტინოვი.**

**დადგა ახალი დრო: ქვეყანას ელოდა გიგანტური ძვრები და სოციალური კატაკლიზმები.**

**ჩანს, თვით ბედმა გადაწყვიტა, ყველაფერი ისტორიისთვის მიენდო: იგი განსჯის და განვლილი ეპოქის ყველა მოღვაწეს თავის ადგილს მიუჩენს. „მავზოლეუმში დაბრუნება“ არ მოხერხდა...**

*პუბლიკაცია მოამზადა*
**არმაზ სანებლიძემ**

„კომუნისტი“, 1953 წლის 14 მარტი

## დადგენილება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსი

### იმის შესახებ, თუ სად დაიდგას სარკოფაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ცხედრით

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოადგენენ:

სარკოფაგი ი. ბ. სტალინის ცხედრით მოთავსდეს მავზოლეუმში წითელ მოედანზე, ვ. ი. ლენინის სარკოფაგის გვერდით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დადგენილება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსი

### პანთეონის—საბჭოთა ქვეყნის დიდი ადამიანების მარადიული დიდების ძეგლის აგების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

დიდი ბელადების ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის და იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის, აგრეთვე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს იმ გამოჩენილ მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, რომლებიც დაკრძალული არიან წითელ მოედანზე კრემლის კედელთან, მოსკოვში აიგოს მონუმენტური შენობა — პანთეონი — საბჭოთა ქვეყნის დიდი ადამიანების მარადიული დიდების ძეგლი.

პანთეონის აგების დამთავრების შემდეგ გადატანილ იქნას იქ სარკოფაგი ვ. ი. ლენინის ცხედრით და სარკოფაგი ი. ბ. სტალინის ცხედრით, აგრეთვე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს იმ გამოჩენილ მოღვაწეთა ნეშტი, რომლებიც დაკრძალული არიან კრემლის კედელთან, და გაიხსნას პანთეონი დასათვალიერებლად მშრომელთა ფართო მასებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## შენს სახელს მარად დიდება

**ირაკლი აბაშიძე**

[illegible]

ნ. III. 53 წ.



მოსკოვი. წითელი მოედანი. *გვირგვინები, რომლებითაც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა შეამკეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის კუბო.*

*ფოტო მ. ხარლამპიევისა და ვ. კოშევოისა (საკდესის ფოტოქრონიკა)*

## მილოცვები



დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს პატარა დისშვილს **ლუკა კაპლაძეს**, ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ულევ სიხარულს ვუსურვებ.

**ნონა სხულუხია**

---

**ვახტანგ ჩირგაძეს,**

ჩემო ვახო, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჩაფიქრებული მიზნების ასრულებასა და წარმატებებს პირად ცხოვრებაში. იყავი სულ ბედნიერი და მხიარული, შენს საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად.

პატივისცემით
**პაატა ხამაშურიძე,**
ქ. თბილისი

**თინათინ ხამაშურიძეს,**

საყვარელო და ძვირფასო დედა, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. იმედია, მალე შევხვდებით ერთმანეთს.

გკოცნი, გეხვევი შენი
**პაატა ხამაშურიძე,**
ქ. თბილისი

---

# ექსკურსია ვაშინგტონში

– გთავაზობთ სატრანსპორტო და საექსკურსიო მომსახურეობას შეერთებული შტატების დედაქალაქში 4–კაციანი ჯგუფებისათვის;

– მგზავრთა გადაყვანა ხდება ჯიპის მარკის ავტომანქანებით;

– მგზავრებს მოემსახურებათ თარჯიმანი და ფოტოკორესპონდენტი;

– ექსკურსია ერთდღიანია და ამ პერიოდში თქვენ შეგეძლებათ ისეირნოთ ვაშინგტონის ქუჩებში, დაათვალიეროთ ლინკოლნის მემორიალი, ვაშინგტონის მონუმენტი, მეორე მსოფლიო ომის ახალგახსნილი მემორიალი, ჯეფერსონის მემორიალი, გარედან ნახოთ თეთრი სახლი, კაპიტოლიუმის შენობა (11 სექტემბრის შემდეგ თეთრ სახლში ტურისტების შესვლა აკრძალულია).

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

**347-724-0770**











---

### გაზეთ „მამულის“

# ქართული სტუდია

გთავაზობთ ქართულ ფილმებს სახლში მიღებით

- ❑ არაჩვეულებრივი გამოფენა
- ❑ ბელურების გადაფრენა
- ❑ სამოთხის გვრიტები
- ❑ ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი
- ❑ დავით გურამიშვილი
- ❑ დღე უკანასკნელი დღე პირველი
- ❑ დათა თუთაშხია
- ❑ ბებერი მეზურნეები
- ❑ დიდოსტატის მარჯვენა
- ❑ ვერის უბნის მელოდიები
- ❑ თეთრი ბაირაღები
- ❑ კიდევ ერთი ქართ. ისტორია
- ❑ კეთილი ადამიანები
- ❑ გზა მშვიდობისა ჯაყო
- ❑ თოჯინები იცინიან
- ❑ კოჯრის ტყის სიზმრები
- ❑ იმერული ესკიზები
- ❑ მაცივარში ვიღაც იჯდა
- ❑ მე, ბებია, ილიკო და ილარიონი
- ❑ მერცხლები და ბელურები
- ❑ ოცნებების სასაფლაო
- ❑ პირველი მერცხალი
- ❑ პილიგრამობა ევროპიდან იერუსალიმამდე
- ❑ რაც გინახავს ველარ ნახავ
- ❑ რაჭა ჩემი სიყვარული
- ❑ როცა აყვავდა ნუში
- ❑ სამანიშვილის დედინაცვალი
- ❑ სიყვარული ყველას უნდა
- ❑ საბუდარელი ჭაბუკი
- ❑ საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი
- ❑ ოთარაანთ ქვრივი
- ❑ პირველი სიყვარულის შვიდი ისტორია
- ❑ ხევსურული ბალადა
- ❑ წითელი პატეფონი
- ❑ ჩემი მეგობარი ნოდარი
- ❑ მარადისობის კანონი
- ❑ ქართული სამზარეულო
- ❑ ქართული მულტფილმები 1,2
- ❑ „არტ-იმედი“ კრებული
- ❑ აჭარა მიუზიკლ-ჰოლი
- ❑ თეიმურაზ წიკლაური
- ❑ დათო ხუჯაძე
- ❑ ივერიას იუბილე
- ❑ ივერია – ფიროსმანი
- ❑ იუმორინა 2004
- ❑ იუმორინა „ოქროს შემოდგომა“
- ❑ იუმორინა 2005
- ❑ ანსამბლი „კელაპტარი“
- ❑ ნანი ბრეგვაძის იუბილე
- ❑ ნატო გელაშვილი
- ❑ მღერის ნინო ქათამაძე
- ❑ ანსამბლი „რუსთავი“
- ❑ ვახტანგ ტატიშვილის იუბილე
- ❑ ქართული ვიდეო-კოქტეილი
- ❑ ქართული კლიპები
- ❑ ფრიდონ სულაბერიძე-60
- ❑ ჯემალ სეფიაშვილი
- ❑ საახალწლო ამბავი 2002
- ❑ აბეზარა
- ❑ ბაში-აჩუკი
- ❑ ფეოლა*
- ❑ ფესვები
- ❑ ჭრიჭინა
- ❑ არსენა
- ❑ თხუნელა
- ❑ კუკარაჩა
- ❑ ლაზარე
- ❑ ლაქა
- ❑ აღდგომა
- ❑ მამლუქი
- ❑ მანანა
- ❑ განაჩენი
- ❑ გარიგება
- ❑ ლოლიტა
- ❑ მიმინო
- ❑ ლონდრე
- ❑ ნერგები
- ❑ ნინო
- ❑ სერენადა*
- ❑ სპირალი
- ❑ ქაჯანა
- ❑ ქვევრი*
- ❑ რეკორდი*
- ❑ შნო*
- ❑ შერეკილები
- ❑ ფიროსმანი
- ❑ ჩარი-რამა
- ❑ მონანიება
- ❑ პასპორტი
- ❑ ჩვენი ეზო
- ❑ მოდი ნახე
- ❑ წიგნი ფიცისა
- ❑ მოკვეთილი
- ❑ ნატვრის ხე
- ❑ ნუცას სკოლა
- ❑ მაცი ხვიტია
- ❑ ხევისფერი გოჩა
- ❑ ხარება და გოგია
- ❑ წერილი ნაძვებს
- ❑ არსენას ლექსი
- ❑ ცისკრის ზარები
- ❑ ღიმილის ბიჭები
- ❑ ცეკვა ზღაპარში
- ❑ ჩაკლული სული
- ❑ უძინართა მზე
- ❑ ცისფერი მთები
- ❑ ქაღალდის ნავი
- ❑ ქეთო და კოტე
- ❑ ღვინის ქურდები*
- ❑ სხვისი შვილები
- ❑ მაია წყნეთელი
- ❑ აკაკის აკვანი
- ❑ გლადიატორი*
- ❑ მზე შემოდგომის
- ❑ ჯარისკაცის მამა
- ❑ კუჩხი ბედინერი
- ❑ გლახის ნაამბობი
- ❑ კვალი ნათელი
- ❑ გიორგი სააკაძე
- ❑ უდიპლომო სასიძო
- ❑ მთვარის მოტაცება
- ❑ მხიარული რომანი

ფილმის ღირებულებაა 10$, ვარსკვლავით აღნიშნული მოკლემეტრაჟიანი ფილმის ღირებულება 5$, საფოსტო მომსახურეობა ნებისმიერი რაოდენობის შეკვეთაზე 4$, უნდა მონიშნოთ თქვენთვის სასურველი ფილმის უჯრედი, შეავსოთ ეს ანკეტა, ამოჭრათ, დაურთოთ ჩეკი ან მანი ორდერი IRINE MUMLADZE-ს სახელზე და გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

____________________
(თქვენი სახელი და გვარი)

____________________
(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

____________________
(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

____________________
(საკონტაქტო ტელეფონი)

**GEORGIAN Studio**
614 Lawler PL.
Phila, PA 19116

(267)
**474-9273**



*„ამერიკაში ჩემი გვარით ცხოვრება მიმძიმს, — ამბობს ნიკიტა ხრუშჩოვის ვაჟიშვილი სერგეი ხრუშჩოვი, რომელიც უკვე 13 წელია, აშშ-ში ცხოვრობს, — თითქმის ყოველ ჯერზე მისი დამარცვლით კარნახი მიწევს“. ჩვენ ერთმანეთს ქალაქ პროვიდენსის ბრაუნის უნივერსიტეტში, მის კაბინეტში შევხვდით. ამასწინათ 5 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვმა აშშ-ის მოქალაქის პასპორტი მიიღო და რუსეთშიც და ამერიკაშიც ბევრს მოჰგვარა შოკი, რადგან არც იქ, არც აქ ჯერ არ დავიწყებიათ მამამისის განცხადება მტრული ამერიკული იმპერიალიზმის მისამართით: „ჩვენ თქვენ დაგმარხავთ!“*

# აბრახუნებდა თუ არა ხრუშჩოვი გაეროს ტრიბუნაზე ფეხსაცმელს?

●

**- სერგეი ნიკიტას ძევ, გააოცა თუ არა რამემ მამათქვენი აშშ-ში, როდესაც ის 1959 წელს საბჭოთა მმართველებს შორის პირველი ჩავიდა ქვეყანაში, რომელიც ჩვენს მთავარ მტრად ითვლებოდა?**

- ვერ ვიტყვი, რომ რამემ განსაკუთრებით გააოცა. ისე, სუპერმარკეტებით დაინტერესდა, ყველაფერი დაათვალიერა და მერე სსრკ-ში თვითმომსახურების მაღაზიები შემოიღო. კიდევ ეიზენჰაუერს აცივდებოდა, რატომ არ გირჩევენ მესამე ვადითო. ის უხსნიდა - კანონია ასეთიო. ნიკიტა სერგეევიჩი კი - დიდი ამბავი, კანონი, თქვენც აიღეთ და შეცვალეთო *(იცინის)*. კინოსტუდია „XX საუკუნე ფოქსის“ მფლობელმა სპიროს სკურასმა გადასაღებ მოედანზე მიიწვია - ფილმ „კანკანს“ იღებდნენ. მამა გაკვირვებული იყო - მეგობრულად დაპატიჟეს და ასეთი უხამსობები აჩვენეს. მერე შირლი მაკლეინთან ერთად ფოტოები გადაიღო. ფოტოგრაფები მაკლეინს უყვიროდნენ: „კაბა აიწიე!“

**- მერილინ მონროსთან ერთად თუ გადაიღო ფოტო?**

- არა, მამამ არც კი იცოდა, ვინ იყო მონრო (ისევე, როგორც მაკლეინი) - სსრკ-ში მაშინ ახალ დასავლურ ფილმებს არ აჩვენებდნენ. თუმცა, ამ თემას გაგრძელება ჰქონდა. ამასწინათ ჩემთან მეზობელი მოქანდა „ყვითელი“ გაზეთის ფრიალით, სადაც ხრუშჩოვის პორტრეტი იყო მოთავსებული და ეწერა, რომ 1959 წელს მამას მერილინთან რომანი ჰქონდა და ყველა უქმეებზე ინკოგნიტოდ მიფრინავდა მასთან ფლორიდაში. ვეუბნები: „შეგიძლია დაიჯერო, რომ ცივი ომის დროს ხრუშჩოვი ყოველ კვირას აშშ-ში დაფრინავდა?“ ის კი მშვიდად მიცხადებს: „რა თქმა უნდა, შემიძლია. აბა, სიმართლეა თუ არა?“ *(იცინის)*

**- ხრუშჩოვმა ამერიკასთან დაკავშირებული ფრთიანი ფრაზით გაითქვა სახელი: „ჩვენ თქვენ დაგმარხავთ!“, არადა, ისე გამოვიდა, რომ თქვენ აშშ-ში გაემგზავრეთ და მოქალაქეობაც მიიღეთ. მომიტევეთ, ალბათ, ამ შეკითხვას უჩემოდაც ხშირად გისვამენ.**

- თითქმის ყოველდღე. და აშშ-ში ჩემს გამგზავრებაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ახლა ხომ ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირება აღარ არსებობს. მამა ამერიკაში მხოლოდ მტერს კი არა, კონკურენტსაც ხედავდა, რომლისგანაც სწავლა იყო საჭირო. ნიკიტა სერგეევიჩს მხედველობაში არ ჰქონია, რომ აშშ-ს ბომბების ქვეშ დავმარხავდით. მან თქვა, რომ უკეთესი სისტემა უარესს დაამარცხებდა. დარწმუნებული ვარ, დღეს ის ამერიკაში ჩემს ცხოვრებას და მუშაობას აბსოლუტურად ნორმალურად შეხვდებოდა.

**- მიუხედავად ამისა, თავის დროზე სტალინის ქალიშვილის - სვეტლანა ალილუევას დასავლეთში გაქცევას მამათქვენი არ აღუფრთოვანებია.**

- რა თქმა უნდა, ეს არ გახარებია. ის ამბობდა: „რატომ აიძულეს ალილუევა, ქმრის დაკრძალვის შემდეგ ინდოეთიდან დაბრუნებულიყო? თუნდაც 10 წელი ეცხოვრა იქ! პასპორტს მისცემდნენ და სკანდალიც არ იქნებოდა - ალილუევას მძიმე ხასიათი აქვს, რთული ქალია, უკვე მერამდენე ქმარი გამოიცვალა... თანაც სტალინის აჩრდილი დასტრიალებს თავს“. მის საქციელს ნამდვილად არ ამართლებდა. მაგრამ სვეტლანა გაიქცა, მე კი სამუშაოდ ჩამოვედი. ამერიკელებიც მეკითხებიან - როგორ აღიქვამდა მამა აშშ-ში თქვენს გადმოსვლას? მე კი შეკითხვას ვუბრუნებ - რას იტყოდა თქვენი პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი ერაყის თაობაზე? ისინი მხრებს იჩეჩენ. ის კი იტყოდა: „რას აკეთებთ, თქვენი მტრები ბაღდადში კი არა, ლონდონში არიან, ბრიტანეთი უნდა დაბომბოთ!“ ისტორიული ფიგურის ერთი დროიდან მეორეში გადმოყვანა შეუძლებელია.

●

**- წელს ოქტომბერში ორმოცი წელი შესრულდა იმ გადატრიალების შემდეგ, რომლის შედეგად ხრუშჩოვი გადააყენეს. რა რეაქცია გქონდათ, როცა ეს ამბავი შეიტყვეთ?**

- შინ წავედი და სასაცილო რაღაცები მოვიმოქმედე. საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობის დროიდან სახლში სრულიად საიდუმლო პლაკატები ეწყო - ყოველი შემთხვევისთვის დავწვი. მერე გამახსენდა, რომ სტალინის დროს ორჯონიკიძის ძმა პისტოლეტის შენახვისთვის დააპატიმრეს, მე კი პატარა სათამაშო პისტოლეტი მქონდა - გავიქეცი და მოსკვა-რეკაში გადავაგდე. ხრუშჩოვის გადაყენების შედეგები პირველად სასაცილო სიტუაციაში ვიგრძენი: მანქანით მივდიოდი სამსახურისკენ რეუტოვში, იქ ავტოინსპექციის პოსტი იყო - ყოველ დილით ჩავუვლიდი ხოლმე და ჩემს მანქანას შესანიშნავად იცნობდნენ. იმ დღეს კი ინსპექტორმა გამაჩერა და ერთი მანეთით დამაჯარიმა.




**ბენ-მდივნის შვილი კარიბის კრიზისის, პარტიული შეთქმულების და სტალინის სიკვდილის შესახებ**

**- რას აკეთებდა ნიკიტა სერგის ძე პენსიაზე გასვლის შემდეგ?**

- თავიდან უმძიმდა - ნერვებმა უმტყუნა. პრაქტიკულად ყველა ყოფილმა თანამოსაგრემ ზურგი აქცია - მხოლოდ იანოშ კადარი უგზავნიდა უნგრეთიდან რეგულარულად საჩუქრად ვაშლებს და რისლინგს. ისე კი - მიქოიანმა ერთხელ ახალი წელი მიულოცა. მერე ეს ცკ-ის პრეზიდიუმზე განიხილეს და შემდეგ წელს მიქოიანი იქ აღარ იყო. გაგარინს უნდოდა მამასთან ჩამოსვლა, მაგრამ ურჩიეს - არ ღირსო. სტრესის გადატანის შემდეგ მამამ, როგორც ძლიერმა პიროვნებამ, საქმე მოიძებნა - ბოსტანი გააშენა და იქ ახალი ტექნოლოგიებიც კი დანერგა.

**- თავისთავად იბადება შეკითხვა - სიმინდის მოყვანა არ უცდია?**

- როგორ არა! სიმინდის ყანას უზარმაზარი ხე გადმოჰყურებდა, სადაც ჭილყვავების კოლონია ბინადრობდა. მცველებმა უთხრეს - მოდით, დავხოცოთო. მამას ჩიტები შეეცოდა და მშვიდობიანი მეთოდით იცავდა სიმინდის ყლორტებს - ეკლიან ტოტებს აფარებდა.

**- მე კი მსმენია, რომ მიუხედავად ბოსტნით გატაცებისა, ხრუშჩოვს ცკ-სთან პრობლემები არ დაელია - „გასაუბრებისთვის“ გამოიძახეს კიდეც.**

- დიახ, 1967 წლიდან, როცა მემუარების კარნახი დაიწყო, უნდოდათ, ამ საქმისთვის თავი დაენებებინა. ცკ-ში ჯერ კირილენკომ გამოიძახა (ბრეჟნევის შემდეგ მეორე კაცი), მერე კი - პელშემ. ხრუშჩოვმა უპასუხა: „ვერაფერს ამიკრძალავთ. ყველაფერი რომც წამართვათ, ზეინკლად ვიმუშავებ. თუ არ გამომივა, ხალხს ვთხოვ ლუკმაპურის ფულს - და ყველა გამიკითხავს, თქვენ კი - არავინ“.

●

**- აშშ-ში განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობს თქვენი ლექციები 1962 წლის კარიბის კრიზისის თემაზე. როგორც სახელმწიფოს იმდროინდელი მეთაურის შვილი, რას იტყვით, რამდენად ახლოს ვიყავით აშშ-სთან ატომური ომისაგან?**

- ომს 20 წუთი გვაშორებდა. მაშინ ხომ ბირთვული იარაღისთვის თანამედროვე კოდები არ ჰ



ქონდათ, კომუნიკაცია სუსტი იყო. პირდაპირი სატელეფონო კავშირიც კი არ არსებობდა. ხრუშჩოვი და კენედი ტელეგრაფით ურთიერთობდნენ, მოსკოვიდან ტექსტი ლონდონში მიდიოდა და იქ სხვა შეტყობინებათა რიგში იდგა. საბჭოთა წყალქვეშა ნავების მეთაურებს ბრძანება ჰქონდათ - ჩვენს ხომალდებზე თავდასხმის შემთხვევაში ნებისმიერი იარაღი გამოეყენებინათ. ბირთვული დარტყმის შესახებ გადაწყვეტილებას სამი ადამიანი იღებდა: მეთაური, პოლიტმოადგილე და პირველი თანაშემწე. ჰოდა, ერთ წყალქვეშა ნავზე ორი თანახმა იყო, ერთი კი - წინააღმდეგი. ეს რომ არა, ბიჭები ბირთვულ შეტევას დაიწყებდნენ. ხრუშჩოვს ომი არასოდეს უყვარდა და ძალიან ეშინოდა მისი - ის ხომ ფრონტელი იყო. როდესაც ომზე ფილმი გადიოდა, ტელევიზორს რთავდა, ამბობდა - ომზე შექმნილი საუკეთესო ფილმიც კი სიცრუეა; ომი იმდენად ბინძური და საშინელი რამ არის, რომ მასზე კარგის არაფრის თქმა შეიძლებაო. სხვათაშორის, აშშ-ის პრეზიდენტის ეიზენჰაუერის შვილიშვილმა მიამბო, რომ ბაბუამისიც ასე იქცეოდა. ომზე ფილმები იმათ უყვართ, ვინც იქ არ ყოფილა.

**- მაგრამ ამბობენ, რომ შეთქმულებს სწორედ ამან უბიძგა ხრუშჩოვის გადაყენებისკენ - რომ მან ქვეყანა აშშ-სთან ბირთვული ომის ზღვარზე მიიყვანა. ყოველ შემთხვევაში, КГБ-ს ყოფილი შეფი სემიჩასტნი ასე ამტკიცებდა.**

- სემიჩასტნიმ და შელეპინმა - ყოველმხრივ დამარცხებულმა ადამიანებმა - დაცვის ასეთი კურსი აირჩიეს. ნიკიტა სერგეევიჩის მოხსნისთანავე КГБ-ს კონტრპროპაგანდის განყოფილებას მისი კომპრომეტაცია დაევალა - ეს იმავე სფეროდანაა, რომ მამა სტალინის წინ ჰოპაკს ცეკვავდა და ამის გამო მისი ფავორიტი იყო.

**- რა, არ ცეკვავდა?**

- საქმე ის არის, რომ მამა ზონზროხა კომპლექციისა იყო - სურვილი რომც ჰქონოდა, ჰოპაკს ვერ იცეკვებდა. საერთოდ კი სტალინის საქმისაღამოებზე მართლა ცეკვავდნენ ხოლმე. მთავარი შემსრულებლები მიქოიანი და მოლოტოვი იყვნენ: პირველი ნებისმიერ მუსიკაზე ლეკურს ცეკვავდა, მეორე კი - ვალსს. ბუდიონი, სანამ დაბერდებოდა, „რუსულს“ ჩამოუვლიდა ხოლმე. ხრუშჩოვი არ უარყოფდა, რომ რიტმის აყოლებით ფეხებს ამოძრავებდა - ამას სტალინიც აკეთებდა. ჟდანოვი ამ შეკრებებზე უკრავდა და უწმაწურ ჩასტუშკებს მღეროდა.

**- ხრუშჩოვს არც მაგარ-მაგარი გამოთქმები უყვარდა?**

- ისევ გაგიკვირდებათ, მაგრამ სახლში მისგან სიტყვა „ჯანდაბაც“ კი არ მსმენია, მისთვის ყველაზე დიდი ლანძღვა იყო „ოჰ, შე თურქო!“ ამიტომ ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა გახლდათ, რომ ნიკიტა სერგეევიჩმა მხატვარ ბორია ჟუტოვსკის უთხრა: „ბორია, შენ პედერასტი ხარ“. არც მისი მეგობრები იგინებოდნენ, ასე რომ, უწმაწურ ლექსიკონს მხოლოდ მუშაობის დაწყების შემდეგ გავეცანი.

**- თუ იმასაც მეტყვით, რომ გაეროში ტრიბუნაზე ფეხსაცმელს არ აბრახუნებდა, იცოდეთ, ვერ გადავიტან.**

- როგორ არა, აბრახუნებდა. სხვათაშორის, ის ფეხსაცმელი ამერიკული იყო. ხრუშჩოვი ნიუ იორკში სექტემბერში ზამთრის ფეხსაცმლით ჩავიდა, იქ კი ცხელოდა და მან ადგილობრივ მაღაზიაში ყავისფერი სანდლები შეიძინა. მერე ეს სანდლები დიდხანს ეყარა სახლში - მამას 39 ზომა ფეხი ჰქონდა და მის ფეხსაცმელს ვერავინ იცვამდა.

**- კუბას დავუბრუნდეთ. რა ურთიერთობა ჰქონდა ნიკიტა სერგეევიჩს ფიდელ კასტროსთან? ამბობენ, ლამის ღვიძლი შვილივით ეპყრობოდაო.**

- მე ასე არ ვიტყოდი, თუმცა, რა თქმა უნდა, კასტრო ყოველი ჩვენგანისთვის გმირი იყო. სხვათაშორის, 1990 წელს ჰავანაში კარიბის კრიზისისადმი მიძღვნილ კონფერენციაში ვმონაწილეობდი. მისი დამთავრების შემდეგ გრანდიოზული მიღება მოაწყვეს, სადაც ფიდელის უმცროსი ძმა რაულ კასტრო ძალიან დათვრა და გვითხრა: „ჩემს სამეთაურო პუნქტზე წავიდეთ“. მივედით, მან წითელ ყურმილს ხელი სტაცა და ამბობს: „ეს მოსკოვის გენშტაბთან პირდაპირი ხაზია. მიდი, უთხარი: ხაზზე ხრუშჩოვია!“ წარმოვიდგინე, რას მეტყოდნენ ამის შემდეგ მოსკოვში. ყურმილიდან ისმის: „ალო! თოლია გისმენთ!“. რაულს გვერდით ადიუტანტი ედგა, იმასაც საკმაოდ შეეშინდა - მე ყურმილი მივაჩეჩე და მანაც დაიყვირა: „პოლკოვნიკი ესა და ეს, კავშირის შემოწმება!“ კიდევ კარგი, ჩვენები დამშვიდდნენ.

**- ბევრი ჭორი არსებობს სტალინის სიკვდილის შესახებ. მამათქვენს ამ თემაზე არაფერი უთქვამს?**

- სტალინის სიკვდილზე მამამ ათჯერ მაინც დაწვრილებით მიამბო. არავითარი შეთქმულება იქ არ ყოფილა - ამის გაფიქრებას საკუთარ თავთან მარტო დარჩენილებიც კი ვერ გაბედავდნენ. როდესაც მასთან ექიმები მიიყვანეს, საწყლებს ხელები უცახცახებდათ, თავში ერთი აზრი უტრიალებდათ - უკეთ როგორ ემკურნალათ კი არა, იმ ოთახიდან როგორ გაეღწიათ. ბერიასაც არ მოუწამლავს სტალინი, იმიტომ, რომ ამისი გაკეთება შეუძლებელი იყო. დაცვას სტალინი ძალიან უყვარდა, ის ჭკვიანი ადამიანი იყო და თავის მცველებს ცივ ნიავს არ აკარებდა. თანაც დაცვის ნებისმიერ ოფიცერს ესმოდა - თუ სტალინის მოწამვლას იკისრებდა, იმ დღესვე მოკლავდნენ, ხოლო თუ ამის შესახებ მოახსენებდა - მარშალი გახდებოდა.

მირჩევნია, ნაიკითხოთ!



# ცოდვილი

**ვალერი კვარაცხელია**

- შენდობის სათხოვნელად არ მოვსულვარ, მამაო, - ძლივს ლუღლუღებდა თმა და წვერმოშვებული, შავპერანგიანი მამაკაცი, რომელიც ეკლესიის წინამძღვრის წინ დაჩოქილიყო. ამოღამებული თვალებით ქვემოდან ამოჰყურებდა მოძღვარს, ნაოჭებით დაღარულ სახეზე ძლიერი სულიერი და ფიზიკური ტანჯვის კვალი ეტყობოდა, - ღმერთს ერთ რამეს შევთხოვ მხოლოდ, ჩქარა მიიბაროს ჩემი ცოდვილი სული, ან უფლება მომცეს, მე თვითონ გავეცალო ამ წყეულ წუთისოფელს, - სუნთქვა გახშირებული ჰქონდა და, ლაპარაკისას, ყელიდან უშნოდ გამოჩხერილი „ადამის ვაშლი" ისე აუდ-ჩაუდიოდა, გეგონებოდათ, საცაა გარეთ გამოუვარდებაო.

მოძღვარმა მკერდზე ჩამოკიდებული ვერცხლის ჯვარი ტუჩებთან მიუტანა. ცოდვილი გამშრალი ბაგით შეეხო ჯვარს და ვედრებით აღსავსე თვალებით ამოხედა მოძღვარს.

- ადექი, - უთხრა მოძღვარმა, - უსაზღვროა უფლის ლმობიერება, ყოვლისმცოდნეა და ყოვლისშემძლე მაღალი ღმერთი. არ არსებობს ცოდვა, მან რომ არ მიუტევოს ღვთის შვი-ლს, თუ კი გულწრფელი მონანიებაა, ადექი...

გაუჭირდა წამოდგომა, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით აითრია დამძიმებული სხეული, თუმცა, სხეულის სიმძიმეს რას დაგიდევდათ, სულის სიმძიმის გამო მოსთქვამდა იგი.

- მომიყევი, რა გაწუხებს, რა გტანჯავს, რა ცოდვა გაქვს ისეთი, ასე რომ დაგიმძიმა სული?

ცოდვილმა ტუჩები აამოძრავა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სიტყვა პირზე შეაშრა. მერე დამსკდარ ტუჩებზე ენა მოისვა და საცოდავი გამომეტყველებით მიაჩერდა მოძღვარს.

- შვილი მოვკალი, - თქვა.

სახე შეეცვალა მოძღვარს. ღვთაებრივი სიმშვიდე ჩამოსცილდა წამით.

- შვილი მოკალი? როგორ? - ხმაც შეეცვალა მოძღვარს, თითქოს გაებზარა ხმა, გაებზარა და აუკანკალდა.

- ჩემს შვილს ავარია შეემთხვა. აქვე, თბილისთან ახლოს ხევში გადავარდა. მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ იპოვეს იგი სოფლელებმა. ვიდრე მანქანასავით დამსხვრეულ ჩემს ბიჭს იმ ხევიდან ამოიყვანდნენ და თბილისის საავადმყოფოში მიიყვანდნენ, კიდევ დიდი დრო გავიდა. როგორც ამბობენ, იგი გონზე არ იყო, მაგრამ სუნთქავდა და პულსი ესინჯებოდა. ჩვენ რომ ეს ამბავი გავიგეთ და საავადმყოფოში მივედით, მისთვის ოპერაცია გაკეთებული ჰქონდათ და ხელოვნური სუნთქვის აპარატზე ჰყავდათ მიერთებული. გადარჩენის იმედი არ მოუციათ, არც არანაირი გარანტია, მხოლოდ ის გვითხრეს, რომ ოპერაციის ათას ორასი ლარი გვქონდა გადასახდელი და აპარატი, რომელზეც ბიჭი ჰყავდათ მიერთებული, დღე-ღამეში ასი ლარი ღირდა, სამედიცინო მომსახურებაც - ასი ლარი. გარდა ამისა, დღეში სამი გრამი წამალი სჭირდებოდა, რომლის თითო გრამი ოთხმოცი ლარი ღირდა. ყველაფერი ეს, ჯამში, ოთხასორმოცი ლარი გამოდიოდა... ჩემი და ჩემი მეუღლის პენსია ოცდათექვსმეტი ლარი იყო, ჩემს ბიჭს ერთი ძველთაძველი საბჭოური წარმოების მანქანა ჰყავდა და მთელი დღე ტაქსაობდა, რომ ოჯახი - სამი მცირეწლოვანი შვილი, მეუღლე და ჩვენ, ასაკში შესული მშობლები, როგორმე ვერჩინეთ. ახლა, ბიჭს ეს უბედურება შეემთხვა და ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ოჯახი დღეში ოთხასორმოც ლარს კი არა, ას ლარსაც ვერ იშოვიდა.

- მერე, რა ქენით? - შიშნარევი ხმით ჰკითხა მოძღვარმა.

- ვირბინეთ ნათესავებში, ახლობლებში. სახლში თუ რამ გაგვაჩნდა, ჭურჭელი, ავეჯი, გავიტანეთ ყველაფერი გასაყიდად. თორმეტი დღე გავუძელით ამ საშინელებას, მაგრამ ბიჭი გონზე ვერ მოდიოდა.

- ექიმები რას გეუბნებოდნენ?

- ზუსტად ვერაფერს ამბობდნენ. ზოგს ორი კვირა სჭირდება ანალოგიური მდგომარეობიდან გამოსასვლელად, ზოგს - ერთი თვეო, ზოგი კი საერთოდ ვერ მოდის გონზე და იღუპებაო. ისე, შინაგანი ორგანოები მთელი ჰქონდა. ორი მალა და მკლავი ჰქონდა მოტეხილი, რა თქმა უნდა, ტვინის შერყევა და ზოგადი დაბეჟილობაც ჰქონდა, მაგრამ გადარჩენა შეიძლებაო, - ამბობდნენ. ოღონდ, იმის თქმა უჭირდათ, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასე.

- მთავრობა არ დაგეხმარათ?

- მთავრობის დონეზე ჩვენ ვინ მიგვიშვებდა? მერიაში, პრემიერის მოადგილესთან შევაღწიეთ ერთხელ, მაგრამ ასე გვითხრა, ეგ ჯანდაცვის სამინისტროს გადასაწყვეტიაო, ჯანდაცვის მინისტრს ვერ შევხვდით, მისმა თანაშემწემ კი მტკიცე უარით გამოგვისტუმრა, სახსრები არა გვაქვსო.

- ბიზნესმენებიდან არავინ დაგეხმარათ? - ხავსს ეჭიდებოდა მოძღვარი.

- ეჰ, ბიზნესმენები, ბიზნესმენები. ისინი ხალხს წურბელებივით ასხედან კისერზე და მხოლოდ ხელისუფლებას ეხმარებიან. მთავრობის ხალხთან უფრო მიხვალ, ვიდრე ბიზნესმენებთან, რა დაცვა ჰყავთ, რა გარემოცვა... ერთი მსხვილი ბიზნესმენის ნათესავთან მოვახერხეთ მისვლა. შეგვპირდა, რომ დაელაპარაკებოდა, მაგრამ ორი დღის შემდეგ ასეთი პასუხი მოგვიტანა: ამჟამად თავისუფალი თანხა არა მაქვს და ვერ დავეხმარებიო. გესმით, ეს რას ნიშნავს? მთელი ჩემი კაპიტალი უფრო დიდი კაპიტალის შოვნის საქმეში მაქვს დაბანდებული და ვიღაცა მომაკვდავისა და სულთმობრძავის დასახმარებლად ფულს ვერ მოვაცდენო...

- მერე რა მოხდა? - მოძღვარი ცდილობდა, რაც შეიძლება ჩქარა გაეგო, რით დასრულდა ეს ისტორია.

ცოდვილმა ამოიოხრა, აკანკალებული ხელით ცხვირსახოცი გაშალა, შუბლი მოიწმინდა.

- რაც მე გადავიტანე, იმის მოყოლა შეუძლებელია, - თქვა. მერე ერთხანს უხმოდ ამოძრავებდა ტუჩებს. ასეთ ყოფაში იყო, ვიდრე მაცხოვრის ხატისთვის თვალებმიშტერებულს ცრემლები არ წასკდა, - მეცამეტე დღეს, - განაგრძო მან ცრემლნარევი ხმით, - საავადმყოფოში მისულს, რეანიმაციის განყოფილების გამგე შეწუხებული დამხვდა. ასე მითხრა, გუშინდელი თანხაც არა გაქვთ გადახდილი, დღეს საღამოს ექვს საათამდე გუშინდელ და დღევანდელ თანხას, რვაასოთხმოც ლარს ერთად თუ არ შემოიტანთ, იძულებული ვიქნებით, ავადმყოფი აპარატიდან გამოვრთოთო. როგორ, გონსმოუსვლელი ავადმყოფისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოგაქვთ-მეთქი, ამოვიგმინე. რა ვქნათო, ჯერ კიდევ გუშინ უნდა გამოგვერთო აპარატი, მაგრამ შევედით თქვენს მდგომარეობაში და ავადმყოფი ისევ აპარატზე გვყავსო. მე რა ვქნაო, ეს ოხერი ჩემი კი არ არისო. აქ ყველაფერს, შენობას, აპარატს, თავისი მფლობელები ჰყავს, ათასგვარი გადასახადია გადასახდელი, სამედიცინო პერსონალისთვის ჯამაგირია მისაცემი, ეს ყველაფერი ვინ უნდა აანაზღაუროსო. ასე რომ, ჩვენ გამონაკლისის დაშვების უფლება არა გვაქვსო. მოკლედ, იგი თან მებოდიშებოდა თითქოს, მაგრამ თან იმას მეუბნებოდა, თქვენს შვილს ჟანგბადი უნდა გადავუკეტოთო... გიჟივით გამოვვარდი საავადმყოფოდან, სახლში მისული ვყვიროდი, აი ამ ბინას (იტალიურ ეზოში ორი პატარა ოთახი გვაქვს) ცხრაას ლარად ვყიდი-მეთქი. ორი დღის რომ როგორმე გადამეხადა, ჩემს ერთადერთ შვილს ჟანგბადს არ გადაუკეტავდნენ. მერე კი, ჩემი ჭკუით, კიდევ რაღაცას ვიშოვიდი, რომ კიდევ ერთი დღით გამეხანგრძლივებინა სიცოცხლე მომაკვდავი შვილისთვის... ვღრიალებდი, თავში მუშტებს ვიშენდი და ეზოში წინ და უკან ცოფიანივით დავრბოდი. მაწყნარებდნენ, მაკავებდნენ, მაგრამ როგორც კი ჩემს შვილს, სიცოცხლესთან მხოლოდ იმ აპარატით დაკავშირებულს წარმოვიდგენდი, რომელსაც იმიტომ რომ ცხრაასი ლარი არ მქონდა, აპარატს გამოურთავდნენ, ტვინში სისხლი მექცეოდა. მერე რამდენიმე მეზობელი მოვიდა, ფული შეეგროვებინათ. ექვსასი ლარი იყო. გავიქეცი საავადმყოფოში, ის ფული მივიტანე, დანარჩენს ხვალ მოვიტან-მეთქი, ჩავუვარდი ფეხებში ექიმს, კვლავ შევიდნენ ჩემს მდგომარეობაში და წამოვლასლასდი სახლში. ეზოში შეკრებილ მეზობლებს მადლობები ვუხადე, მაგრამ სახლში არ შევსულვარ, სადღაც ხომ უნდა მეშოვა ფული. თუ ვინმეს ვიცნობდი ქალაქში, არ დამიტოვებია არავინ, მაგრამ ორასი ლარის მეტი ვერ მოვაგროვე. მეორე დღეს, საავადმყოფოში მისულს, კატეგორიული უარი მითხრეს და თანაც ხელწერილის დაწერა მომთხოვეს, რომ ავადმყოფის გამორთვა აპარატიდან ჩემი თხოვნით ხდებოდა. უკანასკნელად მაინც მანახეთ-მეთქი, - ვითხოვე, - შემახედეთ ჩემი შვილისთვის-მეთქი... შემიყვანეს პალატაში. იწვა ჩემი უბედური ბიჭი უგონოდ. უბედური არა იმით, რომ ავარიაში მოყვა, არამედ უფრო იმით, რომ უპატრონო იყო. არავის ჰქონდა მისი სიცოცხლის გადასარჩენად გასამეტებელი ფული. სახელმწიფოში, ქვეყანაში არ არსებობდა მისი სიცოცხლისათვის ოთხასი ლარის გამღები სტრუქტურა ან ადამიანი. მე, მამამისი, ვიდექი მის სასთუმალთან, დავყურებდი მის უმოძრაო სახეს და განწირულ შვილზე მეტად საკუთარი არარაობის განცდა მახრჩობდა. ოთხასი ლარი? ოთხასი ლარი რა არის, ოთხი ათასს, ორმოცი ათასს და, თუ გნებავთ, ოთხასი ათასსაც ამ ქალაქში, ამ მათხოვრებითა და მიუსაფარი ადამიანებით სავსე ქალაქში, ვიღაც-ვიღაცები კაზინოში ხარჯავენ, რესტორნებსა და ბორდელებში ფლანგავენ, მე კი მომაკვდავი შვილის წინაშე ვდგავარ და იმის გამო, რომ ოთხასი ლარი არა მაქვს, ხელწერილი უნდა დავწერო - ჩემი შვილისათვის ხელოვნურად სიცოცხლის შეწყვეტა ამ სახელმწიფოს, ამ ხელისუფლების, ამ ცხოვრების წესის ბრალი კი არ არის, ჩემი ბრალია-მეთქი...

მერე ჩემ თვალწინ გაირბინა მთელმა მისმა ბავშვობამ და ახალგაზრდობამ. რა იმედით ვზრდიდით, როგორ გვინდოდა, რომ საზოგადოებისაგან პატივსაცემი, ღირსეული პიროვნება დამდგარიყო, მაგრამ აირია დრო, დროშების ფრიალსა და დემოკრატიის ძახილში ქვეყანა დაინგრა და ყველანი ცალ-ცალკე აღმოვჩნდით უკიდურესად უსამართლო ცხოვრების პირისპირ... ახლა, მომაკვდავი შვილის სარეცელთან მდგარმა, ერთბაშად ვიგრძენი, რომ ჩემთვის, ჩემი შვილისთვის, ჩემი ოჯახის ყველა წევრისა და ჩემ მდგომარეობაში მყოფი ყოველი ადამიანისთვის სიკვდილი შვება იყო, რადგან საზოგადოება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და მომავალი, რომელსაც ჩვენ გვიმზადებენ, ხალხს, საზოგადოებას მხოლოდ ამგვარ და კიდევ უფრო უარეს მდგომარეობას გვპირდება. დავყურებდი ჩემს შვილს, მის მიმქრალ სიცოცხლეს და ვგრძნობდი, როგორ მიქვავდებოდა გული, როგორ ვბოროტდებოდი და როგორ მეუფლებოდა დაუძლეველი სურვილი, რომ ეს კაცობრიობა და ეს პლანეტა ერთიანად მომესპო და გამექრო...

- გამორთეთ! - იყვირა ვიღაცამ ჩემში.

- გამორთეთ! - დავიღრიალე მეც მთელი ხმით, - გამორთეთ, თქვე მკვლელებო, თქვე ჯალათებო და არაკაცებო, გამორთეთ!

მერე მახსოვს, როგორ ვწვდი და გამოვგლიჯე აპარატი ელექტროქსელიდან. მახსოვს, ცხადად მახსოვს, როგორ შეირხა ჩემი ბიჭი, როგორ გაულურჯდა ცხვირი და ქვედა ყბა ჩამოუგრძელდა... მეტი აღარაფერი მახსოვს... ხვალ წელიწადი იქნება, რაც ჩემი ბიჭი აღარ არის ამქვეყნად. მე კი დავდივარ, შვილის მკვლელი, გარეწარი და ცოდვილი. დავდივარ მხოლოდ იმიტომ, რომ სიკვდილის ღირსი არა ვარ. მე მხოლოდ ტანჯვას ვიმსახურებ, ჩემი სული და სხეული ზეზეურად უნდა დაიწვას და დაიბუგოს. მე დიდხანს უნდა ვიცოცხლო, რაც შეიძლება დიდხანს, მე, ალბათ, საერთოდ არ უნდა მეღირსოს სიკვდილი, რათა ყველამ ნახოს ჩემს მაგალითზე თუ რა არის ადამიანის ხვედრი იმ საზოგადოებაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ... მაგრამ მეტის გაძლებაც არ შემიძლია. ლამის გამსრისოს ტვირთმა და ცოდვის სიმძიმემ, რომელიც მხრებზე მაწევს. იწვის სული და სხეული ჩემი. ახლა, წლისთავზე, ასე ვიფიქრე, მეყოფა-მეთქი, რაც ვიტანჯე და ვეწამე, საკმარისია-მეთქი ჯოჯოხეთი, რომელიც გამოვიარე. ამიტომ, არა შენდობის, არამედ სიკვდილის უფლების სათხოვნელად ვეახელი უფალს...

ცოდვილი მოძღვარის ფერხთით დაემხო და ნადირივით აღმუვლდა...

●

იმ დღეს საქართველოს პარლამენტში ადამიანის უფლების დაცვის საკითხებს იხილავდნენ, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი სტრასბურგში, ევროსაბჭოს გენერალურ ასამბლეაზე, სიტყვით გამოდიოდა და თავს იმით იწონებდა, რომ საქართველოში გაუქმებულია სიკვდილით დასჯა, რაც ჩვენს ქვეყანაში დასავლური დემოკრატიის საბოლოოდ გამარჯვების მაუწყებელია...

***თბილისი,***
***2005 წლის 19 აგვისტო***


სურვილი მაქვს გამოვიწერო გაზეთის:

☐ 12 ნომერი ღირებულებით 20 დოლარი

☐ 12 ნომერი ევროპაში 40 დოლარი

მამული

გამოიწერეთ

(სახელი და გვარი ბეჭდური ასოებით)

(ქუჩის დასახელება, აპარტამენტის N)

(ქალაქი ZIP-CODE და ტელეფონი)

ჩეკი ან მანი ორდერები **M. KATCHAKHIDZE** სახელზე გაფორმებული უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე: **P.O. BOX 13121, JERSEY CITY, NJ 07303**

მისამართის შეცვლის შემთხვევაში საჭიროა დაგვიკავშირდეთ რედაქციაში 1-609-517-2278 და გვაცნობოთ, რათა შევძლოთ თქვენი გაზეთის შეყოვნება ან გადამისამართება.

20



გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი

ელოდეთ გაზეთ „მამულის"
ერთდროულ სტუმარს თქვენს ოჯახებში

**ოქროს ფონდიდან**



# ზვიად გამსახურდია

# საქართველოს სულიერი მისია

## ლექცია, წაკითხული „იდრიარტის“ ფესტივალზე თბილისში. ფილარმონია, 2 მაისი, 1990 წელი

ძვირფასო მეგობრებო! ერთი ლექციის ფარგლებში ყოვლად შეუძლებელია ესოდენ რთული თემის ჩატევა და ამიტომ ამ ლექციას ექნება უფრო მიმოხილვითი ხასიათი, უფრო ზოგადად მოგახსენებთ ყოველივე იმას, რაზეც გვიფიქრია, გვიმუშავია მე და ჩემს მეგობრებს წლების მანძილზე, აგრეთვე ცალკეული გამოკვლევების შედეგებს როგორც აქ, საქართველოში, ასევე დასავლეთში.

ლექციის გეგმა ასეთი იქნება: თავდაპირველად ვისაუბრებთ **ქართველთა ეთნოგენეზისზე.** მე ვიცი, რომ დასავლელი სტუმრები განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ამით და გავაშუქებთ უფრო ისეთ მომენტებს, რომლებიც შეიძლება მათთვის არ იყოს ცნობილი და რომლებიც ნაკლებად შუქდება დასავლეთის დღევანდელ მეცნიერებაში. და, გარდა ამისა, უნდა მოგახსენოთ, რომ **საბჭოთა იდეოლოგიური დიქტატურის მრავალწლიანი ბატონობის პერიოდში მრავალი რამ ქართული კულტურის ისტორიაში იყო მიჩქმალული, დამახინჯებული და ტაბუირებული.** ერთგვარი მეცნიერული ტაბუ იყო ამ საკითხებზე დადებული, რაც, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება, ვინაიდან არც ისე ადვილია ამ ავადსახსენებელი ეპოქის ჰიპნოზის შედეგების მოცილება თავიდან. **მრავალი საკითხი გაყალბებულია და საბჭოთა იმპერიული მეცნიერების მიერ უზურპირებული, თავისი ინტერესებისადმი დაქვემდებარებული. ყოველივე ამის გავლენის ქვეშ, სამწუხაროდ, მოქცეულნი არიან ქართველი მეცნიერებიც.** მე არ მინდა მათი კონკრეტულად დასახელება, ისინი ჯერ ვერ ბედავენ, კვლევა განავითარონ იმ მიმართულებით, რაც ნათელს მოჰფენდა ამ საკითხებს. ამას ყველაფერს ძალიან დიდი და შორს მიმავალი მიზნები ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით დიდი კამპანია იყო გაჩაღებული ქართველი მეცნიერების **ივანე ჯავახიშვილისა** და **ნიკო მარრის** წინააღმდეგ. აგრეთვე მიჩქმალულია დასავლეთის ისეთი დიდი მეცნიერების გამოკვლევები იბერთა ეთნოგენეზისის სფეროში, როგორიც არის **ვილჰელმ ჰუმბოლდტი** და სხვანი. ეს იმის გამო ხდებოდა, მეგობრებო, რომ **სურდათ, ქართველი ერისთვის შთაენერგათ არასრულფასოვნების კომპლექსი.** საბჭოთა მეცნიერებამ, კერძოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა, შექმნეს თეორია იმის შესახებ (არსებობს სტალინის თეორია ამასთან დაკავშირებით), რომ **თურმე ქართველი ერი, როგორც ასეთი, შეიქმნა და ჩამოყალიბდა ერად მეცხრამეტე საუკუნეში, რომ მანამდე იგი თურმე არც ერი ყოფილა და არც არსებობდა.** მეცხრამეტე საუკუნეში შემოვიდა ჩვენში კაპიტალიზმი და ვითომდაც ამან განაპირობა ქართველი ერის ერად ქცევა. ეს არის მარქსისტული თეორია, რომელიც დღემდე ბატონობს და რომელიც ზოგიერთ ჩვენს მეცნიერს დღემდე ვერ მოუცილებია თავიდან და კვლავ ამ მიმართულებით აგრძელებს მუშაობას. ეს ყველაფერი ისახავდა შორს მიმავალ მიზნებს.

სინამდვილეში როგორია ვითარება ქართველთა ეთნოგენეზისთან დაკავშირებით? მეოცე საუკუნეში ჩვენი მეცნიერების დიდი კორიფეების, აკადემიკოს **ივანე ჯავახიშვილისა** და **ნიკო მარრის** მიერ გამოკვლეულ იქნა გენეტიური ძირები ქართული მოდგმისა, ქართველი ერისა და გამოტანილ იქნა შესაბამისი დასკვნები, რასაც სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ორთოდოქსული საბჭოთა მეცნიერება. ამავე დროს, როგორც მოგახსენეთ, მიჩქმალული იყო დიდი გერმანელი მეცნიერის ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევები. **რაში მდგომარეობს ამ გამოკვლევათა არსი და რად იყო ეს ყოველივე მიჩქმალული, ტაბუირებული დღემდე და რად არ ვითარდება თანამედროვე ეთნოლოგიური, ენათმეცნიერული კვლევა ამ მიმართულებით?**

საქმე ის გახლავთ, რომ ვილჰელმ ჰუმბოლდტი მისმა გამოკვლევებმა ბასკური ენის სფეროში და პირინეის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობის ვინაობის კვლევის სფეროში მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სამხრეთ ევროპის: **პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქთონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა.** მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი - ხმელთაშუა ზღვის რასსა, მედიტერანული რასსა, ანუ მედიტერანული მოდგმა. იმ მოდგმის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა კავკასიური რასსა, არის აგრეთვე ტერმინები: პალეოკავკასიური რასსა, ანუ უძველესი კავკასიური რასსა, უძველესი მედიტერანული რასსა, რაც ურთიერთის იდენტურია. საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელიც სახლობდა პირინეების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ეგეოსის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, აგრეთვე მცირე აზიაში და პალესტინაში. ეს არის გავრცელების არეალი იმ პროტოიბერიული მოდგმისა, რომელსაც ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევების მიხედვით ჰქონდა მრავალი განშტოება. ენა ამ მოდგმისა, ამ რასსისა იყო ერთი ძირითადი, რომელსაც ჰქონდა მრავალი დიალექტური განშტოება და თუ ეს ენაკავები ღებულობდნენ ცალკე ენების ხასიათს, ისინი იყვნენ მონათესავენი და ვითარდებოდნენ როგორც ურთიერთმონათესავე ენები. ამიტომ დამკვიდრდა ტერმინი პროტოიბერიული, რომელთანაც არის დაკავშირებული უძველესი მოსახლეობა, როგორც მოგახსენეთ, პირინეებისა, იტალიისა, კერძოდ, ბასკური, ლუზიტანური, ტურდეტანული, ეტრუსკული, პელაზგური და სხვა, რასაც ნიკო მარრის შტუდიებით დაემატა მცირე აზიაში, მესოპოტამიაში უძველესი იბერული ტომების - სუმერების ენის გამოკვლევა და, აგრეთვე, დიდი ქართველი მეცნიერების **მიხეილ წერეთლის** გამოკვლეული გენეტიური ნათესაობა სუმერულსა და თანამედროვე ქართულს შორის.

ნიკო მარრის და, სხვათა შორის, **სომეხი მეცნიერების ობიექტური წარმომადგენლების** გამოკვლევითაც (მაგალითად, **ღაფანციანის** გამოკვლევით) **მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიეკუთვნებოდა ამ მოდგმას და მესხები, ანუ მოსხები, კაპადოკიელები, კოლხები, ტაოხები და სხვანი არიან ამ მოდგმის წარმომადგენლები.** როგორც ხედავთ, ეს არის სხვადასხვა განშტოებები ერთი და იმავე მოდგმისა, რომელსაც მეცნიერებაში ქართველური ან პროტოიბერიული მოდგმა ეწოდება, ხოლო საკუთრივ საქართველო, საკუთრივ ქართველი ერი, ლოკალიზებული კავკასიის მასშტაბით, დაკავშირებულია იბერიულ-კავკასიურ განშტოებასთან. **იბერიულს** აქვს მრავალი განშტოება და დღესდღეობით შემორჩენილია **პირინეულ-იბერიული,** ანუ **ბასკური** და **კავკასიურ-იბერიული,** ანუ **ქართული** და მისი მონათესავე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში. დანარჩენი კი ამჟამად უკვე ასიმილირებულია ინდოევროპული კაცობრიობის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, არის გვიან მოსული ევროპის კონტინენტზე. კერძოდ მეორე ათასწლეულის შემდეგ, ხოლო პროტოიბერიული კაცობრიობის, ანუ პალეომედიტერანული, პალეოკავკასიური კაცობრიობის მოღვაწეობის, მისი ზეობის ხანად მიჩნეულია ეპოქა უძველესი დროიდან მესამე ათასწლეულამდე. **მესამე ათასწლეულში იწყება დაკნინება ამ რასსისა, მისი რიცხობრივი შემცირება, მისი ასიმილირება მოსული ინდოევროპელების მიერ. ამ დროიდან და უფრო გვიან წამოიწევს წინ ხეთური და ძველბერძნული, ელინური სამყაროები.** მაგრამ აქ ხდება კულტურათა სინთეზირება: პალეომედიტერანულ, ანუ პროტოიბერიულ მოდგმასთან დაკავშირებულია პირველადი **კულტურები მინოსისა, ეგეოსური კულტურები, კოლხური (ძველკოლხური),** რომელიც უაღრესად მჭიდროდ არის **მინოსურთან** დაკავშირებული. ხოლო შემდგომ, უკვე მეორე ათასწლეულიდან იწყება წამოწევა ხეთური სამყაროსი, რომელიც უკვე ინდოევროპული სამყაროა, აგრეთვე ძველბერძნული სამყაროსი, რომელიც ვედური ბერძნებიდან, ვედური ტომიდან მომდინარეობს და მოსულია იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც შემდგომ აღმოცენდა ძველბერძნული კულტურა და ძველბერძნული სამყარო, ხოლო **პირველადი მოსახლეობა ძველი საბერძნეთისა, ძველბერძენი ისტორიკოსების მონაცემებზე დაყრდნობით, განსაზღვრულია როგორც პელაზგური, ანუ პროტოიბერული.** პელაზგები არიან ერთ-ერთი განშტოება პროტოიბერებისა, ისევე როგორც ეტრუსკები და სხვა ხალხები, ისევე როგორც კოლხები. კოლხური, პელაზგური, ტროული, მინოსური სამყაროები მონათესავე სამყაროებია, უფრო სწორად, ერთ სამყაროს წარმოადგენენ და ეს ყოველივე აირეკლა ჰომეროსის დიად ეპოსში და ამის შესახებ უკვე ძალზე სერიოზული გამოკვლევებია თანამედროვე მეცნიერებაში, რომელთაც რატომღაც სათანადო პოპულარიზებას არ უწევენ. დასავლეთში ამ მიმართულებით მოღვაწეობს ცნობილი მეცნიერი **ფურნეე,** რომელსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევა წინა ბერძნულის, ანუ პელაზგურის და ქართველურის შესახებ. საქართველოში ნაყოფიერად მოღვაწეობს ამ მიმართულებით პროფესორი **რისმაგ გორდეზიანი**, რომელსაც აქვს აგრეთვე მნიშვნელოვანი მიგნებები „ილიადაში“ მოხსენიებულ ტომთა ეთნოგენეზისის გამოკვლევისას, თუ როგორი იყო როლი ქართველური, პროტოქართული ტომებისა ტროას ომში, „ილიადაში“, და **გამოვლენილია გენეტიური ნათესაობა ქართული ენისა ეტრუსკულთან, ქართველური ტომებისა ლიკიელებთან, კარიელებთან და მცირე აზიისა და ეგეოსის მთელ სამყაროსთან და, უპირველეს ყოვლისა - ტროასთან.** ტროა უფრო ძველი კულტურული სამყაროა, ვიდრე ელინური სამყარო, ვინაიდან ელინები ლაშქრობენ ტროაში საკრალური, მისტერიალური სიბრძნის, ანუ პალადიუმის მოპოვებისათვის. **ტროა არის იგივე კოლხური სამყარო,** ვინაიდან ტროელებთან აქაველების დავის დროს ტროელები ხსნიან ელენეს მოტაცებას, როგორც ერთგვარ შურისძიებას ადრე მათ მიერ **მედეას** მოტაცებისათვის. ტროელები უხსნიან აქაველებს, რომ ისევე როგორც ადრე მათ მოსტაცეს ქალი, ე. ი. **მედეა,** ამჟამად მათ მოიტაცეს ელენე, რომელიც ამდენად **კოლხების მიერ არის მოტაცებული. ტროელები და კოლხები ერთი და იმავე მოდგმის ხალხია** და მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი, მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკუთვნის ამ მოდგმას. აი, ასეთი შორს მიმავალი დასკვნები აქვს თანამედროვე მეცნიერებას, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ხდება ყოველივე ამის ტაბუირება და ხდება ინდოევროპელების როლის წინ წამოწევა იმ არქაულ, პრეისტორიულ ეპოქაში, არადა ჩვენ ვიცით, რომ ინდოევროპული მოდგმა ძირითადად აღზევდა მეორე ათასწლეულიდან. და ტროას ომი, „ილიადა“ ფაქტიურად არის პერიოდი, როდესაც ინდოევროპული მოდგმა უკვე მძლავრობს მცირე აზიაშიც და საბერძნეთშიც და პელაზგურ მოდგმას უკვე დეკადანსი ემუქრება, **თუმც ტროას ომის უდიდესი გმირი - აქილევსი წარმოშობით პელაზგია, ე. ი. ქართველური მოდგმის წარმომადგენელია,** ხოლო აგამემნონი და მენელაოსი არიან წმინდა ელინური წარმოშობის ადამიანები და ელინური სამყაროს წარმომადგენლები. აქ არის აშკარა კონფლიქტი ელინურ სამყაროსა და პროტოქართულ სამყაროს შორის. **ტროა - ეს არის პროტოქართული სამყარო,** ელინური სამყარო კი აქაველებია. ამ კონფლიქტში იკვეთება ერთი რამ, რომ ამ ლაშქრობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი არის პალადიუმის მოტაცება, რომელიც სიმბოლურად ტროასეული ცხენის მეშვეობით ხორციელდება. მართალია, სიმბოლურად აქ არის ქალის მოტაცების მოტივი, მაგრამ ელენე, ანუ სელენე არის სიმბოლო ძველი წარმართული სოფიისა (სიბრძნის, სოფიას მოტაცება და შემდეგ მისი კვლავ გამოხსნა გავრცელებული მოტივია ანტიურ პოემებში), ხოლო ცხენი, როგორც მოგეხსენებათ, ინტელექტის სიმბოლოა ძველ ეპიურ პოეზიასა და მითოსში. აქაველთა, ელინთა მისსია - ინტელექტის განვითარება - არის უკვე ახალი ეტაპი ცნობიერებისა, ხოლო ძველკოლხური, ტროიანული, პელაზგური კულტურა - ეს არის ნათელმხილველური კულტურა, რომელიც უსწრებს წინ ინტელექტისმიერ, აზროვნებით კულტურას. ძველბერძნული მითოსი კი სინამდვილეში არის არა ძველბერძნული, არამედ პელაზგური მითოსი. ამას აღნიშნავდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი **შელინგი** და პელაზგურ ეპოქას საბერძნეთის განვითარებაში იგი განმარტავდა როგორც საბიზმს, ე. ი. ნათელხილვითი სიბრძნის ეპოქას. შემდგომდროინდელი ბერძნული მითოლოგიიდან ჩვენ ვიცით, რომ პერსევსმა და სხვა გმირებმა ნათელმხილველური, პელაზგური კულტურა გადაიყვანეს აზროვნებით კულტურაზე, კერძოდ, ინტელექტისმიერ ელინურ კულტურაზე.

ყოველივე ამასთან არის დაკავშირებული აგრეთვე პრომეთეს მითი. **ვინ არის პრომეთე?** საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ მითოსი და მითოლოგია არ არის იდენტური ცნებები. მითოსი არის მითების სამყარო, ხოლო მითოლოგია არის ამ მითების სამყაროს განმარტება, მნიშვნელობა, ანუ ლოგოსი, მითოსის ლოგოსი. ასე რომ, ძველბერძნული მითების სინამდვილე შექმნილია პელაზგების მიერ, ხოლო ელინების მიერ

*გაგრძელება მე-20 გვერდზე*

### შეკითხვა: - რა განსხვავებაა ქართულსა და ქართველურს შორის?

— როგორც თავიდან მოგახსენეთ, ჩვენ უნდა განვასხვავოთ ეს ორი ცნება, მართალია, არსობრივად არა, მაგრამ არის ნიუანსური განსხვავება ქართულსა და ქართველურს შორის. ქართული და ქართველური მაინც უნდა განვასხვავოთ იმიტომ, რომ ქართული აღნიშნავს უშუალოდ საქართველოს, ყოველივეს ისტორიულ საქართველოსთან, ქართულ ენასთან დაკავშირებულს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ჩვენი ისტორიიდან და რომელიც სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს. ქართველური გაცილებით უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა. ქართველურნი არიან ტომები, რომლებიც „ქართები“ არ არიან და არც, უშუალოდ ქართველები, მაგრამ ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან. ეს შეიძლება შევადაროთ სემიტებისა და ებრაელების ურთიერთკავშირს. ქართველური არის რასსიული გაგება, უფრო ყოვლისმომცველი, ვიდრე ეროვნული. არის ქართველი ეროვნება და არის ქართველური მოდგმა, ქართველური რასსა, იგივე იაფეტური. აი, სწორედ ის პალეოკავკასიური მოდგმა, იაფეტური მოდგმა, შეიძლება ითქვას, არის უფრო რასსა. როგორც არსებობს სემიტური რასსა, ასევე არსებობს იაფეტური რასსაც. ეს იაფეტური რასსა არის ქართველური რასსა. ქართველური ენები მომდინარეობენ სწორედ ამ პირველადი იაფეტური ენიდან, რომელსაც ჩვენ პროტოქართულ ენას ვუწოდებთ. ქართველური ენების გამოყოფა ამ იაფეტური ენიდან მიჩნეულია დაახლოებით მესამე ათასწლეულიდან, როგორც ამას ვხვდებით გამყრელიძე-ივანოვის წიგნში, აგრეთვე ნიკო მარრის შრომებშიც. ამ წიგნზე, სხვათა შორის, მე ცალკე მექნება ალბათ მოხსენება. აქ არ მინდა ამაზე დეტალურად ვისაუბრო, მაგრამ აშკარად არის ის ტენდენცია ტაბუირებისა, მიჩქმალულია ის როლი პროტოქართული სამყაროსი, რომელიც მას ისტორიულად გააჩნდა და რომელზეც არის საუბარი მთელ რიგ მეცნიერთა შრომებში. აქ მიჩქმალულია ეს ყოველივე და ინდო-ევროპული წინა პლანზეა წამოწეული. მაგრამ ამ წიგნის დადებითი მხარე ის არის, რომ იქ ის პერიოდი, როდესაც ქართველური ენის, პროტოქართული ფუძე-ენის დანაწევრება მოხდა ცალკე ენებად და დიალექტებად, განსაზღვრულია როგორც მესამე ათასწლეული და ჩვენი თეორიით ეს უკავშირდება იოანე-ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“-ს, სადაც ნათქვამია, რომ ქართული მოდგმა, ქართული ენა — იქ ენა გულისხმობს მოდგმასაც — არის ოთხისა დღისა მკვდარი და „წელი ათასი ვითარცა ერთი დღეო“. ოთხი დღის ანუ ოთხი ათასი წლის წინ, ე. ი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში დაიწყო სიკვდილი ამ ენისა, სიკვდილს ამბობს იოანე-ზოსიმე იმიტომ, რომ ის ძველი გავრცელების არეალი, ის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა მას. შემდეგ ამას მოჰყვა ლაზარესებრი აღდგინება, აღდგომა ამ მოდგმისა და ენისა. ეს არის მოცემული იოანე-ზოსიმესთან. იოანე-ზოსიმეს ნაწარმოებში სიმბოლურად არის ლაზარესთან შედარებული ეს მოდგმა. შეიძლება ითქვას, აქ მარტო საქართველო კი არ იგულისხმება, არამედ მთელი ქართველური მოდგმა და ამას უკავშირდება ის პროტოქართული, პროტოიბერიული სამყაროც, რომელიც გადაჭიმული იყო პირინეების ნახევარკუნძულიდან ინდოეთამდე და როგორც ნიკო მარრი ჰ. ჯონსტონთან ერთად ვარაუდობდა, არსებობდა პირველადი ბასკურ-კავკასიურ-დრავიდული ენა, ქამიტურ ძირეულ ენაზე უფრო ძველი, რომელიც იყო საფუძველი ყველა ენებისა, და ეს იყო გლოტოგონიური, ენათა წარმომქმნელი ფენომენი, ეს იყო პირველადი ენა ქურუმებისა, საერთოდ ყველა ენათა საწყისი. ასეთი არის ნიკო მარრის თეორია. ამიტომ შერისხა სტალინმა ნიკო მარრი, ამიტომ გამოუცხადეს მას ანათემა, ვინაიდან ის ობიექტურად აშუქებდა პრეისტორიულ ხანას და ქართული ენის წარმოშობას. ნიკო მარრთან ჩვენც, ეროვნულ მოძრაობასაც აქვს სადაო. მართალია, მას ჰქონდა ანტიქართული გამოხდომები პოლიტიკურ, კონიუნქტურულ მოსაზრებებთან დაკავშირებული, მაგრამ პრეისტორიულ ხანას ქართული ენისა და ქართული მოდგმის განვითარებისას ნიკო მარრი აშუქებდა ძალზე ობიექტურად და ღრმად. და სწორედ ამიტომ მოუწყეს მას ანათემა საბჭოთა მეცნიერებაში სტალინის მეთაურობით.

დასაწყისი მე-19 გვერდზე

# ზვიად გამსახურდია

# საქართველოს

იგი არის სისტემატიზებული და ინტერპრეტირებული. **ჰომეროსი და ჰესიოდე არ არიან შემოქმედნი ძველბერძნული მითებისა, ისინი არიან პელაზგური ეპოქის მითოსის სისტემატიზატორები, განმმარტებელნი**. ისინი არიან მითოლოგოსები, ხოლო პელაზგური ეპოქის მითოსის შემოქმედთა, მითოგრაფოსთა სახელებმა ჩვენამდე არ მოაღწია, მაგრამ მოაღწია ღვთაებებმა, მითოსის პერსონაჟებმა. ძირითადი ღვთაებები ძველბერძნული პანთეონისა წარმოშობით პელაზგური არიან. მათ შორისაა ზევსი. არსებობს პელაზგური ქტონური ზევსი, რომლის კულტიც მუხასთან არის დაკავშირებული; ჰერა ანუ ჰერა, რომელიც არის უძველესი **პელაზგურ-იბერიული** ქალღმერთი; აგრეთვე დემეტრე, რომლის ფუძის განმარტებისას აკადემიკოსი **ივანე ჯავახიშვილი** მიანიშნებდა იმაზე, რომ „დე" ფუძე სავსებით უცხოა ძველბერძნული ენისათვის. „**მეტერ**" მართალია დედას ნიშნავს, მაგრამ **„დე"** არის **სუფთა იბერიული** წარმოშობის ფუძე, **„დე"**, ანუ **„დედა"**, დედა-ქალღმერთის აღმნიშვნელი. ამრიგად, დემეტრე არის ის სახე, რომელშიც უძველესი კოლხური, პელაზგური დედა-ქალღმერთი შეერწყა ძველბერძნულ ქალღმერთს. ასე არის ძველბერძნული პანთეონი, თუ შეიძლება ითქვას, დამყნილი პროტოქართულ, პროტოიბერიულ, ანუ პელაზგურ პანთეონზე.

ახლა რაც შეეხება პრომეთეს. პრომეთეს მითი უმნიშვნელოვანესია კაცობრიობის ევოლუციის თვალსაზრისით და, ამავე დროს, ქართველთა ეთნოგენეზისის თვალსაზრისით, ვინაიდან **პრომეთეს მითი, როგორც მოგეხსენებათ, დაკავშირებულია კავკასიასთან და შემთხვევითი არ არის, რომ კავკასიასთან დაკავშირებულია ბერძნული მითოსის უმთავრესი მიმდინარეობები.** გაიხსენეთ არგონავტების ლაშქრობა, გაიხსენეთ პრომეთეს მიჯაჭვა კავკასიის ქედზე, რაც უმთავრესი მომენტებია ბერძნულ მითოლოგიაში. მითოსის პერსონაჟთა მისსია, მათი სულიერი რაობა ყოველთვის მათი სახელების მიხედვით განიმარტებოდა. სახელები მითოსის პერსონაჟებისა (როგორც მოგეხსენებათ, მითები იქმნებოდა ძველ მისტერიებში ქურუმების, ხელდასხმულების, ადეპტების მიერ) ღმერთების, ნახევარღმერთების, ტიტანების, გმირების სახელები იქმნებოდა მათი არსობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე. კერძოდ, „პრო-მეთეი" ძველბერძნულად ნიშნავს წინასწარმეტყველურ აზროვნებას, წინასწარგანჭვრეტას, ეპიმეთე - მისი ძმა - ნიშნავს თანდართულ, განსჯისმიერ აზროვნებას.

**რა არის პრომეთე?** პრომეთე არის იმ კაცობრიობის წარმომადგენელი, რომელმაც უნდა განავითაროს წინასწარმეტყველური, ანუ ინტუიტური აზროვნება, ხოლო ეპიმეთე, რომელმაც უნდა განავითაროს განსჯითი, ანუ ინტელექტუალური აზროვნება. ვისი ძეა პრომეთე? იგი არის ძე იაპეტოსისა. იაპეტოსის სახელი ზენონ ელეელის მიერ განიმარტება როგორც ზენა სამყარო, სულიერი სამყარო. იაპეტი, ე. ი. ის, რაც მისტიფოსის ზევით, სულიერი სამყაროსაკენ. ე. ი. პრომეთე არის ზენა სამყაროს, სულიერი სამყაროს ძე, ანუ წინასწარმეტყველური აზროვნება. როგორც **პლუტარქე** აღნიშნავს, ძველბერძნული და საერთოდ მითები შეიძლება, განმარტოთ თორმეტ სხვადასხვა დონეზე. ე. ი. თითოეულ მითს შეიძლება, ჰქონდეს 12 სხვადასხვა ახსნა. ერთ-ერთი მთავარი ახსნა პრომეთეს მითისა კაცობრიობის ევოლუციაში, აზროვნების ევოლუციაში არის ის ეტაპი, როდესაც აზროვნება მიეჯაჭვება ადამიანის ფიზიკურ სხეულს ადამიანის სულის ფიზიკურ სხეულში ჩამოსვლასთან ერთად და არის დატყვევებული ამ ფიზიკურ სხეულში. ხოლო განთავისუფლება პრომეთესი, რომელიც მიჯაჭვულია კავკასიის ქედზე, არის განთავისუფლება ამ აზროვნებისა სხეულებრივი საწყისისაგან. **განთავისუფლებული პრომეთე არის განთავისუფლებული წინასწარმეტყველური აზროვნება, ხოლო მიჯაჭვული პრომეთე ადამიანის ფიზიკურ სხეულზე მიჯაჭვული აზროვნებაა.** ეს არის ეტაპი კაცობრიობის ევოლუციაში, რომელიც ცნობილია ადამიანური არსების, სულის ჩაძირვად ფიზიკურ სხეულში, ხოლო შემდეგ ხდება მატერიისაგან სულის განთავისუფლება. ეს არის ერთი ასპექტი პრომეთეს მითისა, მისი სპირიტუალური, ფილოსოფიური ასპექტი. მეორე ასპექტი არის ეთნოლოგიური ასპექტი.



ვეშაპის მლახვრავი წმ. გიორგი. ტიხრული მინანქარი. XV (?) საუკუნე

## ოქროს ფონდიდან

კერძოდ, პრომეთე არის სიმბოლო იმ მოდგმისა, იმ ხალხისა, რომელმაც უნდა განავითაროს მისტერიათა კულტურა, რომელიც არის შემქმნელი მისტერიათა კულტურისა და ყოველივე იმისა, რაც მოდის ამ მისტერიათა კულტურიდან. სახელდობრ, სულიერი განვითარებისა, ინიციაციისა და სულიერი აზროვნებისა. ასეთია ეს მოდგმა. ხოლო ზევსი, ამ თვალსაზრისით, განასახიერებს იმ მოდგმას, რომელიც უფრო გვიან არის მოსული საბერძნეთში და რომელიც ძალადობით ამკვიდრებს თავის კულტს და მიაჯაჭვავს პრომეთეს კავკასიის კლდეზე. **რა იყო მიზეზი პრომეთეს მიჯაჭვისა კავკასიის ქედზე?** მიზეზი იყო ის, რომ კორინთოში ურთიერთს შეხვდნენ ორი კულტურის, ორი რასსის წარმომადგენლები - ერთნი პრომეთესთან, ხოლო მეორენი ზევსთან დაკავშირებულნი. ე. ი. აქ სიმბოლურად აირეკლა შეხვერა ორ კულტურას შორის, ორ რასსას შორის; ერთი იყო მკვდარი, პირველადი მოსახლეობა იმჟამინდელი საბერძნეთისა, ხოლო მეორე - მოსული, ანუ ინდოევროპული, ელინური. პრომეთე და მისი მიმდევარი ქურუმები ამ შეხვედრის დროს მოატყუებენ ზევსს და მის ქურუმებს სამსხვერპლო ხარის დანაწილებისას. მოატყუებენ იმ გაგებით, რომ მათი ინტელექტი, მათი აზროვნება იყო უფრო წინ წასული, ამიტომ მათ შესძლეს ზევსის ქურუმთა მოტყუება. ეს მოტყუება სიმბოლოა იმისა, რომ მათი ინტელექტი უფრო განვითარებულია, რომ ის კულტურა, რომელიც მოსულ ინდოევროპელებს დახვდათ - პელაზგური კულტურა - უფრო მაღლა იდგა მათზე. უფრო მაღლა იდგა შესაბამისად აზროვნებით კულტურაც. შემდეგ კი ინდოევროპელებმა ელინური აზროვნებითი კულტურა უმაღლეს საფეხურამდე განავითარეს, მაგრამ ჯერ ის პერიოდია, როდესაც პირველად შეხვდა ეს ორი რასსა, ორი მოდგმა ერთმანეთს და პრომეთეს ქურუმები დაანაწილებენ ხარს იმგვარად, რომ ზევსის ქურუმებს და ზევსს შეხვდებათ ძვლები და ქონი, ხოლო მათ ხარის საუკეთესო ნაწილები. ესეც სიმბოლურია. სიმბოლურია, ვინაიდან აქ მსხვერპლის ორგვარ გაგებასთან გვაქვს საქმე და ამ დროს ზევსის ქურუმები ისე წარმოსახავენ საქმეს, თითქოს მათ შეგნებულად მოიტყუეს თავი. შემდეგ ზევსი მიმართავს პრომეთეს:

- იაპეტოსის ძეო, უკეთილშობილესო ყველა მეუფეთა შორის, ყველაზე დიდო მცნობო მომავლისა, მეგობარო, რად დაანაწილე ხარი ამგვარად?

ზევსი გვიან ხვდება იმას, რაც პრომეთემ ქმნა. აქედან გამომდინარე, განსაზღვრულია პრომეთეს რაობა და შემდგომ ამისა ზევსი აღარ აძლევს ცეცხლს კაცობრიობას და პრომეთეს მიაჯაჭვავს კავკასიის ქედზე, ვინაიდან მან კაცობრიობას მისცა ის ცეცხლი. ცეცხლი ამ შემთხვევაში არის სიმბოლო ადამიანის **„მე"**-სი. თქვენ იცით, რომ ოთხ ელემენტს შორის - ცეცხლი, წყალი, მიწა, ჰაერი - ადამიანის **„მე"**-ს, თვითებას, მეობას შეესაბამება ცეცხლი. **ის, რომ ზევსი აღარ აძლევს მეობას კაცობრიობას, რომ კაცობრიობა მოკლებულია „მე"-ს, ხოლო პრომეთე აძლევს ცეცხლს კაცობრიობას, ე. ი. მეობას, ასახავს მისტერიალური კულტურის განვითარების გარკვეულ საფეხურს, როდესაც ადამიანებმა მიიღეს „მე" ფიზიკურ სხეულში ჩამოსვლით და პრომეთეს მიჯაჭვა არის სწორედ ეს ეტაპი** (სხვათა შორის, ამას ნიშნავს აგრეთვე ტიტანების დამარხვაც ტარტაროსში ღმერთებისა და ტიტანების ბრძოლის შემდეგ), **როდესაც ადამიანის სული და მისი „მე" ჩამოდის სულიერი სამყაროდან ფიზიკურ სხეულში და ადამიანს ებადება „მე" - ცნობიერება.** აი, ეს არის პრომეთეს მიერ კაცობრიობისათვის ცეცხლის მიცემა, ვინაიდან **„მე"**-სგან მოდის ყოველგვარი კულტურა, ისევე როგორც ცივილიზაცია მოდის ცეცხლის გამოყენების სწავლისაგან და ამგვარი სიმბოლოებით ჩვენ ვხვდებით, რომ პრომეთე ასახავს მისტერიათა კულტურას, რომელიც იყო პირველადი ძველ საბერძნეთში და შემდეგ ლოკალიზებული კავკასიაში, რაც სიმბოლურად ასახულია პრომეთეს მიჯაჭვით კავკასიის ქედზე.

პრომეთეს აწამებს ზევსის არწივი. არწივი, ერთი მხრივ, სიმბოლოა სულიერი აღმაფრენისა და შემეცნებისა, ხოლო, მეორე მხრივ, ეს არის სიმბოლო იმპერიული ძლიერებისა და ძალმომრეობისა, რომელიც აწამებს პრომეთეს. კლდეზე მიჯაჭვული პრომეთე, ანუ ფიზიკურზე მიჯაჭვული აზროვნება გაათავისუფლა ჰერაკლემ.

**რა არის ჰერაკლე?** ეს არის ინიციაციის ახალი კულტურა, ნებელობითი ინიციაცია, ჰეროიკული ინიციაცია, რომელიც არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა. საერთოდ, ძველბერძნული მისტერიები თავისი ხასიათით პროფეტული იყო. ძველი საბერძნეთის ცენტრალური მისტერიები „ელოიზისის" მისტერიები იყო. სიტყვა „ელოიზის" ძველბერძნული სიტყვაა, ნიშნავს მოწევნადს, მოვლინებადს, წინასწარ განჭვრეტას მომავლისას. ჰერაკლეს სახე არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა, რომელიც დაკავშირებულია ნებელობასთან, სულის აქტივობასთან და კერძოდ იმასთან, რასაც ქრისტიანობაში სასუფევლის ძალისხმევით აღება ჰქვია, ვინაიდან ქრისტიანული ინიციაციის არსი იესო ქრისტემ განმარტა როგორც სასუფევლის აღება ძალისხმევით („სასუფეველი იიძულების"). ამრიგად, ჰერაკლეს გმირობანი სიმბოლურად უნდა გავიგოთ როგორც ინიციაციის სხვადასხვა საფეხურები, სულიერი განვითარების სხვადასხვა დონეები, რომლის კულმინაციაც არის პრომეთეს განთავისუფლება, ანუ აზრის განთავისუფლება ფიზიკური სხეულის ტყვეობისაგან და კაცობრიობის გამოხსნა.

ეთნოლოგიური თვალსაზრისით, როგორც მოგახსენეთ, მითებს აქვს ასეთი განმარტებაც და მითოლოგია და ეთნოლოგია უაღრესად მჭიდრო კავშირშია. **ეს არის განთავისუფლება იმ მოდგმისა, რომელიც ზევსის, ანუ ინდოევროპული მოდგმის მიერ იქნა მიჯაჭვული, ანუ ლოკალიზებული კავკასიაზე. ე. ი. პრომეთეს მითში აირეკლა აგრეთვე პროტოქართული მოდგმის, პროტოიბერიული მოდგმის წარსული და მომავალიც.** ჰერაკლე, როგორც მოგახსენეთ, არის სიმბოლური გამოხატულება ახალი ინციაციური კულტურისა, კერძოდ, ქრისტიანული კულტურისა და, სხვათა შორის, ეს არა მხოლოდ თანამედროვე სულიერ მეცნიერებაში არის ასე, არამედ შუასაუკუნოებრივ ღვთისმეტყველებაშიც. ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაშიც კი ვხვდებით ჩვენ ისეთ ძეგლებს, სადაც მინიშნებულია, რომ ჰერაკლე არის წინასახე ქრისტესი. კერძოდ, მის მიერ კვერთხით კლდიდან წყლის აღმოცენება ითვლება ქრისტიანობის წინასახედ. აგრეთვე არგონავტების ლაშქრობა არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა და შემთხვევითი არ არის, რომ ოქროს საწმისს სულიერ მეცნიერებაში ეწოდება კლასიკური გრაალი. **ოქროს საწმისი კლასიკურ პერიოდში, ანტიურ პერიოდში არის იგივე, რაც შუა საუკუნეებში გრაალი და ფილოსოფიური ქვა.** ფილოსოფიური ქვა და გრაალი არის აგრეთვე იდენტური ცნებები. ფილოსოფიური ქვის ძიება არის არა მარტო ფიზიკური ოქროს ძიება, არამედ სულიერი ინიციაციის ძიება, ღვთის ძიება, სულიერი ცნობიერების განვითარების გარკვეული დონის ძიება, რომელიც ანტიურ მისტერიებში, ძველბერძნულ მისტერიებში გადმოცემული იყო როგორც ოქროს საწმისის ძიება. ხოლო ოქროს საწმისი, როგორც მოგეხსენებათ, იყო კოლხეთში. თავდაპირველად ოქროს ვერძი საბერძნეთიდან არის წასული კოლხეთში, მაგრამ ეს იმ პერიოდის საბერძნეთია, როდესაც იქ ყვავის პელაზგური კულტურა, კერძოდ, პელაზგური არგოსის კულტურა. შემთხვევითი არ არის, რომ ხომალდსაც **„არგო"** ჰქვია და **„არგო" თავისი ძირით კოლხეთიდან მომდინარეობს - არგო, არგნეთი,**



სერგო ქობულაძე. ვეფხისტყაოსანი რაინდი. 1935–37

## შეკითხვა: - რა როლი აქვთ ქართველური მოდგმის ხალხებს ქრისტიანობის განვითარებაში?

— ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური მოდგმის ხალხები ძირითად როლს თამაშობენ. სემიტური მოდგმის ხალხებმა შეასრულეს ძირითადი როლი ქრისტიანობის შემზადებაში, ძველი აღთქმის ეპოქის პერიოდში, ხოლო საკუთრივ ქრისტიანობაში, ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური და ინდოევროპული მოდგმის ხალხები ასრულებენ ძირითად როლს. ინდოევროპული მოდგმის ხალხებს უკავშირდება ძველი ბერძნები, როგორც მოგეხსენებათ. „ქებაჲ და დიდებაჲ" გვეუბნება, რომ ორნი დანი, მარიამ და მართა შეიძლება შევადაროთ ნინოს და დედოფალ ელენეს. ნინო არის ქართველური მოდგმის სიმბოლო, ქართული ქრისტიანობის სიმბოლო, ხოლო ელენე არის ბერძნული ქრისტიანობის სიმბოლო. და როგორც მარიამი უკავშირდება ნინოს, ასევე უკავშირდება მართა ელენეს. მარიამი, მოგეხსენებათ, არის მისტიური ჭვრეტის, მისტიური საიდუმლო ღვთისმეტყველების სიმბოლო, ეზოტერული ქრისტიანობის სიმბოლო, ხოლო მართა ინტელექტუალური, რაციონალური გზის სიმბოლო, დოგმატიური ქრისტიანობის სიმბოლო, რომელიც უფრო საბერძნეთში განვითარდა. ე. ი. ქართველური მოდგმის წარმომადგენლები ქრისტიანობაში უფრო მისტიკისა და საიდუმლო ღვთისმეტყველების გზას ავითარებენ. აი, მაგალითად, დიონისე არეოპაგელი, ანუ პეტრე იბერი, ნიკოლოზ საკვირველმოქმედი, თავად წმინდა გიორგი — ესენი ქართველური მოდგმის წარმომადგენლები არიან. ამრიგად უკავშირდება ლაზარე, როგორც სიმბოლო ქართულ მოდგმას. ჩვენ ვიცით, რომ ლაზარე არის იოანე არა მხოლოდ სულიერ მეცნიერებაში, არამედ მთელი რიგი დასავლეთის ეგზეტიკოსები ლაზარეს აიგივებენ იოანესთან და იოანე-ლაზარეს იდენტიფიკაცია აშკარად მოსჩანს, სხვათა შორის, ქართულ ფოლკლორშიც კი არსებობს ხალხური კულტი ლაზარესი ჩვენთან, რომელიც არის წვიმის ღვთაება, იგივე რაც ელია. ე. ი. ელიას და ლაზარეს იდენტურობა მოცემული არის ქართულ ფოლკლორში. იოანე-ლაზარე არის სიმბოლო ქართული ენისა, ქართული მოდგმისა, რომელიც ამ ოთხდღიანი სიკვდილისმაგვარი ძილის შემდეგ უნდა აღდგეს. აი, ამას გვაძლევს ჩვენ იოანე-ზოსიმე თავის „ქებაჲ და დიდებაჲში".

## შეკითხვა: - ქართლოსისა და ჰაოსის კავშირზე რა აზრისა ხართ?

— სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ლეონტი მროველის ქმნილება და ასეთი ნაწარმოებები ღრმა ეზოტერულ სიბრძნეს ასახავენ. იქ არის ნათქვამი, რომ ქართლოსი და ჰაოსი ორივენი არიან შთამომავალი იაფეტისა, რომ ერთი წინაპარი ჰყავდათ და იაფეტური რასსა, იაფეტური მოდგმა არის აგრეთვე წინაპარი ჰაოსისა, ანუ პირველადი ეთნოსისა, საიდანაც მომდინარეობს დღევანდელი სომეხი ერი. ეს ეთნოსი იყო უაღრესად მონათესავე პირველადი ქართული ეთნოსისა და აქედან მომდინარეობს ეს გადმოცემა ძმობის შესახებ — ჰაოსისა და ქართლოსის ძმობის შესახებ. არა, აქ უფროსობაზე არ უნდა იყოს საუბარი იმიტომ, რომ ეს უძველესი ხანაა და ძალიან ძნელია დადგენა იმ პერიოდისა, როდესაც განთვისდა, ასე ვთქვათ, სომხური ეთნოსი და როდესაც ის გამოეყო ცალკე ერად. ამასთან დაკავშირებით ასახელებენ, დაახლოებით, ძვ. წ. მეშვიდე-მეექვსე საუკუნეებს, როდესაც არმენთა შემოსვლა დაიწყო ჰაიასაში. ჰაიასა არის პირველი ქვეყანა, უაღრესად მონათესავე კოლხური სამყაროსი და მეცნიერებაში ცნობილია, ძველ სომხურში, ანუ გრაბარში როგორ არის ლაზური და პროტოქართული ძირები შემონახული და რა დიდი როლი აქვს ამ ენის ჩამოყალიბებაში პროტოქართულ ენას. ამას აღნიშნავს, მაგალითად, ცნობილი სომეხი მეცნიერი კ. თუმანოვი. და ამიტომ მარრი თვლიდა, რომ სომხური ნახევრად იაფეტური და ნახევრად ინდოევროპული ენაა. მასში ორივე ელემენტი არის. აქედან მომდინარეობს უძველესი ნათესაობისა და ერთობის იდეა, რომელიც ლეონტი მროველთან არის მოცემული.

# სულიერი მისია

**ლექცია, წაკითხული „იდრიარტის“ ფესტივალზე თბილისში. ფილარმონია, 2 მაისი, 1990 წელი**

**ეგრისი, „გრ“ - ფუძე; ესეც კოლხეთია. ლაშქრობა კოლხეთში სიმბოლურად, იმაგინატიურად არის ლაშქრობა სულიერი სიბრძნის, მისტერიალური სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც იმჟამად შემონახული იყო მხოლოდ კოლხეთში და აღარ არსებობდა უკვე საბერძნეთის ტერიტორიაზე, აღარც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში.** ისევე როგორც კრეტაზე წასვლა თეზეოსისა არის აგრეთვე იმ სიბრძნის მოპოვება, რომელიც ელინურ საბერძნეთში იმჟამად აღარ არსებობდა.

აი, დავუკვირდეთ, უდიდესი გმირები საბერძნეთისა - თეზეოსი, ჰერაკლე და იაზონი (სხვათა შორის, ჰერაკლეც ახლავს არგონავტების ხომალდს) იმ ქვეყნებში ლაშქრობენ სულიერი სიბრძნის, მისტერიალური სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელნიც წარმოშობით **პროტოქართული, პროტოიბერიული** იყო. ასეთი არის მინოსური კრეტა (სხვათა შორის, „მინოს“ ნიშნავს აზრის მატარებელს, მოაზროვნეს) და თეზეოსის ჩასვლა მინოსში, მის მიერ მინოტავრის მოკვლა, ლაბირინთოსში შესვლა და ლაბირინთოსიდან მისი გამოსვლა არის სწორედ იმ მინოსურ კულტურასთან ზიარება, რომელიც უფრო ძველია, ვიდრე ძველბერძნული კულტურა, უფრო ამაღლებულია მასზე. ასევეა ძველკოლხური კულტურა, რომელიც იმჟამად უფრო მაღალ დონეზე იყო, ვიდრე საბერძნეთის კულტურა. (შემთხვევითი როდია, რომ მინოსს ცოლად ჰყავდა აეტესის და, პასიფაე). ასე რომ **ამ გმირების ლაშქრობები მუდამ ქართველურ ქვეყნებთანაა დაკავშირებული.** ჰერაკლეც ასევე მიდის პირინეის იბერიაში ჰესპერიდების ბაღნარში ვაშლების მოსაპოვებლად.

ამავე დროს, ორფეოსის შესახებ მითიც მოგვითხრობს, რომ ორფეოსის მთავარი მიზანი იყო პელაზგი წინაპრების კულტის აღორძინება. ორფეოსი წარმოშობით პელაზგია, ძე ეაგრისა (ორფეოსის მამის სახელი, სხვათა შორის, **პირდაპირ ემთხვევა კოლხეთის სახელს: ეგრისი - ეგრი)**. მისი მიზანი იყო აღორძინება იმ პელაზგური კულტურისა, რომელიც ელინურ პერიოდში გადაგვარდა და დაკნინდა.

რაც შეეხება არგონავტების ლაშქრობას, როგორც წეღან მოგახსენეთ, აქ არის მოცემული ძველბერძნული, დორიული ინიციაციის სხვადასხვა ეტაპები და შემთხვევით არ არის, რომ დორიული, აქტიური ინიციაცია დაკავშირებულია **კოლხეთთან** და **კოლხურ სამყაროსთან**. ხოლო შუა საუკუნეებში თვით ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაშიც კი გერმანე კონსტანტინეპოლელ პატრიარქის მიერ არის შექმნილი ძეგლი „სასწაულნი მთავარანგელოზთანი“, რომელშიც აღწერილია **არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში, რომელსაც მფარველობს მიქაელი, ქრისტიანული მთავარანგელოზი, და არგონავტებს გამოეცხადებათ „ცით მოვლენილი ძლიერებაჲ საზარელი“, ანუ მიქაელ მთავარანგელოზი და უწინასწარმეტყველებს მათ მომავალში გამარჯვებას.** აი, დაუკვირდით, როგორი გაგებაა წარმართული მითისა ერთი შეხედვით ეგზოტერული ეკლესიის წარმომადგენელთან - გერმანე პატრიარქთან. ე. ი. „ცით მოვლენილი ძლიერებაჲ საზარელი“ არის მიქაელ მთავარანგელოზი და არგონავტების ლაშქრობა დაკავშირებულია მიქაელის მისსიასთან, რომელიც არის უმთავრესი მზიური მთავარანგელოზი ქრისტიანობისა, ძალი ღვთისა, როგორც მას განმარტავენ (მნიშვნელოვანია, რომ გერმანე პატრიარქი წარმოშობით კოლხი, ლაზი იყო).

აი, ასეთი კავშირები არსებობს წარმართულ და ქრისტიანულ ინიციაციას შორის, რაც დაკავშირებულია უძველეს პროტოქართულ მისტერიალურ ცენტრებთან.

**იაზონი,** როგორც ფიგურა, როგორც გმირი, პინდარეს მეოთხე ოდაში მოხსენიებულია **ვეფხისტყაოსნად.** ე. ი. **იაზონი არის აგრეთვე ვეფხისტყაოსანი გმირი**. ის არა მხოლოდ ოქროს საწმისის მომპოვებელია, არამედ **ვეფხისტყაოსანი** გმირიც არის და, **საერთოდ, ვეფხისტყაოსანი გმირებიც დაკავშირებული არიან უძველეს, პროტოქართულ სამყაროსთან,** თუმცა **ვეფხისტყაოსანი** ქურუმები ეგვიპტის მისტერიებშიც გვხვდება. სხვათა შორის, ტროელი პარისიც **ვეფხისტყაოსანია,** ტროაშიც გმირებს **ვეფხის ტყავი** მოსავთ. დიონისეს პროცესიებს, სხვათა შორის, მიუძღვის ვეფხი. თავად დიონისეც **ვეფხისტყაოსანია**. **ასე რომ, ვეფხის ტყავი უძველესი ტოტემური სახეა იაფეტური კაცობრიობისა, კავკასიური რასსისა.**

ახლა მე მინდა დავუბრუნდე დასაწყისს, როდესაც ვმსჯელობდით უძველეს პროტოიბერიულ მოდგმაზე. უნდა მოგახსენოთ, რომ მეცნიერებაში დამკვიდრდა აკადემიკოს **ნიკო მარრის** ტერმინი - იაფეტური მოდგმა, იაფეტური ენა, **რას ნიშნავს ეს?**

თქვენ მოგეხსენებათ, რომ არსებობს გაგება სემიტური კაცობრიობისა, სემიტური ენებისა, სემიტური მოდგმისა. არსებობს გაგება ქამიტური მოდგმისა, რომელიც უკავშირდება ძველ ეგვიპტეს, აფრიკას. და არსებობს აგრეთვე იაფეტური მოდგმა. ეს სამი ძმა ბიბლიაში სიმბოლურად ასახავს გარკვეულ შტოებს კაცობრიობისას. კერძოდ, ნოე ასახავს ატლანტურ, წარღვნამდელ კაცობრიობას, ე. ი. კაცობრიობის განვითარების იმ ეტაპს, რომელიც ატლანტიდის წარღვნამდე არსებობდა. ხოლო მისი ძენი არიან უკვე ატლანტიდის შემდგომი კაცობრიობის წარმომადგენლები. ერთ-ერთი ამათი შტო არის იაფეტური და, სხვათა შორის, იაფეტი ძველი აღთქმისა დაკავშირებულია ძველი ბერძნული მითოლოგიის იაპეტოსთან. შემთხვევითი არ არის, რომ პრომეთეს მამა იაპეტოსია. მისი იდენტურია იაფეტი და ყოველივე ამასთან დაკავშირებულია აგრეთვე პლანეტა იუპიტერი და იუპიტერის რასსა, ანუ თეთრი



ნილქნის ღმრთისმშობლის ხატი. XII ს.

რასსა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ **ეზოტერიზმში რასსები დაკავშირებულნი არიან მნათობებთან. იუპიტერთან დაკავშირებულია თეთრი რასსა, მერკურთან - შავი, ვენერასთან - წითელი, ხოლო მარსთან ყვითელი, ანუ მონგოლური რასსა.** იუპიტერის რასსის პირველადი რასსობრივი სუბსტრატი არის სწორედ ეს იაფეტური, პროტოევროპული, პროტოიბერიული კაცობრიობა. აი, ასე უკავშირდება იუპიტერის რასსის მისსიას პროტოევროპული, ანუ პალეოკავკასიური, მედიტერანული რასსის მისსია. ეს ყოველივე, რაც შეეხება ანტიურ, წარმართულ ეპოქას, პერიოდს.

ახლა რაც შეეხება ქრისტიანულ პერიოდს. ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში დაკავშირებულია პირველსავე საუკუნეებთან. **არ არის შემთხვევითი**, **საქართველოში ორი მოციქული რომ იმყოფებოდა - ანდრია და სვიმონ კანანელი - პირველი და უკანასკნელი მოციქულები.** ანდრია იყო პირველწოდებული, სვიმონ კანანელი კი ყველაზე ბოლოს მივიდა ქრისტესთან. ეს არის სიმბოლო იმისა, რომ ისინი გამოხატავენ ალფას და ომეგას, ე. ი. დასაწყისსა და დასასრულს. **რა როლი აქვთ ქართველური მოდგმის ხალხებს ქრისტიანობის განვითარებაში, კერძოდ, მიქაელური ქრისტიანობის განვითარებაში და რატომ ეწოდება გეორგია საქართველოს?**

თქვენ მოგეხსენებათ, რომ მიქაელ მთავარანგელოზი არის არსება, რომელსაც ჰყავს პროტოტიპები ანტიურ ეპოქაში, ქრისტემდელ ეპოქაში. ეს არის არსება, რომელიც გვევლინება ნაყოფიერების ღვთაებათა მცველ, ამინდის, ჭექა-ქუხილის ღვთაებათა სახით, როგორც ძველ ინდოეთში ინდრა, მესოპოტამიურ სამყაროში მარდუკი, პალეოკავკასიურ სამყაროში ტარჰუ, ამინდისა და ჭექა-ქუხილის **ვეფხისტყაოსანი** ღვთაება. მას გამოქვაბულებში ყოველთვის **ვეფხის ტყავით** მოსილად გამოსახავდნენ. **ვეფხის ტყავი არის ატრიბუტი იმ არსებისა, რომელსაც ანტიურობაში იცნობდნენ როგორც ინდრას, მარდუკს, ტარჰუს, ქრისტიანობის ეპოქაში კი იცნობენ როგორც მიქაელს და წმინდა გიორგის.** წმინდა გიორგი არის მიწიერი ასპექტი მიქაელისა. მიქაელი არის სულიერი სამყაროს ასპექტი, აზროვნებითი ასპექტი, ხოლო წმინდა გიორგი არის მიქაელის ასპექტი ისტორიულ პლანში, ფიზიკურ სამყაროში. **რატომ უკავშირდება საქართველოს სახელი გეორგიას?**

ჯერ კიდევ ძველბერძნები **„გეორგოსებს“** უწოდებდნენ ქართველებს იმის გამო, რომ მიწათმოქმედება იყო ყველაზე მეტად განვითარებული ჩვენს ქვეყანაში. **„გეორგოს“ ნიშნავს მიწის დამმუშავებელს, მაგრამ, ამავე დროს, გიორგის კულტი დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან, კერძოდ, ნაყოფიერების ღვთაებათა დაცვასთან, ამინდთან, მეტეოროლოგიასთან.** ასე იყო ძველ საქართველოში და ამასთან არის დაკავშირებული ქართული ეროვნული ღვთაება - **თეთრი გიორგი**. ხოლო ქრისტიანული **წმინდა გიორგი ისტორიულად არსებული პიროვნებაა. და ამავე დროს არის მიწიერი სახე იმავე სულიერი არსებისა, მიქაელ მთავარანგელოზისა, დრაკონის დამთრგუნველი.** ეს სახე და ეს კულტი იყო ყველაზე მეტად მახლობელი ქართული მოდგმისათვის. **საქართველოში ქრისტიანობამ მიიღო გიორგიანობის სახე**. ქრისტიანობა თავისი წმინდა სახით არსებობდა სამღვდელოებისთვის, ფეოდალური კლასისთვის, სამეფო კარისთვის, მაგრამ ხალხური ქრისტიანობა საქართველოში, შეიძლება ითქვას, გიორგიანობასთან არის შერწყმული. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გიორგიანობამ დაჩრდილა ქრისტიანობა. **წმინდა გიორგის სახეში ქართველი ხედავდა არა მხოლოდ კაპადოკიელ წმინდანს, არამედ ქრისტიანულ ღმერთს.** ღმერთი მას წარმოედგინა წმინდა გიორგის მებრძოლ სახეში, დრაკონის დამთრგუნველ სახეში, ე. ი. მიქაელური ასპექტი ქრისტიანობისა იყო ყველაზე მეტად მახლობელი საქართველოსთვის. საქართველოს სახელწოდებაც დაუკავშირდა გიორგის და გიორგი გახდა უმთავრესი წმინდანი ქართველი ერისა და არა მხოლოდ წმინდანი, არამედ ქრისტიანული ღმერთის სახე. უნდა აღინიშნოს, რომ ღვთის სხვადასხვა სახეები და ასპექტები ცნობილია ღვისმეტყველებაში. აპოკალიპსისშიც კი მესია, ღმერთი, ქრისტე გამოსახულია როგორც თეთრტაიჭოსანი ზეციური მხედარი (გამოცხ. 19, 11-15). ის ტრადიციული სახეები ქრისტესი, რომლებიც ჩვენ ვიცით, არ ამოწურავენ მის არსს. არის აგრეთვე სხვა სახე - მებრძოლი, დრაკონის განმგმირველი, როგორიც ის არის მოცემული აპოკალიპსისში. **და ეს არის სწორედ წმინდა გიორგის წინასახე და ეს სახე იყო მახლობელი ყველაზე მეტად ქართველობისათვის.** სხვათა შორის, დიდი ქართველი მეცნიერი **ივანე ჯავახიშვილი** აღნიშნავდა, რომ წმინდა გიორგის კულტი საქართველოში უპრეცედენტო მოვლენაა. **ჩვენ გვაქვს შემთხვევები სამების, ქრისტეს დღესასწაულების, აღდგომის დღესასწაულების „შთანთქმისა“ წმინდა გიორგის დღესასწაულის მიერ,** მათ სახელობაზე აგებული ტაძრები იდენტიფიცირებულია **წმინდა გიორგისთან. ე. ი. წმინდა გიორგი იდენტიფიცირებულია ღმერთთან.** ეს არის სახე ღვთისა და არა მხოლოდ კონკრეტული წმინდანი.

სხვათა შორის, ამერიკელი მეცნიერი **ჯობსი** აღნიშნავს, **რომ წმინდა გიორგის აქვს ისეთივე პოზიცია საქართველოში, როგორც ქრისტესო.** მაგრამ ეს არ არის სწორი. იგი აქ ისეთივე პოზიციით კი არ არის, არამედ იმაგინატიურად, სიმბოლურად ქრისტიანობა მოცემულია მებრძოლ, სამხედრო ასპექტში. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ქრისტიანობა თავისი არსით არის სამხედრო ქრისტიანობა. ეს არის მოყმეთა, მებრძოლთა ქრისტიანობა და ასევე შეიძლება ითქვას, რომ **საქართველო იყო ერთი მთლიანი სულიერი ორდენი წმინდა გიორგისა და ასეთად აღიქვამდნენ მას ჯვაროსნები, ასეთად აღიქვამდნენ საქართველოში ჩამოსული უცხოელები და ამიტომ დამკვიდრდა ეს სახელი - „გეორგია“,** რომელიც, რა თქმა უნდა, წარმართული ეპოქიდან მომდინარეობს. ასეთი აღქმა ქართველობისა მხოლოდ უცხოელებს ჰქონდათ. ქართველები, მართალია, თავის თავს გეორგიანებს არ უწოდებდნენ, მაგრამ წმინდა გიორგის კულტი რა დონეზეცაა საქართველოში და რა როლი აქვს ამ წმინდანს, ამ სახეს, ამ ხატებას საქართველოს ისტორიაში, ჩვენ ყველამ ვიცით. **არ არსებობს ეროვნული ხასიათის გამომხატველი სხვა უფრო შესაფერისი სახე ქართველობისათვის.**

ამასთან, უნდა გავიხსენოთ ჩვენი მწერლობის ძირითადი ძეგლები და მათი კავშირი მიქაელურ ქრისტიანობასთან, წმინდა გიორგის კულტთან.

ხოლო მეორე ასპექტი ქრისტიანული საქართველოს მისსიისა დაკავშირებულია ღვთისმშობლის წილხვდომილობასთან. **რატომ არის საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი?**

**რატომ არის საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი?** იმის გამო, რომ იაფეტური მოდგმის, ქართველური მოდგმის ძირითადი ღვთაება იყო დედა-ქალღმერთი, რომელიც სხვადასხვა ასპექტებით გვევლინებოდა ამ მოდგმის სხვადასხვა განშტოებებში, ამიტომაც ჰქვია მას „მირიონიმი“, ე. ი. მირიად სახელიანი. **ეს იყო ის ცენტრალური დედა-ქალღმერთი, რომელიც დახვდათ ბერძენ კოლონისტებს ფაზისში. ფაზისის შესასვლელთან იდგა მისი დიდი ქანდაკება, რომელიც ცნობილია ჩვენში როგორც დედა უფალი, ადგილის დედა და რომელიც პროტოქართველურ ქვეყნებში გვევლინებოდა როგორც დემეტრე, როგორც ჰერა. არტემიდეს კულტიც მომდინარეობს ამ ქალღმერთიდან, პარალელური კულტი არის სვანეთში დალის კულტის სახით.** როგორც მოგეხსენებათ, მცირეაზიური ქალღმერთების კულტიც დაკავშირებულია ამ უძველეს იაფეტურ დედა-ქალღმერთთან. ხოლო ღვთისმშობელი ქრისტიანული ეპოქისა არის იგივე ქალღმერთის ქრისტიანული ასპექტი, იგივე არსების ქრისტიანუ-

დასასრული 22-ე გვერდზე

## შეკითხვა: - რა კავშირია ბასკურ და ქართულ სამყაროებს შორის?

— ბასკურ და ქართულ ენებზე მოგახსენებთ, რომ ბასკურიც პროტოიბერიული ენაა, როგორც ქართული, მაგრამ იმდენად დიდი ეპოქები აშორებთ მათ ურთიერთისაგან, იმდენად დიდი ხნის მანძილზე ვითარდებოდნენ ისინი ცალ-ცალკე, რომ დღეს გენეტიური ნათესაობის დადგენა ძნელდება. უფრო ტოპონიმებით, ცალკეული გამოთქმებით, ცალკეული ფორმებით ხდება ამ ნათესაობის დადგენა, აგრეთვე კულტურულ-ისტორიული, შედარებითი მეთოდით. გენეტიურად ბასკური და ქართული დღეს მონათესავე ენები თითქოს არ არის. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბასკური და ქართული სამყაროები უძველეს დროში არ იყო ერთიანი. ეს იყო, როგორც მოგახსენეთ, ერთი მოდგმა, ერთი რასსა, ერთი ენა, მაგრამ შემდეგ იმდენად განთვისდა, რომ დღეს უკვე მეცნიერებს დადგენაც კი უჭირთ გენეტიური ნათესაობისა. სხვაგვარი დადგენა შეიძლება და ამის საფუძველი არის, როგორც მოგახსენეთ, ჰუმბოლდტის ცნობილ შრომაში ბასკური ენის შესახებ. ეს შრომა დღემდე არ არის ნათარგმნი ქართულად და, სხვათა შორის, მას ბოიკოტსაც უცხადებენ, გარკვეული მოსაზრებებით ეს მიჩქმალული იყო მუდამ. ჩვენი ამოცანაა, ეს შრომა ითარგმნოს ქართულად და გავრცელდეს საქართველოში, რომ ქართველებმა გაიგონ თავიანთი ნამდვილი წარმომავლობა. ჰუმბოლდტზე უფრო დიდი ავტორიტეტი დასავლეთის მეცნიერებას, როგორც მოგეხსენებათ, არა ჰყავს. თუმცა თანამედროვე მეცნიერ-ქართველოლოგთა (იან ბრაუნის და სხვების) უახლესი გამოკვლევების შედეგად ყალიბდება აზრი, რომ ბასკური მეოთხე ქართველური ენაა.

## შეკითხვა: - რა კავშირია პრომეთესა და ამირანს შორის?

— ამირანი გვიანდელი სახელი უნდა იყოს პრომეთესი. ჩვენ არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ პრეისტორიულ ხანაში პრომეთეს ამირანი ეწოდებოდა. საქართველოში ამირანი, თვითონ სახელი „ამირ“ უფრო იმ პერიოდთან არის დაკავშირებული, როდესაც უკვე სპარსული კულტურა შემოდის საქართველოში. ამირან დარეჯანისძე — „ამირ ანდარე ჯეჰან“ ნიშნავს „მბრძანებელი ქვეყნისა“, „მეუფე ქვეყნისა“, ეს სპარსული ტერმინია.

საერთოდ, ამირანზე ხალხური თქმულების ის სახე, რომელმაც ჩვენამდის მოაღწია, გვიანდელი უნდა იყოს. პრეისტორიული მითი ამირანზე აისახა ქართულ ხალხურ თქმულებაში, მაგრამ სახელი შეცვლილია. სახელი ამირანი აშკარად სპარსული წარმოშობისაა და, მე მგონი, არ ასახავს ამ არსების რაობას. პრეისტორიულ ხანაში ამ არსებას, მე მგონი, ჰქონდა უფრო ძველი პროტოქართული შესატყვისი. საერთოდ პროტოქართული შესატყვისები ჰქონდათ არამარტო ასეთ პერსონაჟებს. მაგალითად, საიდან მომდინარეობს ქართველთა ეპონიმი „კარდუ“? ეს არის მთის სახელი, რომელსაც დღეს ჰქვია არარატი. თავდაპირველად ამ მთის სახელი იყო კარდუ, კარდუ იყო ბაბილონური ღვთაება. მთებს არქმევდნენ ღვთაებების სახელებს და ამ ღვთაების სახელი ერქვა მთა არარატს, რომელსაც სუმერულ ეპოქაში ნისირი ერქვა. ძველი სახელები დღეს უკვე აღარა აქვს არც ამ ტოპონიმებს, არც გმირებს. და ამ არსებას, რომელსაც პრომეთეს უწოდებენ, დარწმუნებული ვარ, პრეისტორიულ ხანაში არ ერქვა ამირანი. ამირანი უფრო შუასაუკუნეებშია შერქმეული.

დასაწყისი მე-19 გვერდზე

ლი სახე, რომელიც ყველაზე მეტად მახლობელი იყო ამ მოდგმასთან და აქ არის სწორედ მისტიური წინასწარგანსაზღვრულობა. როდესაც წილი ჰყარეს მოციქულებმა, ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა, საქართველო წილად ხვდა ღვთისმშობელს. **წილად ხვდა იმის გამო, რომ ტრადიციულად ყველაზე მეტად დაკავშირებული იყო ღვთისმშობლის მისიასთან, რომელიც არის იგივე სულიწმიდის მისია.**

თქვენ მოგეხსენებათ, რომ სამება - მამა, ძე და სულიწმიდა - მრავალი ასპექტით, მრავალსახოვნებით ხასიათდება. ძის იპოსტასი, მეორე იპოსტასი, მჟღავნდება სამების ე. წ. ღმერთმამაკაცურ ასპექტში, ხოლო სულიწმიდა მჟღავნდება სამების ფემინურ, მდედრობით ასპექტში, ანუ ღვთისმშობელში. ამის შესახებ გრიგოლ ნოსელს აქვს შრომები. კერძოდ იგი ამბობს, რომ სულიწმიდა გამოვლენილია ღვთისმშობელში და ღვთისმშობელი არის იგივე მეორე განსხივრება და მოქმედება სულიწმიდისა. **სულიწმიდის მისია უშუალოდ დაკავშირებულია ღვთისმშობლის მისიასთან. რა მისიაა ეს? ეს არის სანქტიფიკაციის, განწმენდის მისია, კაცობრიობის განწმენდისა და ამავე დროს მხილებისა, რომელიც უნდა განხორციელდეს ამ საწუთროში, ისევე როგორც მიქაელ-გიორგის მისიაა სულიერი აზროვნების განვითარება, უნივერსალური გველის, ანუ დრაკონის დათრგუნვა, მატერიალიზმის დათრგუნვა, უნივერსალური ბოროტების დათრგუნვა და კაცობრიობის ხსნა.** აი, ეს ორი ასპექტი ყველაზე მეტად უკავშირდება საქართველოს მისიას, საქართველოს სულიერ მისიას. მიქაელური ქრისტიანობა, გიორგიანული ქრისტიანობა ორი სხვადასხვა ასპექტია ერთი და იმავე მოვლენისა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, სოფიანური ქრისტიანობა, ანუ ღვთისმშობელთან დაკავშირებული ქრისტიანობა, ქრისტიანობის ის ასპექტია, რომელიც ვლინდება ღვთისმშობელში, ანუ სოფიაში. ანტიურობაში ეს ქალღმერთი, ეს არსება ვლინდებოდა როგორც ნაყოფიერების ქალღმერთი, დედადეთაება, დედამიწა, ხოლო ქრისტიანობაში იგი ვლინდება როგორც **სოფია**, ანუ საღვთო სიბრძნე, კოსმიური სიბრძნე. **სოფია არის ერთ-ერთი სახელწოდება ღვთისმშობლისა, ერთ-ერთი სახე ღვთისმშობლისა, ანუ სულიწმიდისა. სიბრძნე მომდინარე სულიწმიდიდან გამოხატულია სოფიაში. ეს ორი ასპექტი არის ძირეული საქართველოს სულიერ მისიაში და ამასთან არის დაკავშირებული ქართული ღვთისმეტყველება, ხელოვნება, მწერლობა.**

სანამ სხვა პრობლემების განხილვაზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ **სვეტიცხოველზე.** მე ვიცი, რომ დღეს ჩვენი სტუმრები იმყოფებოდნენ მცხეთაში, სვეტიცხოველში. **სვეტიცხოველი არის ტაძარი, რომელშიც ყველაზე უფრო ღრმად და ყოველმხრივად არის არეკლილი საქართველოს სულიერი მისია, ქართული სულიერება, ქართული ქრისტიანობა.** თქვენ იცით, რომ ეს უჩვეულო ტაძარია. **არც ერთ ქრისტიანულ ტაძარში, ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია, არ არსებობს საკულტო სვეტი. სვეტი, უფრო სწორედ, ორი სვეტი არსებობდა იერუსალიმის ტაძარში, სოლომონის ტაძარში. ხოლო აქ ქრისტიანული ტაძარია აგებული სვეტთან დაკავშირებით.** თავდაპირველი საფუძველი ამ ტაძრისა იყო სვეტი. მისი აგების ისტორია უკავშირდება სვეტის აღმართვის ისტორიას. ხოლო ეს სვეტი სიმბოლურად განასახიერებს ცხოვრების ხეს. ისტორიულადაც ამ ადგილას იზრდებოდა კედარი, რომელიც არის **ცხოვრების** ხის სიმბოლო, რომელიც მოიჭრა და შემდეგ ეს მოჭრილი კედარი ანგელოზებმა წმინდა ნინოს ლოცვით აღმართეს და ამ ადგილას აშენდა პირველი ტაძარი, პირველი ეკლესია წმინდა ნინოსი, ხოლო შემდეგ უფრო გვიან აშენდა სვეტიცხოველი, რომელიც არის ალეგორიული ტაძარი, ისევე როგორც სოლომონის ტაძარი იყო ალეგორიული. **რაში მდგომარეობს სოლომონის ტაძრის ალეგორიულობა? სოლომონის ტაძარში იყო აღმართული ორი სვეტი, რომელიც განასახიერებდა ცხოვრების ხეს და ცნობადის, ანუ შემეცნების ხეს. სვეტიცხოველში კი ჩვენ ვხედავთ ერთ სვეტს. რატომ არის განსხვავება სვეტთა რაოდენობას შორის?** იმიტომ, რომ სოლომონის ტაძარი უკავშირდება ძველ აღთქმას, ეზოტერულ იუდაიზმს, როდესაც ცხოვრების ხე და ცნობადის ხე ჯერ განთიშული, განყოფილი იყო, **ხოლო ქრისტიანული ინიციაციის მისსია არის ცხოვრების ხისა და ცნობადის ხის ჰარმონიული შერწყმა ერთ მთლიანობაში.** ამის გამო სვეტიცხოველში მოცემულია ერთი სვეტი, მაშინ როდესაც სოლომონის ტაძარში მოცემული იყო ორი სვეტი. აქედან ჩანს აგრეთვე ეზოტერული იუდაიზმისა და ეზოტერული ქრისტიანობის ერთობა. ცნობილია, რომ მცხეთაში იყო ებრაელთა თემი, რომელიც თავიდანვე გაქრისტიანდა, **ვინაიდან ხედავდნენ ერთობას ეზოტერულ იუდაიზმსა და ქრისტიანობას შორის.** ერთ-ერთი მათგანი ესწრებოდა ქრისტეს ჯვარცმას და მან მიიღო წილად კვართი, ანუ სამოსი უფლისა და წამოიღო მცხეთაში, რომელიც დამარხულია სვეტის ქვეშ მის დასთან, სიდონიასთან ერთად. კვართი უფლისა არის სიმბოლო კოსმიური ეთერისა, რომელიც მოსავს ქრისტეს და ამასთან არის დაკავშირებული ცხოვრების ხე, რომელიც ამ კვართის დაფლვის ადგილზე არის აღმართული. ამ ცხოვრების ხეში შერწყმულია აგრეთვე ცნობადის ხეც, რომელიც ქრისტიანობამდელ ეტაპზე განცალკევებული იყო, აქ არის მოცემული მომავლის იდეალი, მომავლის ქრისტიანობის მისსია. **სხვა სიმბოლოები სვეტიცხოველისა აგრეთვე მოგვითხრობენ, თუ რაოდენ ღრმად იყო განვითარებული ეზოტერული ქრისტიანობა საქართველოში.** კერძოდ, სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე ჩვენ ვხედავთ წმინდა გიორგის ლომთან და ვეფხთან ერთად. გავიხსენოთ **„ვეფხისტყაოსანში“** მთავარი გმირის ბრძოლა ლომთან და ვეფხთან. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ **წმინდა გიორგი ზოგიერთ ქართულ ბარელიეფზე, მაგალითად, მრავალძალის ბარელიეფზე გმირავს არა დრაკონს, არამედ ვეფხს.** ვეფხი არის სინონიმი დრაკონისა, რომელსაც გმირავს წმინდა გიორგი, ე. ი. სიმბოლო ქვენა ინსტინქტებისა, რომელსაც ამარცხებს ადამიანის „მე“ ინიციაციის გზაზე. აი, ამას ვხედავთ ჩვენ სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე. **პოლიტიკური ასპექტით ეს არის სიმბოლო მებრძოლი საქართველოსი, მებრძოლი, მართლმადიდებელი ქრისტიანული საქართველოსი, რომელიც ამარცხებს პოლიტიკურ ისლამს - ვეფხს, ანუ თურქეთს და ლომს - ირანს.** ასეთი ინტერპრეტაციაც აქვს ამ ბარელიეფს. სვეტიცხოვლის შიდა სამხრეთ კედელზე გამოსახულია აპოკალიფსური მეორედ მოსვლა, სადაც მრავალი საინტერესო სიმბოლოა ეზოტერული თვალსაზრისით და მათ შორის ისევ **ვეფხის** გამოსახულება, როგორც აპოკალიფსური მხეცისა. აპოკალიფსური მხეცი ამ ფრესკაზე გამოსახულია დაწინწკლული ვეფხის, ანუ პანთერის სახით. საერთოდ, **„ვეფხისტყაოსნის“** ვეფხი ეს არის პანთერა, დაწინწკლული ვეფხი. ასეთი ეზოტერული სიმბოლოები მრავალია ქართულ ფრესკებზე, ქართულ ტაძრებში და ისინი მოითხოვენ სპეციალურ კვლევას, სპეციალურ განმარტებას. მე ერთადერთს იმას აღვნიშნავ, რომ **ძალზე ხშირია გრაალის მოტივები ქართულ ფრესკებზე. ასეთ მოტივებს ვხედავთ ჩვენ გელათში,** რომელიც, როგორც ცნობილია, იყო მართლმადიდებლური მონსალვატი, გრაალის კულტურის კერა და საქართველოში გრაალის ქრისტიანობა შერწყმული იყო მართლმადიდებლობასთან.

**დასავლეთში ეგზოტერული ეკლესია, კათოლიკური ეკლესია გამოყოფილი იყო ეზოტერულისაგან და ჯვაროსნულ ომს უცხადებდა მას, ხოლო საქართველოში ეს ყოველივე წარმოადგენდა ერთ მთლიანობას და ამის გამო უწოდებდნენ ჯვაროსნები დავით აღმაშენებელს მეფე-ხუცეს იოანეს. რას ნიშნავს მეფე-ხუცესი იოანე და როგორ უნდა განვმა-**

# ზვიად გამსახურდია
# საქართველოს

## ოქროს ფონდიდან



### შეკითხვა: - რა კავშირია ლაზარესა და ქართულ ენას შორის?

— ლაზარეს აღდგინება იოანე-ზოსიმესთან ნიშნავს აღდგინებას ქართველი ერისას, ქართველური მოდგმისას, მარტო ქართველი ერისას კი არა, მთელი ქართველური მოდგმისას იმ განფენილობით, როგორც ის იყო წარმოდგენილი პრეისტორიულ ხანაში, ანუ ლაზარეს დაძინებამდე, ანუ მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში ეს მოდგმა შემცირდა, განადგურდა ინდოევროპელების მიერ და დარჩა მხოლოდ პირინეებზე, მცირე აზიაში, კავკასიაში. ხოლო აღდგომა იქნება ისევ აღორძინება ამ მოდგმისა, ისევ იმავე პოზიციას დაიბრუნებს ეს მოდგმა და ეს ერი, რომელიც მას გააჩნდა პრეისტორიულ ხანაში, ე. ი. წამყვანი მოდგმის პოზიციას, კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიციას. აი, ეს იგულისხმება სწორედ იმაში, რომ მეორედ მოსვლის დროს ღმერთმან უნდა ამხილოს ყველა ენასა ამით ენითაო, როგორც ამბობს იოანე-ზოსიმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს მოდგმა იქნება მთავარი მატარებელი სულიერებისა, ქრისტიანობისა და ის ამხელს დანარჩენ ცოდვილ კაცობრიობას.

### შეკითხვა: - რას იტყვით აფხაზურ-ქართული ენების კავშირზე?

— საერთოდ ადიღეური და სხვა კავკასიური ენები, როგორც მოგეხსენებათ, იბერიულ-კავკასიური წარმოშობისაა, მათსა და ქართულ ენას შორის გენეტიური ნათესაობა არსებობს. ქართველურ ენებს შორისაც გენეტიური ნათესაობა არსებობს, მეგობრებო. ეს ვერ გაუგიათ მათ და ამიტომ არის ეს ეროვნული შუღლი, თორემ მათი წარმომავლობა ნამდვილად იბერიულ-კავკასიურია. ნამდვილად ასეა. რომ ჰქონდეთ მათ მეხსიერება, ცოდნა თავიანთი წარმომავლობის შესახებ, ისინი არასოდეს არ გააჩაღებდნენ ასეთ კონფლიქტებს თავის მონათესავე ერთან. საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები გენეტიკურად მონათესავენი არიან, ასევეა მათი ენებიც. ეს არნოლდ ჩიქობავამ, ჩვენმა დიდებულმა მეცნიერმა, შესანიშნავად გამოიკვლია და ეს მისი საყვარელი ტერმინია — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება და იბერიულ-კავკასიური ხალხები, რაც, სხვათა შორის, იმასაც გულისხმობს, რომ იბერიულ-კავკასიური არ არის ერთადერთი იბერიულ სამყაროში, არსებობს, მაგალითად, იბერიულ-პირინეული და სხვა, რომ იბერიულ-კავკასიური არის მხოლოდ ერთი მონაკვეთი იბერიული სამყაროსი, და მასში ერთიანდებიან აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები.

### შეკითხვა: - რა კავშირშია მაზდეანობა ქართულ სულიერ სამყაროსთან?

— მეგობრებო, ისტორიულად ქართველ ერს ჰქონდა ურთიერთობა მრავალ კულტურასთან, მრავალ რელიგიასთან და არის საქართველოში იმის ნიშნები, რომ იყო ერთ პერიოდში აქ მაზდეანური კულტი, ანაჰიტა-ქალღმერთის კულტი და მრავალი სხვა კულტი იყო, მაგრამ ეს არ იყო წამყვანი, არ იყო არსებითი და ძირითადი ჩვენს სულიერ სამყაროში. მაგალითად, ჯერ პრობლემატურად არის ქცეული, იყო თუ არა არმაზის კულტურა ზოროასტრული კულტურა და რაიმე საერთო აქვს თუ არა მას ზოროასტრულ კულტურასთან და მაზდეანობასთან. ე. ი. ესეც არ არის დამტკიცებული, ორმუზდი და არმაზი თუ ენათესავებიან ურთიერთს.

### შეკითხვა: - რა არის ანთროპოსოფია?

— ... ანთროპოსოფია არის სულიერი მეცნიერება თანამედროვე ევროპაში, მეცნიერება სულის შესახებ, რომელიც გავრცელებულია დასავლეთის ქვეყნებში. ეს მოძრაობა არსებობს საქართველოშიც და ჰყავს მრავალი მიმდევარი. ეს არის ქრისტიანული მოძრაობა, როგორც მოგახსენეთ, ეს არის მიქაელური ქრისტიანობა. მაგრამ, ამავე დროს, უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგს ეშლება, ზოგი ურევს ანთროპოსოფიას რელიგიაში. ანთროპოსოფია არ არის რელიგია. ეს არის შემეცნებითი მიმდინარეობა და არა აღმსარებლობა. ამიტომ შეცდომით ამბობენ, ან მართლმადიდებელი იყავი, ან ანთროპოსოფიო. ასე არ დგას საკითხი. ეს იგივეა, რომ თქვა: ან მართლმადიდებელი იყავი, ან ჰეგელიანელი. აქ საქმე იმაში გახლავთ, რომ ანთროპოსოფიას რელიგიური აღმსარებლური პრეტენზიები არა აქვს. ეს არის შემეცნებითი გზა. მართალია, რელიგიური თემიც არსებობს დასავლეთში, რომელიც მასზე არის აღმოცენებული, მაგრამ თავისთავად ანთროპოსოფიის ფუძემდებელი — რუდოლფ შტაინერი არ იყო ახალი რელიგიის ან კონფესიის ფუძემდებელი. ის არის ქრისტეს, ქრისტიანობის მიმდევარი და ქრისტიანობის ახალი შემეცნებითი ფორმის შემქმნელი. ასე რომ, აქ არ უნდა მოხდეს ცნებათა აღრევა და არ უნდა შეგვეშალოს. როგორც მოგახსენეთ, არსებობს აგრეთვე მრავალი დარგი ანთროპოსოფიული მეცნიერებისა: ანთროპოსოფიული მედიცინა, ბიოლოგია, პედაგოგიკა. კერძოდ, ანთროპოსოფიულმა მედიცინამ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენში 9 აპრილს მოწამლულთა მკურნალობაში. როდესაც ვერც ერთი ექიმი ვერ კურნავდა მათ, ვერც ერთი სახეობის წამალი... მათ ისეთი მედიკამენტები ჩამოიტანეს, თავიანთი სკოლის მიერ შექმნილი, რომლებმაც უშველა ამ მოწამლულებს, გადაარჩინა უამრავი ადამიანი.

უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ მართლმადიდებლურ კულტზე არსებობს ლექცია რუდოლფ შტაინერისა, რომელიც ძალზე მაღალ დონეზე აყენებს მართლმადიდებლურ კულტს კათოლიკურთან შედარებით. მე შემიძლია პირდაპირ ციტატა წაგიკითხოთ. საერთოდ რუდოლფ შტაინერი მართლმადიდებლურ ფილოსოფიასთან ძალიან ღრმად იყო დაკავშირებული, კერძოდ, ვლადიმერ სოლოვიოვის ფილოსოფიასთან და თავის ერთ-ერთ წინამორბედად თვლიდა მას, მართლმადიდებელ ფილოსოფოსს. არის ციკლი ლექციებისა 1922 წელს წაკითხული — „ზეცნობადი გავლენები კაცობრიობის ისტორიაში“, სადაც რუდოლფ შტაინერი ამბობს: „კათოლიკურ ეკლესიაში კულტი და რიტუალი უფრო თვალითსახილველი სიმბოლოების ხასიათს ატარებს, აღმოსავლურ მართლმადიდებლურ ეკლესიაში კი იგი ისეთი რამ არის, რასაც სული სწვდება უღრმესი მოწიწებით“. ე. ი. რადიკალურად ასხვავებს ამ ორ კულტს ერთმანეთისაგან და მისთვის უფრო მახლობელი არის მართლმადიდებლური კულტი. და ეს ჩანს აგრეთვე ოქსფორდში წაკითხული ლექციებიდან, სადაც ის ამბობს, რომ მართლმადიდებლურ აღმოსავლურ ეკლესიაში იყო ძალიან ღრმა ეზოტერიზმი, ანუ საიდუმლო მოძღვრება, რომელიც თავად ეკლესიას გააჩნდა. აღმოსავლეთში, როგორც მე წეღან მოგახსენეთ, ეზოტერიზმი არ იყო გამოყოფილი ეგზოტერიზმისაგან, ხოლო დასავლეთში გამოყოფილი იყო და იყო კონფლიქტიც და დევნაც ეზოტერიზმისა. აღმოსავლურ მართლმადიდებლურ სამყაროში ამას ადგილი არ ჰქონია არასოდეს.

# სულიერი მისია

**ლექცია, წაკითხული „იდრიარტის“ ფესტივალზე თბილისში. ფილარმონია, 2 მაისი, 1990 წელი**

**რტოთ ის ხანა კაცობრიობის ევოლუციაში, რომელიც უკავშირდება მეფე-ხუცეს იოანეს?** ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ჩვენ ვოლფრამ ფონ ეშენბახის პოემა „პარციფალი“. **ვისი ძეა მეფე-ხუცესი იოანე?** იგი არის პარციფალის ნახევარძმის ფაირეფიცის ძე. **რას ნიშნავს სიტყვა ფაირეფიცი?** სიტყვა „ფაირეფიც“ ნიშნავს „შავ-თეთრ ვაჟს“. **რატომ არის შავ-თეთრი ეს სიმბოლო?** ჩვენ ვიცით, რომ შუასაუკუნეების რაინდულ რომანებში და პოემებში პიროვნებები, გმირები სიმბოლურად განხორციელებენ რომელიღაც გზას, რომელიღაც იდეას, ისინი წარმოადგენენ პერსონიფიკაციებს. კერძოდ, პარციფალი წარმოადგენს დასავლეთის ინიციაციის გზის პერსონიფიკაციას, რომელიც ეძებს გრაალს და პოულობს მას, ხოლო ფაირეფიცი წარმოადგენს აღმოსავლური და დასავლური გზების შერწყმას, ამიტომ არის იგი შავ-თეთრი, ე. ი. თეთრი რასისა და უფრო მუქი რასის შენარევი. შავ-თეთრი არის აგრეთვე იმიტომ, რომ მასში შერწყმულია ქრისტიანული დასავლური სიბრძნე არაბულ სიბრძნესთან, ისევე როგორც ტამპლიერობაში. ტამპლიერობა არის დასავლური ინიციაციური გზა გადმოსული აღმოსავლეთში, რომელმაც აითვისა აღმოსავლური სიბრძნე, კერძოდ არაბულ-სპარსული სიბრძნე და იშვა მისგან ჰიბრიდი, შავ-თეთრი ვაჟი ფაირეფიცი, რომელიც არის განსახიერება აღმოსავლური ტამპლიერობისა, ტამპლიერობისა, რომელიც გადმოვიდა აღმოსავლეთში და მიიღო აღმოსავლური ელფერი და ამ ტამპლიერობასთან იყო დაკავშირებული აგრეთვე **ძველი ქართული რაინდობა და, უწინარეს ყოვლისა, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფის ეპოქის ქართველობა, უწინარეს ყოვლისა შოთა რუსთველი,** ტამპლიერობა მარტო დასავლეთის საკუთრება არ არის. **ჩვენ გვაქვს მონაცემები უმჭიდროესი კავშირებისა ქართველ რაინდებსა და ტამპლიერებს შორის.** ტამპლიერობა იყო მოძრაობა, რომელმაც გააერთიანა დასავლური და აღმოსავლური სიბრძნე, დასავლური და აღმოსავლური ინიციაცია. ამიტომ არის, რომ ამ შავ-თეთრი ვაჟის, პარციფალის ნახევარი ძმის ძეა მეფე-ხუცესი იოანე. მეფე-ხუცესი იოანე ჯვაროსნულ ქრონიკებში იდენტიფიცირებულია დავით აღმაშენებელთან, მაგრამ ეს არის არა მხოლოდ პიროვნულად დავით აღმაშენებლის სიმბოლო, არამედ საერთოდ მთელი იმ სიბრძნის სიმბოლოა, რომელიც დაიბადა დასავლეთში და შემდეგ შეერწყა აღმოსავლურ სიბრძნეს. ამ გაერთიანებული, სინთეზირებული სიბრძნის შვილია ის კულტურა, რომელიც მოხსენიებულია ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში“ როგორც ტაბრონიტი, ანუ კავკასიის მთიანეთი. საქართველო იქ პირდაპირ ნახსენები არ არის, ვინაიდან ეს ალეგორიული პოემაა. ეშენბახის პოემაში არც



ერთი ისტორიულად ცნობილი ქვეყანა არ არის მოხსენიებული, არც ერთი ისტორიული პირი არ არის მოხსენიებული, იქ არის მხოლოდ სიმბოლური და ალეგორიული სახელები როგორც ქვეყნებისა, ასევე პიროვნებებისა და პერსონიფიკაციები ამა თუ იმ მოძრაობისა, ამა თუ იმ ინიციაციური გზისა მოცემულია სხვადასხვა გმირის სახით. კერძოდ, პარციფალის მამა გაჰმურეტი იმ ეტაპის სიმბოლოა, როდესაც ჯერ არ იყო განთვისებული გრაალის მოძრაობა და გრაალის ქრისტიანობა ჯერ არ იყო გამოსული ასპარეზზე. პარციფალი თვითონ გრაალის მოძრაობის სიმბოლოა, ხოლო ფაირეფიცი, როგორც ვთქვით, არის აღმოსავლეთში გადმოსული გრაალის მოძრაობის, ანუ ტამპლიერული მოძრაობის სიმბოლო და **ყოველივე ამის წყაროდ ვოლფრამ ფონ ეშენბახს პირდაპირ აქვს მითითებული ტაურონიტი, ანუ საქართველო. საქართველოს ფსევდონიმი, ასე ვთქვათ, ამ ნაწარმოებში არის ტაურონიტი, ანუ ტაბრონიტი. რატომ არის ეს ნახმარი?** ეს სიტყვა დაკავშირებულია ტაუროსთან, ანუ კუროს კულტურასთან, ხარის კულტურასთან; **ხარის კულტურა, როგორც მოგეხსენებათ, პროტოქართულ, პროტოიბერიულ სამყაროში იყო წამყვანი, ვიდრე კოსმიურად, ზოდიაქალურად იყო კუროს ეპოქა.** თქვენ იცით კრეტა-მინოსის ხარის კულტი, მინოტავრის კულტი, მასთან ბრძოლა და სხვა. და, ამასთან დაკავშირებით, ვოლფრამ ფონ ეშენბახი აღნიშნავს, რომ ეს არის წყარო მისტერიალური კულტურისა. აი, ამ კავკასიის მთიანეთზე, ამ ტაურონიტზე, ამ ზღაპრულ ქვეყანაზე, სადაც მეფობს მეფე-ხუცესი იოანე, ვოლფრამ ფონ ეშენბახი ამბობს, რომ ეს არის სათავე ყოველივესი - მისტერიალური სიბრძნისა და მისტერიალური კულტურისა. ასე არის მინიშნებით მოცემული ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში“. და ვოლფრამ ფონ ეშენბახის ნაწარმოები, მოგეხსენებათ, არ არის ადვილად გასაშიფრი, არ არის ადვილად ამოსახსნელი. მთელი რიგი სიძნელეების წინაშე დგანან მკვლევარები, თუნდაც იმ დაშიფრული სახელების, გეოგრაფიული სახელწოდებების ქვეშ თუ რა იმალება, მაგრამ **ჩვენ შეძლებისდაგვარად შეგვიძლია დასკვნების გამოტანა, ვინაიდან მას კონკრეტულად აქვს მითითებული კავკასიის მთიანეთი, კავკასიის ქედის მიმდებარე ქვეყანა როგორც წყარო მისტერიალური კულტურისა და მეფე-ხუცეს იოანეს სამკვიდრებელი, რომლის სახელმწიფოშიც არის სულიერი სიბრძნის კერა, რომელსაც, სხვათა შორის, ჯვაროსნები სულიერ ინდოეთსაც უწოდებენ.** ინდოეთად მოიხსენიება ეს ქვეყანა იმის გამო, რომ ინდოეთი შუა საუკუნეებში იყო არა მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინი, არამედ ხშირად იხმარებოდა სულიერი თვალსაზრისითაც როგორც სულიერი, მისტერიალური კულტურის სამშობლო. ასევე იხსენიება ინდოეთი **„ვეფხისტყაოსანში“**; ის გეოგრაფიული და ისტორიული ინდოეთი არ გახლავთ. ასე იხსენიება იგი ნიზამი განჯევის „ისკანდერ-ნამეში“ - **ინდოეთი, როგორც მისტერიათა სამყარო. ამის გამო ვხვდებით ასეთ დამთხვევებს ქართულ და დასავლურ კულტურებს შორის.** საერთოდ უნდა ითქვას, რომ არც გამოკვლეულია და არც ისტორიამ შემოგვინახა, სამწუხაროდ, ბევრი მონაცემი ამ პერიოდის ურთიერთობების შესახებ. მაგრამ ისეთი ქმნილებები, როგორიც არის **„ვეფხისტყაოსანი“**, ოდები, დასავლეთში რაინდული რომანები, ვოლფრამ ფონ ეშენბახის პოემა, მაინც მინიშნებებს გვაძლევენ იმ ღრმა ურთიერთობებზე, რომელიც არსებობდა იმჟამინდელ საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. კერძოდ ის, რომ **„ვეფხისტყაოსანი“** და **„ამირან-დარეჯანიანი“** საოცრად ენათესავება დასავლეთის რაინდულ რომანებს, თუმცა აქვთ თავისებური, უაღრესად ღრმად თავისებური სპეციფიკა. და აქ იკვეთება აგრეთვე ქართული კულტურის მისსია. ამ ნაწარმოებებში აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურის ტრადიციები მოცემულია ერთ მთლიანობაში. **ქართული კულტურისა და საქართველოს მისსია კულტურული თვალსაზრისით არის სინთეზირება დასავლური და აღმოსავლური კულტურებისა და მათი მოცემა ერთ მთლიანობაში.** ამიტომ არის, რომ **„ვეფხისტყაოსანი“** ისევე შეგვიძლია ჩავთვალოთ დასავლური ლიტერატურის კუთვნილებად, როგორც აღმოსავლურის. აქ გაყოფა და გათიშვა შეუძლებელია. ამიტომ არის, რომ ფიტარეთი, ეს უდიდესი ძეგლი ქართული არქიტექტურისა, შეიძლება ჩავთვალოთ როგორც ქრისტიანული არქიტექტურის ნიმუშად, ასევე აღმოსავლური არქიტექტურის ნიმუშად. აქ დასავლური და აღმოსავლური კულტურული ელემენტები ყოველთვის ერწყმოდა ურთიერთს.

***ასე იკვეთება ჩვენთვის საქართველოს მისსია, ქართული კულტურის მისსია. მრავალი მომენტი დაგვრჩა, სამწუხაროდ, გაუშუქებელი და უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრია სათქმელი ამ მიმართულებით, მაგრამ ერთი ლექციის ფარგლებში შეუძლებელია ყოველივე ამაზე საუბარი. ჩვენ ალბათ გვექნება ამასთან დაკავშირებით კიდევ ლექციები, საუბრები და სასურველია, რომ მივაწოდოთ ამის შესახებ ცოდნა დასავლეთსაც, ვინაიდან დასავლეთში მრავალი რამ ქართულ კულტურასთან, ქართულ სულიერ გზასთან დაკავშირებით არ არის ცნობილი. სამწუხაროდ, შუქდებოდა უფრო გარეგანი ასპექტები ჩვენი ისტორიისა, ჩვენი კულტურისა და სწორედ ასეთი შეხვედრები უნდა იყოს საწინდარი, რომ უფრო მეტი ურთიერთგაგება და ურთიერთგაცვლა გვექნება ცოდნისა, ინფორმაციისა.***

## შეკითხვა: – როგორია გრაალის წარმოშობა?

— გრაალის ეტიმოლოგია, გრაალი, მეგობრებო, მომდინარეობს ძველპროვანსული და, ალბათ, ძირით კაპადოკიური ტერმინიდან „გრაცალ“ და, საერთოდ, გრაალის მიმდინარეობა ქართველური ტომების შექმნილია აგრეთვე. კაპადოკიური ეთნოსი, რომელიც იგივე ქართველური, პროტოიბერიული ეთნოსია, არის ძირითადი შემქმნელი გრაალის მიმდინარეობისა. ტიტურელი, ცნობილი პირველი მფლობელი გრაალისა, ეროვნებით იყო კაპადოკიელი, ე. ი. ქართველური წარმოშობისა. შემთხვევითი როდია, რომ კაპადოკიელები იხსენიებიან სულიწმიდის გადმოსვლის დღეს, მეერგასისე დღეს, რომელიც მოცემულია მოციქულთა საქმეში (საქმე, 2, 9). კაპადოკიელები ესწრებოდნენ სულიწმიდის გადმოსვლას და გრაალის მისსია ეს არის სულიწმიდის მისსია. გრაალი ეს არის სულიწმიდის მატარებელი, გრაალი ეს არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულიწმიდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმიდით განმსჭვალული და სულიწმიდამომადლებული ადამიანი. გრაალის მოძრაობა, გრაალის ქრისტიანობა შექმნეს სწორედ იბერიულმა ხალხებმა. ის შეიქმნა ჯერ კაპადოკიაში, შემდეგ პროვანსში, ლანგდოკში, სადაც ძირითადად იბერიული და კელტ-იბერიული მოდგმის ხალხები ცხოვრობენ. კელტ-იბერები იგივე იბერებია წარმოშობით, რომელთაც შემდეგ, გვიანდელ პერიოდში შეერწყნენ კელტები. კელტების მიგრაცია ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით მესამე საუკუნიდან დაიწყო და მოგვიანებითაც გაგრძელდა. შემდეგ ჩამოყალიბდა კელტ-იბერიული მოდგმა, მაგრამ წარმოშობით მაინც იბერიულია. კელტ-იბერიული მოდგმაც კაპადოკიასთანაა დაკავშირებული და სწორედ კაპადოკიიდან, ამ მესხური, ანუ მოსხური, ზანური კაპადოკიიდან მომდინარეობს გრაალის ქრისტიანობა და გრაალის მიმდინარეობა. ქართლში არის, სხვათა შორის, სოფელი გრაკალი. რამდენადაც პირველადი სახელი ამ თასისა არის გრაცალი, გრაცალი და გრაკალი აშკარად მონათესავეა და ეს ტოპონიმი უნდა იყოს გრაალთან დაკავშირებული, ჩვენის ღრმა რწმენით. გრაალი მოხსენიებული არის შავთელის ოდებში. შავთელის ოდებში მას ეწოდება „მადლთა ბარძიმი, ერთა განსაწმენდ“. როგორც მოგეხსენებათ, გრაალი არის ბარძიმი, თასი და გარდა ამისა, ეს თასი მოხსენიებული არის ქართულ ფოლკლორში, კერძოდ, როდესაც წმინდა გიორგი — ქართული ფოლკლორის წმ. გიორგი — ლაშქრობს ქაჯავეთში კოპალასთან და იახსართან ერთად, მას ქაჯავეთიდან მოაქვს თასი და ჩვენის ღრმა რწმენით ეს გრაალის თასია. ე. ი. წმინდა გიორგის ჩასვლა ქვესკნელში დაკავშირებულია გრაალის თასის წამოღებასთან, ე. ი. ეს არის ინიციაციის სიმბოლო. ამრიგად უკავშირდება გრაალი ქართულ კულტურას, ქართულ ფოლკლორს, საქართველოს ისტორიას. გელათის ფრესკების ძირითადი მოტივები გრაალის თასთან არის დაკავშირებული. ყრმა მაცხოვარი, რომელიც უპყრავს გელათის ღვთისმშობელს, შუბლზე გრაალის ტვიფარს ატარებს! ასე რომ, ეს უაღრესად ღრმა კავშირშია ქართულ კულტურასთან და რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსანიც“ გრაალის პოემაა იმიტომ, რომ გრაალის სიმბოლოები, სინონიმებია საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული, ე. ი. ქალწულის გამოხსნა ტყვეობიდან, ქვესკნელიდან აგრეთვე იგივეა, რაც გრაალის გამოხსნა. ქალი ამ შემთხვევაში განასახიერებს ანიმას, სამშვინელს და ანიმას გამოხსნა დრაკონის ტყვეობიდან არის სწორედ ინიციაციის მიზანი. აი, ეს არის მოცემული სწორედ „ვეფხისტყაოსანში“. „ვეფხისტყაოსანი“ არის ინიციაციის გზა, ჰეროიკული ინიციაციის გზა არის აქ აღწერილი. ალეგორიულად, საერთოდ, რაინდობა დაკავშირებული იყო ინიციაციასთან, რაინდობა იყო ინიციაციის ინსტიტუტი, ამიტომ მისი უმთავრესი მიზანი იყო ქვესკნელად შთასვლა და გრაალის გამოხსნა, ანუ წმინდა საწყისის გამოხსნა ბნელი ძალების ტყვეობისაგან.

## შეკითხვა: – როგორ მტკიცდება, რომ პელაზგები და შუმერები იყვნენ არაინდოევროპელები?

— ეს მტკიცდება, მეგობრებო, ენათმეცნიერული მონაცემებით. უწინარეს ყოვლისა, შუმერები რომ არაინდოევროპელები არიან და მხოლოდ ქართველური ენები ენათესავება შუმერულ ენას დღესდღეობით, დაამტკიცა დიდმა ქართველმა მეცნიერმა მ. წერეთელმა. ინდოევროპული ენები ამ ენებს არ ენათესავება. პელაზგებზე პირდაპირ არის ჰეროდოტესთან და სხვა ბერძენ ისტორიკოსებთან ნათქვამი, რომ ისინი იბერები იყვნენ.

## შეკითხვა: – რა კავშირი იყო ირლანდიელ და ქართველ იბერებს შორის?

— ირლანდიელი იბერებისა და ქართველი იბერების კავშირი უღრმესია, მეგობრებო. სწორედ იმაზე არის საუბარი ჰუმბოლდტის შრომაში, რომ ირლანდიაში, ჩრდილოეთ ევროპაში იყო მიგრაცია იბერებისა. ჰუმბოლდტი აშკარად განასხვავებს მათ სამხრეთის იბერებისაგან, სადაც ისინი ავტოქტონები არიან, მაგრამ ჩრდილოეთში, ირლანდიაში, ბრიტანეთში და სხვაგან მოხდა მათი მიგრაცია და დაარსდა კოლონიები. ირლანდიის უძველესი მოსახლეობა — პიქტებიც იბერების შთამომავალნი იყვნენ.

## შეკითხვა: – ვინ იყვნენ ალბანელები?

— ქართლის ცხოვრებიდან ჩანს, რომ ქართველური ტომები იყვნენ ალბანელებიც. ამასთან, ეს არის ბერდა, რომელიც გვხვდება ნიზამი განჯევის შემოქმედებაში... სხვათა შორის, შემთხვევით არ არის, რომ ბერდას დაუკავშირა ნიზამი განჯევმა თამარ მეფის სახე, რომელიც მოგვცა მან სიმბოლურად, ალეგორიულად ბერდის დედოფლის ნუშაბეს სახით თავის „ისკანდერნამეში“...

## შეკითხვა: – ლაზეთი და ლაზარე თუ არის რაიმე კავშირში?

— ამაზე ჰიპოტეტიურად შეიძლება ვთქვათ მხოლოდ, რომ ფუძით უკავშირდება; აგრეთვე ლაზარე და ლაზური, ლაპისლაზული, რომელიც ლაჟვარდს აღნიშნავს და ლაჟვარდი და ცისფერი ეს არის იოანე-ლაზარეს ფერი. საერთოდ, და შეიძლება ეს ყოველივე რაღაც კავშირშიც იყოს... ლაზარესადმი მიძღვნილი თამარისდროინდელი ტაძრის, ბეთანიის ფრესკებიც ხომ ცისფერ ფერებშია გადაწყვეტილი, არ შეიძლება ამას ღრმა ეზოტერული მნიშვნელობა არ ჰქონდეს.

## შეკითხვა: – რა კავშირი აქვთ ხეთებს საქართველოსთან?

— ხეთასთან დაკავშირებული ტოპონიმები არის საქართველოში. ეს იმას არ ნიშნავს, მეგობრებო, რომ აქ, ვთქვათ, ხეთების სამშობლო იყო. იყო მიგრაციები ხალხების, იყო მათი გარკვეული მოძრაობა და ამასთან არის დაკავშირებული მრავალი ტოპონიმი. საერთოდ ხეთები ინდოევროპელებია, ისინი არ ეკუთვნიან ქართველური წარმოშობის ხალხებს.

www.carbycar.com

პარტნიორი www.gezi.us



“Barami UAS”

და „შპს ბარამი“

- ავტომობილების შეძენა სადილერო აუქციონებზე
- ტრანსპორტირება აშშ-ს ტერიტორიაზე
- ტრანსპორტირება ფოთის პორტამდე, თბილისამდე
- ავტონაწილების შეკვეთა
- ამერიკული მართვის მოწმობის აღება
- ავტომობილის დაზღვევის შეძენა
- ავტომობილის რეგისტრაცია. **ტელ: 1 201 333 72 27**

---

CarFax

თქვენ შეიტყობთ
ავტომობილის სრულ ისტორიას:

მხოლოდ **20 ლარად**

რამდენი მფლობელი ჰყავდა
მოხვედრილა თუ არა ავარიაში,
წყალდიდობაში, ხანძარში,
რეალურ გარბენს, არის თუ არა მოპარული

**აშშ: 1 (201) 333 55 55**

**თბილისი: (995) 32 95 26 09**

**ბათუმი (995) 99 49 19 92**

ავტომობილები განვადებით

**ჩვენთან ეს მარტივია — შემოდიხართ ოფისში
და ჩვენთანვე გაფორმებთ ყველა საბუთს**

პარტნიორი www.gezi.us **www.carbycar.com**

სტუდიაში ფუნქციონირებს კურსები, სადაც ისწავლება:

ქართული ხალხური ცეკვები;
ინტერნაციონალური ცეკვები; (ებრაული, ესპანური, ბოშური...)
კლასიკა;
ქორეოგრაფიის თეორია;
სამსახიობო სახვითი ხელოვნება;
სასცენო გრიმი.

გთავაზობთ სპეციალურ სამკურნალო ვარჯიშებს ნებისმიერი ასაკისათვის, აგრეთვე ანსამბლი „სამება" იწვევს პროფესიონალ მოცეკვავეებს

სტუდიის ხელმძღვანელი:
**ქორეოგრაფი, 1997 წლის საერთაშორისო ფესტივალის „ოქროს ირმის" ნომინანტი**
**თეა კანდელაკი**

*მსურველებმა მოგვმართეთ:*
*414 Brighton Beach ave, 3rd fl*
*Brooklyn, NY 11235*
*ან* **წმ. ნინოს სახელობის ქართული ეკლესიაში**
1-646-250-6055
1-917-776-5651

# ქორეოგრაფიული სტუდია „სამება"

## აცხადებს ნებისმიერი ასაკის მოზარდთა მიღებას



## სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს

„მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე და წინ დაგხვდება"-ო, ნათქვამია. ახლა, 21-ე საუკუნის განუკითხავ ეპოქაში, ძნელია უფლის გზით იარო, ძნელია ენდო ადამიანებს, რომელთაც არ იცნობ ფიზიკურად და მხოლოდ სულიერი, ვირტუალური სამყარო გაკავშირებს.

...მაგრამ არსებობენ ადამიანები ვისაც სწამთ, ვისაც უყვართ, ვისაც სურვილი აქვთ აკეთონ სიკეთე და აკეთონ უანგაროდ, იმედი აქვთ, იციან, რომ, მადლი უკვალოდ არ ჩაივლის და ამქვეყნიურ ძნელად სავალ გზაზე სანთელ-საკმეველი გაუნათებს წყვდიადს და ეს ფიქრები უფრო მეტად გააახლოვებს ღმერთს, მაშინ, კი, უფრო მეტად გინდება აკეთო სიკეთე, ანუგეშო უიმედოდ მყოფი და შეუმსუბუქო სულს დაკიდებული ტვირთი...

დღეს, როგორც არასდროს, ჩვენი სამშობლო ზნეობრივი, სულიერი და კულტურული დაკნინების წინაშე დგას; ასიათასობით ქართველი, ნებსით თუ უნებლიედ მშობლიური მიწის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა, ემიგრაციის მძლავრ მარწუხებში დატყვევებული...

ზუსტად ასეთმა ფიქრებმა გაგვაერთიანა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ევროპასა და შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები და ვირტუალურად ჩასახულმა მადლმოსილმა სულმა რეალური სახე მიიღო. განსხეულდა და მეგობრობად და სიყვარულად მოგვევლინა, რასაც საერთო საფიქრალი - „ერთობა" დავარქვით.

ასოციაცია „ერთობა", 2005 წლის 20 აგვისტოს საფრანგეთში შეიქმნა, მისი მიზანია: - მსოფლიოში ქართული ეთნოსის, საქართველოს მოქალაქეების ელემენტალური უფლებებისა და ღირსების დაცვა, საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებისა და ღირებულებების დამკვიდრება-განვითარება, საზღვარგარეთ ქართული კერების შექმნა-პროპაგანდა, სამეცნიერო და შემეცნებითი ლიტერატურის გამოცემა, საერთაშორისო დემოკრატიულ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ჰუმანიტარული საქმიანობისათვის თანხების შეგროვება, მოყვასის თანადგომა და სხვა. მრავალი ასოციაციის წესდების თანახმად სამუშაო სისტემა გამჭვირვალე იქნება ყველა წევრთათვის.

ძვირფასო თანამემამულენო! მოგმართავთ თხოვნით, გაერთიანდეთ ჩვენს ასოციაციაში. ცხოვრება ეულად შთენილისათვის ყველგან მეტად რთული და მძიმეა, მაგრამ თუ ერთად დგომას შევძლებთ, ერთმანეთის სიმძიმეს ვიტვირთავთ, გვერწმუნეთ, რომ ყოველ ჩვენთაგანს შეუმსუბუქდება ყოფიერების ტვირთი.

შევიკრათ ერთ მუშტად! მე-შენ-ჩვენ(!), ერთმანეთისათვის და ყველა ერთად კი მრავალჭირნახული საქართველოს უკეთესი მომავლისათვის! დავეხმაროთ ერთმანეთს! ნუ ვათქმევინებთ მავანს, რომ ქართველს ნაკლებად ჰყვარებია სიტყვა -„ჩვენ". დავდგეთ იქ, სადაც ჩვენი ერთად დგომაა საჭირო!

ემიგრაციიდანაც შეგვიძლია მივაწვდინოთ ჩვენი ხმა და გავუწოდოთ დახმარების ხელი გაჭირვებაში მყოფთ. შევქმნათ ძლიერი ორგანიზაცია, ჩვენი ქმედებით ნუგეში ვცეთ ჩვენს თანამემამულეთ, რომელნიც იმედის თვალით შემოგვყურებენ და გველოდებიან უცხოეთში მცხოვრებთ; ნუ დავიზარებთ გავუწოდოთ მათ დახმარების ხელი... „ნუ დავშვრებით და სანამ შეგწევს ვაკეთოთ რამე იქნებ სიკეთე, სიქველე და მადლი დავთესოთ, ვინძლო ჩვენამდე მოაწიოს საუფლომ განსჯის, ვინძლო სინდისმა უფლის კართან არ შეგვაჩეროს" ...

ვინაიდან ნათქვამია: - „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც კი გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ"( მათე 25,40; იგ.სოლ. 14.31).

უფალმა დაგვლოცოს და გაგვაძლიეროს ყველა კეთილ საქმეში!

დაინტერესებულმა პირებმა დაწვრილებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ
1-646-250-60-55

ასოციაციის პრეზიდენტი
**თეა კანდელაკი**

## განცხადებები

ქირავდება 1 ოთახი ორსაძინებელიან აპარტამენტში, Kings Hwy-სა და E13 street-თან, გარემონტებულ მდგომარეობაში ავეჯით. 500$
მსურველებმა დაგვიკავშირდით:
347-683-0800 ვიქტორია

იყიდება 1996 წლის Mercedes Benz E320, მექანიკურად კარგ მდგომარეობაში, ოქროსფერი-კრემისფერი სალონით. გავლილი აქვს 160,000, ფასი $ 7,750
516-983-9077 ბესო

**იყიდება** 2ჰა სამეურნეო ნაკვეთი, გამწვანებით, ჯიხურით, 3-სართულიანი კაპიტალური შენობით(1200კვ.მ), სასაწყობო ნაგებობით, 2 ათმანქანიანი ავტოფარეხითა და 2 ავზით (8 და 10ტ) რუსთავის შესასვლელთან 22-ე გზატკეცილზე. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
30-35-10 ვენერა ან ჯაბა

## რეკლამა

# ქვირფასო თანამემამულენო!

თვისტომი

TVISTOMI

გაიხსნა ახალი **ქართული სამედიცინო ოფისი ბრუკლინში,** სადაც ხორციელდება სრული სამედიცინო გამოკვლევა უახლესი აპარატურით!

გამოკვლევები ხორციელდება უახლესი დიაგნოსტიკური აპარატურითა და მეთოდებით, მაგნიტორეზონანსული, რადიოიზოტოპური და ულტრაბგერითი აპარატურის გამოყენებით, ამასთანავე ჩაგიტარებთ სისხლისა და შარდის სრულ ლაბორატორიულ ანალიზებს, კომპიუტერულ ტომოგრაფიას, უფასო მამოგრაფიას (მკერდის გამოკვლევა) ძვლების სიმყიფის განსაზღვრას.

სამედიცინო ჯგუფში გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიცირებული ქართველი და ამერიკელი ექიმები რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ აშშ-ს სხვადასხვა კლინიკებში და დღეს თქვენს სამსახურში არიან! ჩვენი თანამემამულეთათვის ფასები მაქსიმალურად დაბალია. მათთვის, ვისაც სამედიცინო დაზღვევა არა აქვს, გამოკვლევები ჩაუტარდებათ **60-70 %** -იანი ფასდაკლებით!!!

**ჩვენი ფასები ყველაზე დაბალია!!!**

# 718-263-5323

მიღება წინასწარი ჩაწერით

2 ვესტ ენდ ავენიუ, ბრუკლინი, მანჰეტენ ბიჩი (არხთან და ბრაიტონთან ახლოს), აპარტმენტი №3




ადგილი, სადაც
ნამდვილი თამადები თამადობენ!

თქვენთვის მღერის **ნუგზარ ძნელაძე**

1724 Avenue Z, Brooklyn, NY 11235
718-769-2909

# KAVCAS EXPRESS




აშშ-დან საქართველოში
კილოგრამი - **$6.7**

საქართველოდან აშშ-ში
კილოგრამი - **$8**

ნებისმიერი სახის დოკუმენტაციისა
და მასალის თარგმნა და ნოტარიზირება



მიულოცეთ ახლობლებს
ჩვენი მეშვეობით!!!

ქორწილი, დაბადების დღე, ქორწინება, დღესასწაული...

1 201 333 75 77

აშშ-დან საქართველოში
კილოგრამი - **$4**




გადაზიდვები

აშშ 1 (201) 333 22 00
თბილ. (995) 32 95 26 09
ბათუმი (995) 99 49 19 92

www.gezi.us
www.carbycar.com

# ვარსკვლავთცვენა

## ბრუკლინსა და ფილადელფიაში



ნუკრი კაპანაძე



მამუკა ონიაშვილი



თამარ გეგეჭკორი

**მღერიან და ხუმრობენ ქართული ესტრადის და თეატრის ვარსკვლავები**



გურამ ჯაში



მზია კვირიკაშვილი



ზურა ღოიჯაშვილი

დაგვიკავშირდით:
NY-ში 718-615-1500,
347-528-0037, 347-451-9435,
Phila-ში 215-677-9337,
267-253-7008

*26 ნოემბერი, შაბათი, საღამოს 7 საათზე*
**თეატრი „მილენიუმი“ ბრუკლინში**
1029 Brighton beach ave, Brooklyn, NY
*27 ნოემბერი, კვირა, საღამოს 7 საათზე*
Restaurant GOLDEN GATE
11058 Rennard st, Philadelphia, PA 19116

ბერდია ბერიაშვილი

# ქართველი

*ამ ლექსს ვუძღვნი იმის იმედად, რომ მუდამ ვეკითხებოდე: ვისი გვარის ხარ!*

უცებ ცხელ გულზე დამადგეს ფეხი,
როცა მედეა მომგლიჯეს მკერდით.
ძველი ქართულით, ნუსხურ-მთავრულით
ბოლნისის ქვაზე ჩემს ვარამს ვწერდი.
ელში ბატის ფრთით, გაშლილ ეტრატზე
მე სიყვარულის პოემას ვწერდი.
ჩემი ხატია, გულს მახატია:
იყალთო, გრემი და ალავერდი.
ზედ გულზე შემდგა მე თემურ ლენგი,
კოჭლი ფეხებით როცა გამთელა,
მაშინ მამულის საკურთხეველზე
ჩემი თითები ენთო სანთლებად.
მე თავი მედო გატენილ თოფზე,
მე ძილვფხიზლობდი, მე არ მეძინა.
ხან თეირანში და ხან სტამბოლში,
როგორც სამკაულს მყიდდნენ მე ძვირად.
ერთხელ ვარსქენმა თმებით მათრია,
განუკურნები დამრჩა იარა.
მაწამა და ვერ გადამარჯულა,
მომკლა და კერპებს ვერ მაზიარა.
გაზით დამგლიჯეს ათივე ფრჩხილი
და წამებული მიწოდა ხალხმა,
თუმც კაცი რაა, სიკვდილის წინაც,
მე დაჩოქილი ვერავინ მნახა!
ჩემს დაჩოქებას ნურცვინ მოელის,
უტეხი სული ჩემი განძია.
ასე ავაგე სვეტიცხოველი
და გამოვკვეთე კლდეში ვარძია.
ჩემს თვითეულ ქვას სიმღერა ჰქვია,
ჩემი ციხენი ძლევის ხმებია.
გულში მრავალჯერ მომარტყეს ტყვია,
ზურგში, - არც არვის უმიზნებია!
მე ტყვე ვიყავი ძალიან ხშირად
და არ ვიცოდი, რა იყო მონა.
თან წამოვიღე ფერეიდანში
ჩემი ქართული სიტყვების კონა.
ვერ ამომგლიჯეს პირიდან ენა:
შანთით, წამებით, მუქარით, ძლვენით



და... მღერის მთელი ფერეიდანი
ქართულ ჩონგურზე ქართული ენით.
ვერ დამავიწყეს ჩემი მამული,
ჩემებრ ტანჯული ქართული ენა,
მტერმა ვერასდროს გადამაგვარა,
მტერმა ვერასდროს გადამაშენა.
წიწამურს მომკლეს, ჰერეთს მაწამეს,
მიჯაჭვული და მკვდრეთით აღმდგარი.
ვუძლებდი ნგრევის წლებსა და წამებს
და ერთხელ მერქვა ჯურღაის ფარი.
ბევრჯერ მიმუხთლა ბედის სასწორმა,
რამდენს გავუძელ, რა შემძლებია, -
ჩემი სამგორის სამივე გორა
ჩემი სისხლი და ჩემი ძვლებია!
ამოვჭერ ქვაზე, ამოვჭერ ხეზე
და ყოველივე გულზე სწერია!
ამდენ ლეგენდებს და ამდენ ლექსებს
საქართველოზე მისთვის მღერიან.
თუკი სპარსეთის ტყვე მერქვა ერთხელ,
ბერლინზე დროშა მე ავიტანე.
და ვდგავარ, როგორც ალაზნის მუხა,
ნაგრიგალევი ძლიერი ტანით.
მქონია დარდი, ენით უთქმელი,
და არ ვქცეულვარ სევდა-წუხილად,
მე ერთ დღეს ვშობე დიდი რუსთველი,
საუკუნენი თავს რომ უხრიან.
ამირანის და არსენას დედა, -
ვინ გამაკვირვოს შვილთა დიდებით,
ცად და მიწად რომ მისი ხმა რეკდა
მე ისეთ ქართველს კიდევ გპირდებით.
მსურს კიდევ ახალ ხმებად დამრეკონ,
გპირდებით ახალ დავითს და საბას.
დე, კაბადონზე ცათა სამრეკლო
მათი დიდების ყვებოდეს ამბავს.
საუკუნენი მათ სადიდებლად
ყანწებით სვამდნენ ჩემს კახურ ღვინოს,
მეც ვიდგე, ვიდრე ქართველს ქართველის
ნამუსის ქუდი არ შემერცხვინოს!

*გილოცავთ*

## ნინო სამადაშვილს და მაიკლ ა. სტეას

ჯვრისწერას, რომელიც შედგება გიორგობისთვის 6-ს ნიუ-იორკის წმ. ნიკოლოზის მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ვუსურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, შვილთა სიმრავლეს, მშვიდობიან ზეცას და საქართველოს სიყვარულის გულის სიღრმეში შენახვას.

**ნათელა, თემური, თამაზ სამადაშვილები**

ყოველთა ქართველ ემიგრანტთა გაზეთი ამერიკიდან
მამული
რედაქტორ-გამომცემელი მანუჩარ კაჭახიძე
EDITOR & PUBLISHER MANUCHAR KATCHAKHIDZE

Phone: 609-517-2278
mamuli@comcast.net
P.O. Box 13121, Jersey City, NJ 07303

ასავალ დასავალი
საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით
კოსტავას 14, V სართული, თბილისი, 0108
ტელეფონი: 98-97-21

აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. ნებისმიერი კონტრმოტივაცია ძალაშია ნომრის გამოსვლიდან 7 დღის მანძილზე. მიიღება და რედაქციის საკუთრებაში რჩება მხოლოდ კომპაქტური კორესპონდენცია, რომლის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება. გაზეთიდან მასალის გადაბეჭდვა ნებადართულია მხოლოდ საქართველოს წარმომადგენლობის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში „მამულის“ მოხსენიების აუცილებელი პირობით.